ამის გაკეთებას ცდილობს ა. სერგულაძე 1970 წელს გამოსულ სპეციალურ სტატიაში „XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისათვის"[12] ავტორი აღნიშნავს, რომ დამპყრობთა წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხების ის ბრძოლები, რომლებიც კაპიტალიზმამდელ ეპოქებში მიმდინარეობდა, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლები იყო და ამ უკანასკნელთა ძირითად მიზანდასახულებას დამპყრობთა განდევნა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრულიად უფლებებში აღდგენა შეადგენდა[13]. ჩამოთვლის რა XIX საის პირველი ოცწლეულის ამბებს საქართველოში, ა. სერგულაძე წერს: „ყველა ეს მოძრაობა ანტირეჟიმული ხასიათისაა. ამ მოძრაობის მესვეურ და მამოძრავებელ ძალებს მიზნად ჰქონდათ რუსეთის კოლონიურ-მძარცველური რეჟიმის აღკვეთა ან შესუბუქება. ეს კეთილშობილური მისწრაფება განსაზღვრავდა ამ მოძრაობათა პროგრესულ ხასიათს. მაგრამ ეს მოძრაობანი არ აძალლებულან იმ ეტაპზე, სადაც ეროვნულ- მოძრაობა იწყება. მათ არ დაუსახავთ ის მიზნები, რასაც ეროვნული მოძრაობა ისახავს"[14]. აქ არ შევუდგებით იმის გარკვევას, თუ რამდენად ლოგიკურია ა. სერგულაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ, ერთი მხრივ, აღნიშნული ამბავნები ანტირეჟიმული ხასიათისა იყო, რომ მათ „მიზნად ჰქონდათ რუსეთის კოლონიურ-მძარცველური რეჟიმის აღკვეთა", ხოლო, მეორე მხრივ, ეს ამბავნები ვერ აძალლებენ „იმ ეტაპზე, სადაც ეროვნული მოძრაობა იწყება". გადავალთ ავტორის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გაგებაზე.

ეს მოძრაობა, ა. სერგულაძის მიხედვით, წინაკაპიტალისტური ხანის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობათაგან განსხვავებით, სოციალური მოძრაობაცაა, ამ მოძრაობის მესვეურები „დიამეტრალურად უპირისპირდებიან ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამცველ ძალებს"[15]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ა. სერგულაძის აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საკუთრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარდა თავის თავში შეიცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითად ამოცანებს, ე. ი. დაპყრობილ ხალხში კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას, ამ უკანასკნელის გადასვლას სოციალურ რევოლუციაში, ძირეულ რეფორმებს სოციალურ, პოლიტიკურ და სხვ. სფეროებში. თუ ეს არაა ან მოძრაობა ამისკენ თუ არ არის მიმართული, მაშინ ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას. „ცხადია, ყველა ეს მოძრაობა, კოლონიური ხალხის დაუცხრომელი მისწრაფება უცხო მჩაგვრელი ძალის განდევნისა, აშზადებდა ნიადაგს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმოცენებისათვის"[16].

---

12 ის წიგნში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტენდენციების შესახებ". იგივე ნაშრომი უცვლელად არის შეტანილი ავტორის წიგნში „ნარკვევები საქართველო ინტელიგენციის ისტორიიდან", რომელიც 1980 წელს გამოვიდა. მანამდე ამ საკითხს ა. სერგულაძე ნაწილობრივ შეეხო წიგნში „ბრძოლის ბარათაშვილის ეპოქა", 1968.

13 იქვე, გვ. 72.

14 ა. სერგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

15 იქვე, გვ. 75.

16 იქვე, გვ. 82—83.

ამრიგად, ა. სურგულაძე თითქოს საკმაოდ ნათლად მიჯნავს ერთმანეთისაგან სახალხო-განმათავისუფლებელსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ადგენს შესაბამის ცნებებს. ამ მხრივ, როგორც დავინახეთ, იგი ნ. ბერძენიშვილის შეხედულებას ეყრდნობა. მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ნაშრომში ავტორი აღნიშნავს: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, იმ ერის მოძრაობაა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია და მისი მოპოვებისათვის იბრძვის"[17]. ამაში, რასაკვირველია, ა. სურგულაძე ბევრ მხრივ მართალია, მაგრამ მკითხველი ალბათ ადვილად დაგვეთანხმება, რომ ეს განცხადება საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ზემოთ მის მიერ გამოთქმულ აზრს. ასევე ითქმის ა. სურგულაძის მტკიცებაზე, რომ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ტენდენცია ყველა ქვეყანაში ეროვნული სახელმწიფოების შექმნა-ჩამოყალიბება იყო"[18]. თუ ეს ასეა, მაშინ ხომ ასეთივე მიზანი ჰქონდათ „სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლებს" XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოში?

ა. სურგულაძე თავისებურად იაზრებს ჩვენში, ე. ი. XIX ს-ის საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდის დაწყებას. საერთოდ, მისი მტკიცებით, განაპირა „მხარეების" ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხანი ძირითადად იმპერიის ცენტრალური რაიონის გარდატეხებს ემთხვეოდა (მცირედი დაგვიანებით). შესაბამისად ხდებოდა თითქოს განმათავისუფლებელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვა-განვითარება რუსეთის იმპერიაში. ამდენად, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი წარმოშობით დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის ცენტრისაგან. კერძოდ, დეკაბრისტთა გამოსვლის გამოძახილი ყოფილა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის 1832 წლის შეთქმულება, როგორც ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი. ავტორი ცდილობს ამ მოძრაობას, 1832 წლის გამოსვლას, მოუძებნოს ბურჟუაზიული განვითარების მომენტები. მაგრამ რამდენადაც ამ შეთქმულებას მონაწილეებში ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ვერ ხედავს, ცდილობს ეს იმით ახსნას, რომ ბურჟუაზია ამ დროის საქართველოში სუსტი იყო, რის გამოც მას ვერ ითავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა. ამით ხსნის ა. სურგულაძე 1832 წლის შეთქმულების სოციალურ კონსერვატიზმს.

აქ არ შეუჩერდებით ა. სურგულაძის აღნიშნული მოსაზრების კრიტიკაზე, მას ჩვენ სპეციალურად ჩვენმოთ შევეხებით, განვაგრძობთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიოგრაფიას.

მანამდე ასეთივე აზრი გამოთქმული ჰქონდა პ. რატიანს. 1958 წელს ვამოსულ ნაშრომში იგი წერდა: „ამრიგად, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის გავლენით და საქართველოს მაშინდელი ცხოვრება-წესის თავისებურებების შედეგად წარმოიშვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა"[19] ამ მოძრაობის პირველი ანუ თავადაზნაურული პერიოდი ჩვენში,

---

17 ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72

18 იქვე

19 იხ. საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 530.

პ. რატიანის მიხედვით, იწყება დაახლოებით 1832 წლიდან და გრძელდება 60-იანი წლების დასაწყისამდე[20].

ქართველ თავადაზნაურთა 1832 წლის შეთქმულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოვლენად მიიჩნიეს გ. გოზალიშვილმა (1935 წ.), პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ (40-იანი წლების შუა ხანებში), ლიტერატურისმცოდნეებმა დ. გამეზარდაშვილმა, დ. ბენაშვილმა, ვ. შადურმა 50-იანი წლების ბოლოს გამოსულ შრომებში[21].

XIX ს-ს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდის გაგების საკითხში ქართულ საბჭოურ მეცნიერებაში კარგა ხანია არსებობს სხვაგვარი შეხედულებაც, რომელსაც კიდევ უფრო წინ გადააქვს ჩვენში ამ მოძრაობის საწყისი ფაზა. კერძოდ, ამ თვალსაზრისზე იდგა ა. კაკვიძე 1954 წელს გამოსულ ნაშრომში „საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე). ა. კაკვიძე ეროვნულ-განმათავისუფლებლად თვლიდა 1804, 1812, და 1819-20 წლების აჯანყებებს, უფრო ზუსტად ამ აჯანყებებში მონაწილე გლეხობის გამოსვლებს. იგი წერდა: „ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ მოძრაობა მთელ ქართველ მოსახლეობას მოიცავს. ერთი შეხედვით ეს არის საერთო ხალხობრივი მოძრაობა, მაგრამ საკმარისია წარმოვიდგინოთ მისი კლასობრივი საფუძვლები, რომ ცხადი გახდეს ორ ერთიმეორეზე დაპირისპირებული, ერთი მეორის საწინააღმდეგო მოძრაობა. თავადაზნაურობა იბრძვის თავისი ხელსუფლების აღდგენისათვის, ბატონყმური სამეფოს აღდგენისათვის, გლეხთა ბრძოლა კი მიმართულია წინააღმდეგ კოლონიური ჩაგვრისა, რომელიც აერთიანებდა ბატონყმურ, ბარბაროსულ ექსპლუატაციას კოლონიურ მძარცველობასთან. მაშასადამე, გლეხთა მოძრაობა ხალხთავისუფლებელი იყო"[22]. საგულისხმოდ, ა. კაკვიძე სპეციალურად არ შეჩერებულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნების დადგენაზე (ამას სწორად აღნიშნავდა თავის რეცენზიაში ნ. ბერძენიშვილი). ცნების ასეთმა დაუდგენელი შინაარსით ხმარებამ გამოიწვია უხუსტობანი ავტორის მსჯელობაში. მის მიხედვით აღნიშნული გლეხთა აჯანყებანი მხოლოდ იმდენადაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რამდენადაც ისინი მიმართული იყო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. რაც შეეხება თავადაზნაურობის გამოსვლებს, იქნებოდა ეს დამოკიდებული სახით, თუ გლეხობასთან ერთად, ისინი, ავტორის შეხედულებით, რეაქციული იყო. ასევე რეაქციულად თვლიდა იგი სოლომონ II ბრძოლას იმერეთის დამოუკიდებლობისათვის[23].

ბურის 1841 წლის აჯანყების მიმართ ა. კაკვიძე შენიშნავდა, რომ იგი (ეს აჯანყება) არ შეიძლებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად გადაქცეულიყო, რადგან იგი თავიდანვე აღმოჩნდა თურქეთის ფაშებთან კავშირში და რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ არა მარტო საკუთარ ძალას, არამედ თურქეთსა და ინგლისსაც ემყარებოდა[24]. ამ აჯანყებას ა. კაკვიძე ძირითა-

---

20 საქართველოს ისტორია, I, ტფ. ავტორთა პ. რატიანი, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიიდან, 1962, გვ. 361, 362, 363.

21 პ. ინგოროყვა და ვ. შადური ცდილობდნენ ეს მოძრაობა დაეკავშირებინათ დეკაბრისტების გამოსვლასთან.

22 ა. კაკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954, გვ. 1—2; იხ. ავტორი, გვ. 119, 120—21.

23 იქვე, გვ. 79.

24 ა. კაკვიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 208.

დად ანტიბატონყმური ხასიათისად თელდა. აქედან ჩანს, რომ ა. კიკვიძის თანახმად, გლეხობის შხილოდ ანტიბატონყმური აჯანყება არ შეიძლებოდა ჩათელილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებლად[36].

მოხედავად რიგი სადავო საკითხისა ა. კიკვიძის აღნიშნული მოსაზრება, ჭეშმარიტად ღრმად და ფრთხილად სწორსა და მართებულ დადებით დებულებებს შეიცავს. მსგავსი თვალსაზრისი განაცხადა ლ. ებანოიძემ თავის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხოგიერთი საკითხი საქართველოში", რომელიც გამოქვეყნდა 1968 წელს. ავტორის მსჯელობა საკითხზე თავისუფალია იმ ხარვეზებისაგან, რაც წინამორბედ ავტორთა შეხედულებას ჰქონდა. ღირსეულეს ყოველსა, უნდა აღინიშნოს ლ. ებანოიძის სწორი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „კლასთა ბრძოლის პარტისტულ-ლენინური მოძღვრება კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ისტორიაში ისეთ პირობებს, როცა დროებით, ქვეყნის საერთო-სახალხო ამოცანები პირველ რიგში დგებიან, თოლო ამის გამო შინაგანი კლასობრივი ბრძოლა იჩრდილება და დროებით მეორე პლანზე დგება. ასეთი ვითარება იქმნება მაშინ, როცა ქვეყანას ომი ან სხვა რაიმე საერთო-სახალხო საფრთხე ემუქრება"[37]. მკვლევარს სწორად აქვს შეფასებული, რომ ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო 1802 წლიდან, რომ ამ მოძრაობაში საერთო ინტერესებია გამო, გაერთიანებული იყო თავადაზნაურობა და გლეხობა[38].

1810 წლის იმერეთის აჯანყების შესახებ 1957 წელს ვ. დუმბაძე მიუთითებდა, რომ ცარიზმის კოლონიური რეჟიმისა და ლმპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას დამოკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა, რომ ამ ბრძოლას სახალხო-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა[39].

სვანეთის 1875—76 წლების აჯანყების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათზეა მითითებული ა. ჩარკვიანის 1967 წელს გამოსულ წიგნში „სვანეთი-

შეჩერდებით კიდევ რამდენიმე ნაშრომის განხილვაზე. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" IV ტომის წინასიტყვაობაში (ავტორი ვ. დუმბაძე) ვკითხულობთ, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველი ხალხი იბრძოდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, თავისი სახელმწი-

---

[36] შეგნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით კიკვიძის პირველი ბრძოლა შეფის რუსეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებლად თვლის საბჭოთა ისტორიოსნები. ა. პიონკი და ვ. დანილოვი. იხ. А. М. П и н к о в с к и й. О борьбе кавказских горцев с царскими колонизаторами. ВИ. 1956 № 3, გვ. 80. 87; Г. Д. Д а н и л о в. О движении горцев под руководством Шамиля. ВИ. 1956. № 7, გვ. 72. მანამდე ქართველებსა და სომხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVIII ს-ის ლიტერატურაში ეროვნულ-განმათავისუფლებლად აცხადებდა ა. ორახელაშვილი. იხ. მისი ნაშრომები გ. ქიქოძის წიგნში „ეროკლე II". „Советская книга". 1946. № 3—4,1946 და სტატია. „Армянское национально-освободительное движение в 60-х гг. XVIII столетия", Известия АН СССР. т II, № 2. 1946.

[37] ლ. ებანოიძე. ხიკოლოზ ბარათაშვილი. გვ. 110. 1976 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები" (II) ვ. გაფრინდაშვილი აზიარებს ლ. ებანოიძის აზრს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტიპზე XIX ს-ის ღამეგადაწყვეტილებულ.

[37] მანამდე თავისი თვალსაზრისი, თემაც არათანმიმდევრულად (იხ. გვ. 137, 141) ავტორმა გამოთქვა სტატიაში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებისთვის". „ძიებანი". 1959, № 2.

[38] ვ. დ უ მ ბ ა ძ ე. ნარკვევები საქართველოს XIX ს-ის პირველ ნახევარში, 1957, გვ. 196.

ფლებრივობის აღდგენისათვის, რომ კერძოდ, რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის აღდგენის მიზნებს ემსახურებოდა XIX ს-ის პირველი მეოთხედის სახალხო აჯანყებანიც. კონკრეტულად იგივეა ნათქვამი 1804, 1812, 1819—20 წლების აჯანყებებზე. თუმცა „ნარკვევების" IV ტომში ფაქტობრივად არის აღიარებული XIX ს-ის I მეოთხედის საქართველოში სახალხო თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა, მაგრამ არ ჩანს თუ სახელდობრ რა ტერმინით აღნიშნავენ აეტორები ამ მოძრაობას. ზოგან ეს მოძრაობა მოხსენიებულია „განმათავისუფლებელი მოძრაობის" სახელით[30].

„ნარკვევების" V ტომის შესავალში ვკითხულობთ, რომ საქართველოს „განმათავისუფლებელი" მოძრაობის პირველ პერიოდს წარმოადგენდა თავადაზნაურულ-პროგრესული მოძრაობა (1832—1863 წწ.)[30] აღნიშნულია ისიც, რომ ქართველმა ხალხმა XIX ს-ის დამდეგიდანვე აღიმაღლა ხმა ადგილობრივ და ეცადა შეეკავებინა წინააღმდეგ[31], რომ „პირველ პერიოდში და მთელ XIX ს-ის მანძილზე გლეხთა მოძრაობა იყო ძირითადი მასობრივი ძალა, რომელიც ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა"[32], ანდა რომ „სტიქიური ხასიათისა იყო გლეხთა აჯანყებები XIX ს-ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში"[33]. ერთი სიტყვით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის I პერიოდის გაგებაში „ნარკვევების" V ტომში წინააღმდეგობებია. მეორე მხრივ, სწორადაა შენიშნული ის გარემოება, რომ „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ისევე როგორც რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და საერთოდ ყველა მრავალეროვანი ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა მოძრაობაში, შეტ-ნაკლებად საზოგადოების ყველა კლასი, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა... ყოველ მათგანს ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო-ეროვნული დროშა მიუძღოდა"[34].

დასასრულს, აღნიშნული საკითხის გაგებაში არ ჩანს გარკვეულობა ა. ბენდიანიშვილის ხაშრომში „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801—1921 წწ." წიგნში ყველგან საუბარია ეროვნულ საკითხზე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსზე, მაგრამ მის პირველ პერიოდზე XIX ს-ის საქართველოში ნაშრომში თითქმის არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ნაწარმოების ერთადერთ (მეოთხე) გვერდზე ვკითხულობთ, რომ XIX ს-ის პირველი ოცწლეულის ანტირეჟიმული აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება, თერგდალეულთა მოღვაწეობა... — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება-გაფართოების ეტაპებია, რომ ფეოდალიზმის ხანაში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზანია ეცხოელ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლება და რომ ფეოდალიზმის ლეველისა და კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკურთან ერთად იძენს სოციალურ შინაარსსაც. აღნიშნული განცხადების ფონზე ასეთი ლაკონიური თხრობისას, ძნელი გასაზრებელი რჩება — ჰქონდათ თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი

---

30 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 939. იხ. აგრეთვე, გვ. 464, 945.
31 ნარკვევები, ტ. V, გვ. 17; იხ. აგრეთვე, გვ. 11
32 იქვე, გვ. 17
33 იქვე.
34 იქვე, ტ. IV, გვ. 661.

მოძრაობის ხასიათი XIX ს-ის ანტირეიმულ აჯანყებებს საქართველოში, თუ ისინი წარმოადგენდნენ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ეს, აშკარაა მოკლედ, ძთავარი მოშენტების ჩვენებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიოგრაფია ქართულ საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებაში. მაგრამ, პიუნედავად ხემოთქმულისა, მაინც რჩება ბევრი საკითხი, რომლებიც უფრო მეტ დაკვირვებასა და გაანალიზებას მოითხოვს. შევეხოთ პრობლემის მეთოდოლოგიურ მხარესაც.

ისტორიულ მატერიალიზმში ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ ის აზრი, რომ კლასობრივად გათიშულ საზოგადოებაში ადგილი აქვს ბრძოლას ამ კლასებს შორის. მაგრამ არის ერთი მოშენტი, რაც საგრძნობლად ამოდიფიცირებს, აზღვაფერებს ამ კანონზომიერებას. საქმე ეხება ვითარებას, როდესაც ესა თუ ის საზოგადოება, ხალხი დაპყრობის საფრთხის წინაშეა, ან უკვე დაპყრობილია. ასეთ შემთხვევებში ბუნებრივია, რომ მოცემულ საზოგადოებას, ეთნოსს უნდება საერთო ინტერესები, რის გამოც ხდება საზოგადოების შემადგენელი კლასებისა და ფენების დროებითი გაერთიანება. ისტორიულმა მატერიალიზმმა ამაზე უკვე დიდი ხნის წინათ მიაქცია ყურადღება. ფ. ენგელსი 1875 წელს წერდა: „სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობლის მიერ, იგი აუცილებლობით ძიმართავს მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას საგარეო მტრის წინააღმდეგ და სანამ მისი საშინაო ცხოვრება რჩება ამგვარად პარალიზებული, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლებისათვის. ირლანდია, რუსეთი თათარ-მოხლოლთა უღლის ქვეშ და ა. შ. იძლევიან ამ მდგომარეობის ნათელ დადასტურებას"[35].

რუსეთის XIX ს-ის 50-60-იანი წლების ვითარების მიმართ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის ჩასაც"[36]. 1921 წელს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოძრაობა წარიმართება ჯერ ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ - კაპიტალიზმის წინააღმდეგ[37]. ამრიგად, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი საკმაოდ ნათლად მიუთითებდნენ გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში მთელი ერის შეკავშირების შესაძლებლობაზე.

ამავე საკითხზე 1967 წელს გამოსულ მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „კოლონიური ბატონობის პერიოდში თითქმის ყველა კლასი და სოციალური ფენა განიცდის კოლონიზატორთა მხრიდან ჩაგვრას და ამიტომ ამა თუ იმ ზომით მონაწილეობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის მხარდასაჭერად ერთიმეორის მხარდამხარ გამოდიან ქალაქისა და სოფლის პროლეტარები, გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ზოგჯერ პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურობაც"[38]. ეს, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია თანამედროვე

---

[35] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 18, გვ. 555.

[36] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 369—70.

[37] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 614.

[38] Основы научного коммунизма, М., 1967, გვ. 185; იხ. აგრეთვე, გვ. 190.

ბესაშე საფყაროს მიმართ. კლასობრივი ფორმაციების მიმართ საერთოდ ეს გარემოება აღნიშნული აქვს საბჭოთა ფილოსოფოსს ა. ა. მაკაროვსკის[39].

საქართველოს ისტორია ზემოაღნიშნულის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი სიტუაციები ჩვენს ისტორიაში ძალზე ხშირი იყო. შესაბამისად ჩვენში კლასთა ბრძოლა უფრო დიდი ხნის განმავლობაში იბაცვლებდა უკანა პლანზე და ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ მეცნიერებას, მასზე მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ნათაძე, ს. დანელია, ნ. ბერძენიშვილი (ნაწილობრივ)[40].

აქ კითხვა ისმის: როგორია თანაფარდობა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტას აღნიშნულ სიტუაციებში? დგება ისინი თანაბრად, თუ სოციალური საკითხი მაინც წინა პლანზე იწევს. ამაზედაც დამაჯერებელ პასუხს ვპოულობთ ფ. ენგელსთან. მისი შეხედულებით, „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის[41]: მაგრამ სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად არ შეუძლია განიხილოს რამდენადმე სერიოზულად რაიმე საშინაო საკითხები-[42].

ფ. ენგელსის ავტორიტეტს გარეშეც ნათელია ის გარემოება, რომ დაპყრობილმა ერმა მთელი ენერგია უნდა წარიმართოს უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, რომ სოციალური საკითხი ამჯერად უკანა პლანზე გადავა. იგი, სოციალური საკითხი, წინა პლანზე წამოიწევა მხოლოდ ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ენგელსს მოჰყონდა იტალიის, გერმანიისა და უნგრეთის მაგალითები და უჩვენებდა, რომ გასული საუკუნის 60-იან. 70-იან წლებამდე სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ამ ქვეყნებში ძალზე ნელა მიდიოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის უჭონლობის გამო. აქ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ სოციალური განთავისუფლების საქმე წინ წავიდა[43] შემდგომში, 1893 წელს, აღნიშნულ აზრი ფ. ენგელსის მიერ ასე იქნა განვითარებული: „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველ ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად-[44] ამის შემდეგ შეეცდებით დასმულ საკითხზე ჩვენი პოზიციის დასაბუთებას.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია ის თვალსაზრისი, რომელიც XIX ს-ის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპს ხედავს ამ საუკუნის პირველი ოცწლეულის გამოსვლებში. ცდება ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი და ლიტერატურისმცოდნე, როდესაც დეკაბრისტების ჯავლენით

---

[39] А. А. Макаровский. Общественный прогресс. М., 1870. გვ 177.

[40] ამ საკითხის ზოგად, თეორიულ პლანში, ისე კონკრეტულად საქართველოს ისტორიის მასალაზე იხ. თვისებები ჩვენი ნაშრომებისა „К проблеме модификации закономерности классовой борьбы" (კრებულში „Актуальные проблемы детерминизма". Тб., 1980).

[41] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 35. გვ 221.

[42] იქვე, გვ. 230; იხ აგრეთვე. К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т 22, გვ 220.

[43] К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 35. გვ. 220.

[44] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. 1947. გვ XXI.

ხსნიან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას XIX ს-ში. ამით ისინი უგულვებელყოფენ საქართველოს ვითარების სპეციფიკურობას XIX ს-ში. თუ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის განვითარებაში განპირობებული იყო ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური (მასების პოლიტიკური შეგნების განვითარების ბაზაზე) და ა. შ. ღმაველობით, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დიდ იმპულსს აძლევდა ქვეყნის კოლონიური ჩაგვრა, სახელმწიფოებრივობის დაკარგვა, და ა. შ. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობეს ქართველი ხალხის ფართო ხასიათის გამოსვლები XIX ს-ის პირველ ოცწლეულში[45], ავრეთვე გურიის 1841 წლის აჯანყების დროს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს აჯანყებები მასობრიობითა და ხანგრძლივობით გაცილებით მეტი იყო დეკაბრისტების 1825 წლის გამოსვლასთან შედარებით. სხვა ამბავია, რომ საქართველოს ისტორიის ძნელბედობის გამო შეჭმნილმა ვითარებამ განაპირობა რა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა, ამით ავრეთვე ამ აჯანყებათა ლოკალური, ისტორიულ თვებშიდა ხასიათი გამოიწვია.

ალარ შევჩერდებით დაწვრილებით იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრებობა განაპირობებდა ფართო მასების გაერთიანებას ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ის ისტორიკოსები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ძირითადია თითოეული კლასის, სოციალური ჯგუფის კლასობრივი და ა. შ. ინტერესები, მიზნები, რომ ამდენად, საერთო ეროვნულ ინტერესზე. ბოჭანზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში გამორიცხულია. მაგრამ მათ აიწყდებათ, რომ როგორც ყოველი სახის სოციალურად დაშრევებული ეთნოსი, ასევე ერიც არაა ფიქცია, რომ იგი გარკვეული აზრით ისეთივე რეალობაა როგორც სოციალური კლასი, ჯგუფი. რამდენადაც ერს როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობას რეალური ხასიათი აქვს, იმდენად რეალურად არსებობს საერთო ეროვნული ინტერესი, მიზანი, რაც პირველ რიგში, ერის უფლებობის შემთხვევაში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას გულისხმობს. ეს ამოცანა კი ხორციელდება ერის უდიდესი ნაწილის გაერთიანებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაკვირველია, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და მისი ძირითადი ამოცანაა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ან შექმნა. ამისაგან განსხვავებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძა ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია იშლება დროის მოკლე მონაკვეთში; უკანასკნელის უპირველეს ამოცანას შეადგენს იგივე მიზანი, რაც აქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ საზოგადოება ისწრაფვის რადიკალური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნებისაკენ. ამას ადგილი აქვს თანამედროვე მესამე სამყაროს ნაწილში და ისიც. უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. ამას კი თავისი მიზეზები

---

45 ნ. ბერძენიშვილის თანახმად, კახეთის 1812 წლის აჯანყების ყველაზე ფაზაში — სექტემბერ-ნოემბერში — მონაწილეობას იღებდა ამ ისტორიული თემის გლეხობის თითქმის მთელი მოზრდილი მამა — 12—16 ათასამდე კომლი, ანუ 40000 გლეხი (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 486). ასევე თავდაბლაურობის ეპიზოდია. იგივე ითქმის საქართველოს დანარჩენ აჯანყებულ მხარეებზე.

აქვს, რაც არ არსებობდა უწინ, განსაკუთრებით XIX ს-ში, მეორე მსოფლიო ომამდეც კი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანდა ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია, რასაც ადგილი აქვს მესამე სამყაროს ნაწილში უახლესი ხანის ისტორიაში, ესაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კულმინაციური მომენტი, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში ხორციელდება და რომელიც სოციალ-პოლიტიკური რევოლუციის წანამძღვარია, ამიტომ იგი ამ მოძრაობის ყველაზე მაღალი განვითარების შედეგია.

ყოველ შემთხვევაში ცალკეული მაგალითების ფონზე აღნიშნული გარემოება საკმაოდ ნათლად დგინდება ხოლმე. საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ ის ფაქტი, რომ პოლონეთის 1794, 1830—31 და 1863 წლის აჯანყებებში სოციალური საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. მაგრამ მიუხედავად ამისა არავისში არ იწვევს უკვე ამ აჯანყებების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი. აგრეთვე რუსი ხალხის 1812 წლის სამამულო ომზე ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ[48] და ა. შ. სწორედ ამავე რიგის მოვლენაა XIX ს-ის პირველი ოცწლეულის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც.

დასასრულს, შეიძლება გვითხრან იმის შესახებ, რომ XIX ს-ის პირველ ოცწლეულში ქართველთა ეთნიკური ერთობა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ერის ფორმით, ამდენად, ამ პერიოდის მოძრაობა იყო მხოლოდ სახალხო-განმათავისუფლებელი და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე თვალსაზრისით, XX ს-ის ცალკეული ათწლეულების მანძილზე აზიისა და აფრიკის რიგი ხალხების ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ არ არიან ერად ჩამოყალიბებულნი.

დაბოლოს, ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აქვს ერთი ასპექტიც, რომელიც კიდევ უფრო წარმოაჩენს მის პროგრესულობას. თუ ამ მოძრაობას განვიხილავთ უფრო ფართო ფონზე, სახელდობრ დასავლეთ ევროპის დემოკრატიისა და რევოლუციის, ერთი მხრივ, და დასავლეთ ევროპის რეაქციისა და რუსეთის ცარიზმის, მეორე მხრივ, დაპირისპირების ფონზე, ადვილად დავინახავთ რომ საქართველო, იყო რა რევოლუციური ელემენტი რუსეთის იმპერიაში, ამით მას თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა ისტორიის აღმავალ განვითარებაში. ამაზე უკვე იქნა გამახვილებული უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ამრიგად, ჩვენ სწორად მიგვაჩნია ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX ს-ში თითქმის ამ საუკუნის დასაწყისიდანვე იღებდა სათავეს.

---

[48] კიდევ მეტი. ა. სურინოვის ალბომში გამოსულ ნიგნში „Минин и Пожарский" რუსი ხალხის ბრძოლა პოლონელი და შვედი ინტერვენტების წინააღმდეგ XVII ს-ის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებლად არის განხილული.

Г. В. КОРАНАШВИЛИ

К ВОПРОСУ О ПЕРВОМ ПЕРИОДЕ НАЦИОНАЛЬНО-ОСВОБОДИТЕЛЬНОГО ДВИЖЕНИЯ В ГРУЗИИ В XIX ВЕКЕ

Резюме

В грузинской историографии господствует взгляд, согласно которому национально-освободительное движение в Грузии под игом царской России началось лишь с 60-х годов прошлого столетия. Оно связывается с появлением элементов буржуазного развития, обострением социального вопроса. В противовес такой точке зрения автор статьи доказывает, что начало грузинского национально-освободительного движения в составе Русской империи надо искать уже в первом десятилетии XIX столетия, когда Грузия потеряла национальную самостоятельность и путем восстаний старалась восстановить ее.

G. KORANASHVILI

THE PROBLEM OF THE BEGINNING OF THE NATIONAL—LIBERATION MOVEMENT IN THE GEORGIA OF 19th CENTURY

Summary

In the Georgian historiography is dominant the opinion according to which the Georgian movement for national independence under the yoke of the Tsarist Russia has begun since the 60-s of the last century It is Connected with the elements of bourgeois development. To counterbalance this opinion the author of the article proves that the beginning of the Georgian movement for national independence under the Tsarist Russia one must already seek in the first decade of the 19th century when Georgia lost its national independence and tried to restore it by uprisings.

HUBERT KAUFHOLD

STAND UND AUFGABEN DER ERFORSCHUNG DES GEORGISCHEN UND ARMENISCHEN RECHTS — AUS DOUTSCHER SICHT *

Der erste, der sich in Westeuropa mit georgischen und armenischen Rechtsquellen beschäftigte, war meines Wissens der Franzose Marie—Félicité Brosset (1802—1880). 1829 veröffentlichte er einen Bericht über eine Handschrift mit der Rechtssammlung des georgischen Königs Vaḫtang VI.[1]. Der französische Botschafter in Tiflis hatte sie kurz vorher, 1826, der Königlichen Bibliothek in Paris überlassen[2]. Brosset, überhaupt der Begründer der wissenschaftlichen georgischen Studien im Westen[3], war aber kein Jurist. Von seinen zahlreichen Veröffentlichungen[4] betreffen auch nur wenige die Rechtsliteratur.[5]

Als erster Jurist nahm der Berliner Professor Friedrich August Biener (1787—1861) Notiz von den kaukasischen Quellen. Ihn interessierten aber nicht das armenische und georgische Recht als solches. Es ging ihm vielmehr um das Nachleben des römischen Rechts darin, um juristische Literaturgeschichte. Ein Jahr nach Brossets Bericht, nämlich 1830, erschien Bieners Aufsatz „Vorläufige Nachricht über einige, noch jetzt geltende, Georgische (Grusinische) und Armenische Rechtssammlungen"[6]. Darin befaßt er

---

* [illegible] 28 [illegible]

[1] Notice du Code géorgien, manuscrits de la Bibliothèque Royal. In: Nouveau Journal Asiatique 3 (Paris 1829) 177-210, 384.

[2] Vgl. F. Macler, Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de la Bibliothèque Nationale. Paris 1908, S. 176, Nr. 24 (=Anc. fonds géorg. 5).

[3] Vgl. K. Salia, Le centenaire du décès de Marie-Félicité Brosset (1802-1880). In: Bedi Kartlisa 38 (Paris 1980) 7-22.

[4] Vgl. [L. Brosset]. Bibliographie analitique des ouvrages de Monsieur M.-F. Brosset 1824-1879. Saint-Pétersbourg 1887.

[5] Außer dem in Fußnote 1 genannten Aufsatz: „Extrait d'un code géorgien redigé par le prince Vakhtang". In: J. M. Pardessus, Collection de Lois maritimes antérieures au XVIII^e siècle. Tome 3, Paris 1834, S. 530-531. „Notice sur un Nomocanon géorgien [illegible] manuscrit du Musée Asiatique". In: Bulletin de l'Academie Impériale des Sciences de St.-Pétersbourg 19 (1874) 337-374. „Détails sur le droit public arménien, extraits du Code géorgien du roi Wakhtang, et traduits du géorgien." In: Nouveau Journal Asiatique 9(1832) 21-30. „Rapport sur un manuscrit arménien, Mekhitar Gosch, Livre del décision judiciaire." St.-Pétersbourg 1849.

[6] In: Kritische Zeitschrift für Rechtswissenschaft und Gesetzgebung des Auslandes 2 (Heidelberg 1830) 233-244.

sich zunächst mit der Frage, wieweit die späteren griechischen, moldauischen und russischen Rechtsquellen römisches Recht enthalten und geht am Schluß auf wenigen Seiten auf die Sammlung Vaḫtangs VI und den Großen Nomokanon sowie das Rechtsbuch der Armenier in Astrachan und das Kanonagirk' ein. Seine alleinigen Quellen sind der Aufsatz von Brosset und briefliche Mitteilungen des Petersburger wirklichen Staatsrathes Freiherrn von Rosenkampff. Diesem stand dienstlich eine 1823 nach St Petersburg geschickte russische Übersetzung der Sammlung Vaḫtangs zur Verfügung, „weil die Kenntniß und Bearbeitung der geltenden Provincialrechte zu den Attributen der Gesetzcommission gehört“.[7] Es ist wohl diejenige Übersetzung, die der Dirigierende Senat 1828 drucken ließ[8]

1838 veröffentlichte Kardinal Angelo Mai, der Präfekt der Vatikanischen Bibliothek, im zehnten Band seiner weitgespannten Sammlung „Scriptorum Veterum Nova Collectio“ auch Kanones der armenischen Kirche in lateinischer Übersetzung, nach einer Handschrift in Rom[9]. Die Übersetzung stammt allerdings nicht von ihm, sondern von einem offenbar dort weilenden armenisch—katholischen Antoniter-Mönch.[10]

Nähere Kenntnisse über das weltliche Recht verschaffte dann August Franz Ludwig Maria Freiherr von Haxthausen (1792-1866).[11] Er hatte in Göttingen Jura studiert und sich dann mit der Agrarverfassung in Westfalen und Preußen beschäftigt. Nachdem Zar Nikolaus durch eine Veröffentlichung auf ihn aufmerksam geworden war, ließ er ihn 1843 bis 1844 die Agrarverhältnisse im russischen Reich untersuchen. Als Ergebnis seines Aufenthalts erschienen unter anderem 1856 in Leipzig seine zweibändigen „Reiseerinnerungen und gesammelten Notizen“ unter dem Titel „Transkaukasia. Andeutungen über das Familien=und Gemeindeleben und die socialen Verhältnisse einiger Völker zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meere“. Besonders im Anhang zum zweiten Teil geht er auf die Jurisprudenz in Transkaukasien ein und gibt Auszüge aus der Sammlung Vaḫtangs.[12] Seine deutsche Übersetzung beruht auf der schon erwähnten russischen.

Einem Teilbereich, dem Recht der Armenier in Polen und in Lemberg, widmete sich der österreichische Rechtshistoriker Ferdinand Bischoff (1826-1915). Er wurde 1851 Privatdozent in Ölmütz und veröffentlichte daraufhin ein Buch über das alte Ölmützer Recht. Seine 1857 und 1862 er-

---

[7] Biner aaO 239

[8] Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. Изд. Правительствующего Сената С. Петербург, 1828.

[9] Es handelt sich um die Hs. Borg. armen. 60. s. Mai aaO, Praefatio S. XXI. E. Tisserant, Codices Armeni Bybliothecae Vaticanae, Rom 1927, S. 87-91.

[10] Mai aaO, S. 316 der zweiten Paginierung: „P. Arsenius Angiarakiacus“, „monachus instituti antoniani“

[11] S. Allgemeine Deutsche Biographie, Band 11 (1880), S 119-121.

[12] S 196-266. Das Buch von Haxthausens erschien übrigens 1872 in Vagarschapat auch in einer armenischen Übersetzung von Aristakes Sendrakean.

schienenen Arbeiten über das armenische Recht[13] verdanken wir wohl nur dem Umstand, daß er 1855 eine Professur in Lemberg erhalten hatte.

Als nächster ist der Berliner Orientalist Heinrich Petermann (1801-1876) zu nennen. Er war ein eifriger Handschriftensammler und bekam 1865 von einem armenischen Studenten aus Erewan eine armenische Handschrift. Sie enthielt die „Gesetze Konstantins", das Datastanagirk' des Mhit'ar Goš, die Kanones des Johannes von Erznka sowie weitere Kanones. Petermann berichtet darüber 1867 kurz der Berliner Akademie der Wissenschaften[14]. Dabei geht er aber kaum auf die original-armenischen Texte ein, sondern auch bei ihm steht das römische Recht ganz im Vordergrund, nämlich die Gesetze Konstantins. Er weist bereits auf einen syrischen Text dieser Quelle hin. 1880 werden dann die syrischen Versionen sowie die arabische und armenische als „Syrisch-römisches Rechtsbuch" von dem Rechtshistoriker Karl Georg Bruns und dem Orientalisten Eduard Sachau herausgegeben, übersetzt und kommentiert.[15]

Einige zusätzliche Kenntnisse verdankte die damalige wissenschaftliche Welt einem weiteren „Kaiserlich Russischen wirklichen Geheimerath in Petersburg", Romuald von Hube. Er hatte um 1850 in Sankt Petersburg mit Hilfe des armenischen Staatsrates Chudobtschew eine juristische Sammelhandschrift aus der Patriarchatsbibliothek von Edsmiacin untersucht und machte 1882 nach dem Erscheinen der Ausgabe von Bruns und Sachau kurz darüber Mitteilung.[16]

Ich kann hier nicht die Geschichte der armenischen und georgischen Rechtsstudien in Westeuropa im einzelnen weiterverfolgen, auch wenn sie

---

[13] „Das alte Recht der Armenier in Polen. Aus Urkunden des Lemberger Stadtarchivs." In: Oesterreichische Blätter für Literatur und Kunst 1857, S. 217-219, 257-260, 289-291, 305-307. „Das alte Recht der Armenier in Lemberg". In: Sitzungsberichte der Kaiserl. Akad. der Wissenschaften 40 (Wien 1862) 255-302.

[14] Monatsberichte der Königlichen Preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, 1879, Berlin 1868, S. 410-424.

[15] Syrisch-römisches Rechtsbuch aus dem fünften Jahrhundert. Leipzig 1880. Für die Ausgabe des armenischen Textes benutzte Sachau nur die Handschrift Petermanns, in die dieser die Lesarten einer anderen, unbekannten Handschriften eingetragen hatte; die Handschrift war als Ms. or. oct 278 in den Besitz der Berliner Königlichen Bibliothek übergegangen (anO Teil 2, S. 162f; Katalog N. Karamianz. Verzeichnis der armenischen Handschriften der königlichen Bibliothek zu Berlin, Berlin 1888, S. 45f (Nr 36)).

[16] „Zur Beleuchtung der Schicsale des sogenannten Syrisch-Römischen Rechtsbuches", in: Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte. Romanistische Abteilung. Band 3, Weimar 1882, 17-21. Seine Angaben sind leider nur sehr knapp, doch wird er danach wohl die heute im Matenadaran als Nr. 488 aufbewahrte Handschrift aus dem Jahre 1296 in den Händen gehabt haben.

gar nicht so lang sind.[17] Ich wollte nur einen Eindruck davon geben, wieweit die Beschäftigung mit diesen Rechtsordnungen doch von Zufälligkeiten abhing—Erwerb von Handschriften oder Verleihung einer Professur—und daß Ausgangspunkte und Ziele ganz unterschiedlich waren. Unter den Forschern treffen wir auch nur zum Teil Juristen. Dabei ist es bis heute geblieben. Eine wissenschaftliche Schultradition für die Beschäftigung mit dem kaukasischen Recht hat es außerhalb Armeniens und Georgiens nie gegeben. Nur nebenbei sei bemerkt, daß es sich bei der allgemeinen Armenistik und Kartwelologie nicht viel besser verhält.

Vielleicht doch noch ein Beispiel: Im ersten Jahrzehnt unseres Jahrhunderts veröffentlichte Felix Holldack, später Professor für internationales Recht und Rechtsphilosophie in Leipzig, mehrere Arbeiten zum georgischen Recht. Über den Anlaß seiner Beschäftigung damit schreibt er im Vorwort seines Buches „Zwei Grundsteine zu einer grusinischen Staats—und Rechtsgeschichte" (Leipzig 1907) folgendes: „Diese Aufzeichnungen sind entstanden aus einer nunmehr bereits mehrere Jahre zurückliegenden Aufforderung, den hohen Kaukasus zu besuchen. Der bald darauf ausbrechende Krieg[18] zerriß den schönen Plan, doch blieb mir der rege Wunsch, weiter mich in das Studium der Geschichte und Geschicke der kaukasischen Völker zu vertiefen. Hier fesselte mich zunächst die Sagengestalt der Königin Tamara. ." Sie erscheint auch 1906 im Titel seiner Heidelberger Dissertation: „Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara (Verfassungsgeschichtliches und Rechtsphilosophisches)".[19] Holldack stützt sich übrigens bei seinen Arbeiten auf die 1887 in Tiflis erschienene russische Übersetzung der Sammlung Vachtangs V von Frenkel und Bakradze. Er scheint aber auch Kenntnisse der georgischen Sprache gehabt zu haben, wie gelegentliche Originalzitate zeigen.

Eine gewisse Belebung erfuhren die Studien über die kaukasischen Rechte wohl durch die Idee von einer Universalrechtsgeschichte die vor allem der berühmte Jurist Josef Kohler (1849-1919) verfolgte und zu der das Material durch rechtsvergleichende Forschungen beschafft werden mußte.[20] Dies kommt auch im Titel der „Zeitschrift für vergleichende Rechtswis-

---

[17] Im 19. Jhdt. haben die Franzosen Edouard Dulaurier und Victor Langlois durch ihre Arbeiten über das kilikische kleinarmenische Reich ebenfalls zur Kenntnis des armenischen Rechts beigetragen (1862, 1863) ferner Rodolphe Dareste, der in seinen Etudes d'histoire du droit, Paris 1889, das 6. Kapitel (S. 119-157) Armenien, Georgien und dem Kaukasus widmet. Zu erwähnen wären noch die Engländer Frederick Cornwallis Conybeare und Oliver Wardrop. Abgesehen von ihren sonstigen Verdiensten um die armenischen und georgischen Studien übersetzte ersterer die armenischen Kanones von Ankyra (1891) sowie die des Katholikos Sahak (1896), sein jüngerer Landsmann die Gesetze des georgischen Königs Georg V „des Glänzenden" (1914)

[18] Gemeint ist der russisch-japanische Krieg 1904/05.

[19] Die Dissertation stellt den ersten Teil seines Buches „Zwei Grundsteine zu einer Grusinischen Staats- und Rechtsgeschichte" dar

[20] Vgl etwa L. Wenger, Die Quellen des römischen Rechts, Wien 1953 S 15-23

senschaft" zum Ausdruck. in der um die Jahrhundertwende einige Aufsätze zum armenischen und georgischen Recht erschienen: von Kohler selbst (1887. 1906). von Josef Karst (1906/1907), Richard Klutmann (1908)[21], Arsen Kidschian (1910. 1911) und Friedrich Jeßner (1913)[22].

Während im 19. Jhdt —wie wir gesehen haben— das Interesse am römischen Recht ganz im Vordergrund gestanden hatte, wandte bereits die vergleichende Rechtsgeschichte ihre Interesse anderen Rechtsordnungen zu. Aber auch bei den Vertretern der römischen Rechtsgeschichte griff seit dem Ende des letzten Jahrhunderts eine neue Forschungsrichtung über die traditionellen Quellen der Pandektenwissenschaft hinaus und stellte „das römische Recht in den breiten Rahmen der gesamten antiken Rechtsüberlieferung"[23], bezog also Inschriften, Papyri, keilschriftliche und andere Rechtsquellen mit ein, also vor allem hellenistisches, ägyptisches, mesopotamisches, jüdisches, aber auch christlich-orientalisches Recht. Leopold Wenger prägte dafür den Begriff „Antike Rechtsgeschichte" [24] In seinem monumentalen Werk „Die Quellen des römisches Rechts" (Wien 1953) schließt Wenger die kaukasischen Rechtsordnungen mit ein. Er schreibt „Haben die syrischen Rechtbücher auch die Romanisten schon länger und neuerdings stärker beschäftigt, so wie es ein Vortrag auf dem Congressus des Pontificium Institutum in auch dem antiken Rechtshistoriker heute vielfach noch ferner liegende Gebiete: Garabed Amaduni, Influsso del diritto giustinianeo sul diritto armeno e quantità di tale influsso.[25] Indes, es ist von rechtsvergleichender Forschung doch schon lange auch das armenische Recht herangezogen worden, und es hat die Herausgabe des Armenischen Rechtsbuchs solche Studien in bester Weise fördern können, wie wir denn anderseits dem verdienten Herausgeber Joseph Karts kürzlich Untersuchungen über das kanonische Recht der karthwelischen Kaukasusvölker zu verdanken haben[26]. Wie

[21] Es handelt sich um eine Heidelberger juristische Dissertation Kenntnisse der georgischen Sprache hatte der Verfasser, der in München und Berlin studiert hatte, wohl nicht. Auch er stützt sich auf die Übersetzung von Frenkel und Bakradze. Woher die Anregung zu der Arbeit kam, konnte ich nicht feststellen, wohl kaum von dem Berichterstatter, dem Heidelberger Pandektisten Ernst Immanuel Bekker (1827-1916) auch wenn F. Wieacker (Privatrechtsgeschichte der Neuzeit, 2. Aufl., Göttingen 1966, S. 445) „den Reichtum seiner juristischen Einfälle und umfassende Bildung" rühmt. Bei M. Kriechbaum, Dogmatik und Rechtsgeschichte bei Ernst Immanuel Bekker, Ebelsbach 1984, habe ich ebenfalls keinen Anhaltspunkt dafür gefunden, daß Bekker besonderes Interesse am georgischen Recht hatte.

[22] Auch sein Beitrag ist eine juristische Dissertation (Leipzig 1912). Er behandelt das karthwelische Recht nur aufgrund der westlichen Veröffentlichungen, offenbar ohne eigene Quellenkenntnis.

[23] W. Kunkel, Leopold Wenger. In: Geist und Gestalt. Biographische Beiträge zur Geschichte der Bayerischen Akademie der Wissenschaften. Band 1, München 1959, S. 255.

[24] Vgl. seine 1904 gehaltene Wiener Antrittsvorlesung „Römische und Antike Rechtsgeschichte", Wien 1905 und zuletzt Die Quellen des römischen Rechts 27-33.

[25] Gemeint ist ein Vortrag aus dem Jahre 1935, veröffentlicht in: Acta congressus juridici internationalis. Romae 12-17 novembris 1934. Vol. 2, Rom 1935, S. 225-258.

[26] Wenger weist hin auf Karsts „Sempadscher Kodex aus dem 13. Jhdt.", Straßburg 1905, und dessen Aufsatz „Recherches sur l'histoire du droit ecclésiastique carthvelien", in: Archives d'histoire du droit oriental 1 (1937) 321-391, 2 (1938) 367-401.

sich die Fäden der vorderasiatischen Rechtsordnungen vom armenischen zu den kaukasischen Rechten und anderseits zu den Keilschriftrechten, auch jüdischen und römisch—christlichen Normen verwirrend ziehen und miteinander verschlingen, wird nur mühevolle Forschung zu entwirren vermögen, von der ein einigermaßen klares Bild zu geben weithin anderer wissenschaftlicher Kompetenz als der des Romanisten zusteht." (S. 430f.). Und in einer Fußnote merkt er an: „Zu einer wenigstens hinweisenden Heranziehung solcher Probleme aus den Grenzgebieten sei darum nochmals an das zentrale Problem der Antiken Rechtsgeschichte erinnert, deren Rahmen so weit gespannt sein muß wie der der Alten Geschichte überhaupt." Resonanz hat dieser Appell—was das armenische und georgische Recht anbelangt—nicht gefunden. Meines Wissens hat sich kein Vertreter der römischen Rechtsgeschichte in den letzten Jahrzehnten für kompetent gehalten, sich mit dem armenischen oder georgischen Recht zu befassen. Man steht heute Wengers Vorstellungen allerdings auch zurückhaltender gegenüber [27].

Bei dem oben erwähnten Beitrag von Josef Karst in der Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft handelt es sich um seinen auch heute noch grundlegenden Aufsatz „Grundriß und Geschichte des armenischen Rechtes". Karst (* 1871, gestorben nach 1950) war übrigens auch kein Rechtshistoriker, sondern Sprachwissenschaftler, Schüler Heinrich Hübschmanns in Straßburg.[28] Gleichwohl verdanken wir ihm die schon von Wenger erwähnten weiteren wichtige Arbeiten zum armenischen und georgischen Recht.

Arsen Klidschian (Արսէն Դլիճեան), der ebenfalls in der Zeitschrift für vergleichende Rechtsgeschichte publizierte, gehört zu den Armeniern, die sich zum Studium in Westen aufhielten und einige Beiträge zum armenischen Recht, insbesondere Dissertationen schrieben.[29]

Nicht übergangen seine auch Karapet J. Basmadjian (Կարապետ Ե. Բասմաճեան) zu Anfang unseres Jahrhunderts in Paris[30], die Venediger und

---

[27] Vgl. etwa F. Wieacker, Römische Rechtsgeschichte. 1. Abschnitt, München 1988, S. 106.

[28] Sein Dissertation 1899 behandelt „Aussprache und Vokalisation des Kilikisch-Armenischen".

[29] Agop Megaworian, Etude ethnographique et juridique sur la famille et le mariage arménienne (jur. Dissert. Lausanne 1894); Arsen Klidschian, Das armenische Eherecht und die Grundzüge der armenischen Familienorgaisation (jur. Dissert. Zürich, 1911). Abel Abrahamian, Die Grundlagen des armenischen Kirchenrechts (jur. Dissert. Zürich, 1917). Klidschian verdanken wir eine ganze Reihe weiterer Arbeiten, die er nach seiner Rückkehr nach Armenien dort veröffentlichte.

[30] Vor allem in der Zeitschrift „Banaser Revue philologique et historique", Paris.

[31] Einige wichtige Arbeiten der drei letztgenannten Venediger Mechitharisten erscheinen in einer Reihe, die der Vorbereitung eines kirchlichen Gesetzbuches für die katholischen Ostkirchen diente: Codificazione Canonica Orientale. Fonti 1930ff.

[32] Vor allem sein "Bulletin arménologique" (in: Mélanges de l'Université Saint Joseph 27 und 30, Beyrouth 1947/48 bzw. 1953), das weithin der Rechtsliteratur gewidmet ist.

Wiener Mechitharisten wie Gevond Ališan (Ղեւոնդ Ալիշան, 1820-1901), Garabed Amadouni (Կարապետ Ամատունի), Wardan Hatzuni (Վարդան Հացունի), Hemalagh Ghetikian (Հեմալեղեան Ղեւոնդ)[31], Hamazasp Oskian (Համազասպ Օսկեան) und Nerses Akinian (Ներսէս Ակինեան; 1883-1963), nicht zuletzt der Beiruter armenische Jesuit Jean Mécérian (1888-1965)[32]. Soweit ihre rechtsgeschichtlichen Arbeiten in einer westeuropäischen Sprache publiziert wurden, trugen sie im Abendland zur Kenntnis des armenischen Rechts bei.

Beiträge von georgischer Seite über georgisches Recht in einer westlichen Sprache sind dagegen seltener. Erwähnen könnte man den Aufsatz über "Die «Lehre der zwölf Apostel» in der georgischen Überlieferung" von Gregor Peradze (1899-1945)[33], der seit 1927 Lektor für Georgisch und Armenisch an der Universität Bonn war, ferner Michael Tarchnišvili (1897—1958), in dessen deutscher Bearbeitung des I. Bandes der Geschichte der Georgischen Literatur von Korneli Kekelidze auch ein Kapitel dem Kirchenrecht gewidmet ist[34]. In neuerer Zeit sind—abgesehen von vielen hilfreichen deutschen, englischen oder französischen Resümees in einschlägigen Veröffentlichungen—auch mehrere Beiträge georgischer Wissenschaftler über das Recht Georgiens in der Pariser Zeitschrift Bedi Kartlisa erschienen. Hinzuweisen ist an dieser Stelle auch auf die „Introduction à l'étude de la féodalité géorgienne" des in Paris lehrenden Georgiers Georges Charachidzé (Genf 1971).

Mit der Sprache der Veröffentlichungen sind wir bei dem Hauptproblem, daß das Studium des armenischen und georgischen Rechts so erschwert. Natürlich sind in Georgien und Armenien seit über einem Jahrhundert zahlreiche Arbeiten über kirchliches und weltliches Recht erschienen. Ich brauche die Namen der Verfasser und Herausgeber hier ja nicht zu nennen. Es liegen die wichtigsten Rechtsquellen in Ausgaben vor, teilweise sogar mehrfach ediert. Ich erinnere nur an das Kanonbuch (Կանոնագիրք Հայոց), das Datastanagirk' des Mhit'ar Gos, die Rechtsbücher des Smbad Sparapet und des David von Gandzak (des Sohnes des Alavik), die Assisen von Antiochia u. a., ferner—von den georgischen Quellen—an den Kleinen und Großen Nomokanon, die Syncde von Rus-Urbnisi, die „Hausordnung des Königshofes" (კარისკაცობის განგება), das Dasturlamali, die Sammlung Vachtangs VI. und die sonstigen Quellen in der acht dicke Bände umfassenden Sammlung „Denkmäler des georgischen Rechts" von Isidore Dolidze. Das ist eine beeindruckende Leistung. Von diesen Texte gibt es jedoch nur zu einem geringen Teil Übersetzungen. Am ehesten sind sie noch ins Russische übersetzt. Man muß aber leider feststellen, daß auch die Kenntisse des Russischen etwa in Deutschland wenig verbreitet sind, so daß diese Übersetzungen dort nicht viel nützen. Es ist deshalb nicht übertrieben, wenn man behauptet, daß weder die georgischen und armenischen Rechtsquellen noch die Ergebnisse der hiesigen Rechtshistoriker im Westen in größe-

[33] Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft 31 (1932) 111-116.

[34] M. Tarchnišvili (in Verbindung mit J. Aßlalg), Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. Vatikanstadt 1955. S. 423-439.

rem Umfang zur Kenntnis genommen worden sind. Über den Stand von Karst sind wir eigentlich noch nicht wesentlich hinausgekommen. Der fehlende Zugang zu diesen Quellen verhindert natürlich von vornherein, daß diese Rechtsordnungen überhaupt Interesse finden.

საოცარი ბედი ჰქონდა ყოველთვის ქალაქს. ჯერ კიდევ ადრეულმა ცივილიზაციამ შექმნა ადამიანთა თავშეყრის თავისებური კომპლექსი — ქალაქი, რომელმაც ძირითადად იტვირთა მისი მშენებელი საზოგადოების აღმასვლის, უფრო პროგრესულისა და ახლის შექმნა-დანერგვა, ქვეყნის წინსვლის, მისი ცხოვრებისეული საკითხების დასმა და, ხშირ შემთხვევაში გადაჭრაც.

ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიამ ქალაქი შედარებით მკრთალად, გარკვეული კუთხით, ასახა; უფრო ვრცლად გამოჩნდა ქალაქი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების ისტორიას საგანგებო ყურადღება დაუთმო.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესახებ პირობით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.

ნაშრომთა ერთი ჯგუფი უშუალოდ ეძღვნება ფეოდალური ხანის ქართულ ქალაქთა ისტორიას (ივ. ჯავახიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლ. მუსხელიშვილი, გ. ლომთათიძე, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე დ. კვრიტიშვილი, ლ ჭილაშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ი მუსხელიშვილი, ი გრძელიშვილი, ა. იფაქიძე, მაჭ ბერძნიშვილი, მ. ბერძნიშვილი, თ. გამსახურდია, მ. გაბაშვილი, თ. ბერიძე, ც. ჩიქოიძე და სხვ.). ამ ჯგუფში ცალკე უნდა გამოიყოს ის ნაშრომები, რომლებშიც შუა საუკუნეების ქალაქები არქეოლოგიურ-ისტორიულ პრიზმაში შესწავლილი (ლ მუსხელიშვილი გ. ლომთათიძე, ლ. ჭილაშვილი, დ ხახუტაიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ც. ჩიქოიძე და სხვ.).

ნაშრომთა მეორე ჯგუფი — ესაა ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის შრომები, სადაც ვეხვდებით ზოგჯერ საგანგებოდ ქალაქებისადმი მიძღვნილ წერილებს, ან კიდევ შუა საუკუნეების ქართულ ქალაქთა შესახებ საუბარია საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის განხილვის დროს. ამ უკანასკნელ მიეკუთვნება აგრეთვე გ. მელიქიშვილის ნაშრომებიც — „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“ და „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“.

საქართველოს ფეოდალური ხანის ქალაქების ისტორიის რიგი საკითხები განხილულია „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს როგორც პირველ გამოცემებში (სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის), ისე „საქართვე-

ლის ისტორიის" სამტომეულში, რომელიც ავტორთა კოლექტივის მიერ არის შედგენილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აღებული საკითხის დაშუშაება მრავალტომეულში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", სადაც თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე გაშუქებულია შუა საუკუნეებ-ს ქართული ქალაქების ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი. ამრიგად, ეს ნაშრომები შეიძლება საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომთა მესამე ჯგუფს.

ქართული ფეოდალური ქალაქის ბუნების უკეთ გაგებისათვის უაღრესად საყურადღებოა ქართული ქალაქების ურთიერთობის საკითხი მეზობელი ქვეყნების ქალაქებთან (ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე, კ. კუცია, ო. ცქიტიშვილი და სხვ.).

ქართული ფეოდალური ქალაქები გარკვეული კუთხით გაშუქებულია ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემათა ნაშრომებში (გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ი. ციცქიშვილი, ჰ. ბაქარაია და სხვ.) და ამდენად, ნაშრომთა ეს რიგიც „ახალ" ჯგუფს ქმნის.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომების მიმართ შეიძლება გაკეთდეს კიდევ ერთი, ზოგადი ხასიათის შენიშვნა. საკითხი ეხება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პერიოდიზაციას (ქართული ქალაქების შესწავლის ისტორიას).

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილის ორი ნაშრომი „**Государственный строй древней Грузии и древней Армении**" და „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს". გამოქვეყნდა 1907 და 1918 წწ., ხოლო „შასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I, შენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში"— 1946 წელს. ივ. ჯავახიშვილის პირველი შრომებით ქალაქების შესახებ, ფაქტობრივად საფუძველი დაედო ქართული ქალაქების ისტორიის მეცნიერული კვლევის ახალ ეტაპს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ ამ ნაშრომებში, განსაკუთრებით 1918 წელს გამოქვეყნებულ შრომაში („ქალაქები, საქალაქო წესწყობილება..."), ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა ქალაქთა სოციალურ-ეკონომიკური კუთხით შესწავლის აუცილებლობაზე, რისი პირველი ჩანებული მაგალითიც მანვე მოგვცა.

20-იან წლებში გამოქვეყნდა ს. კაკაბაძისა[1] და ლ. მელიქსეთ-ბეგის[2] შრომები, სადაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქართული ქალაქების ისტორიის საკითხებს. ამ ავტორების შრომებში გადმოცემულია ძირითადად თბილისისა და მცხეთის დაარსების, მათი ეტიმოლოგიისა და ზოგიერთი სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხი.

30-იან წლებში ქვეყნდება ლ. მესხელიშვილის ნაშრომი „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)"[3]. ეს იყო ფაქტობრივად საქართველოს

---

[1] ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), ტფ., 1922; ქართველ სახელმწიფოებრიობის განვითარების საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924.

[2] მელიქსეთ-ბეგი, გორის დაარსება, „სახალხო საქმე", 1920, № 41; Тифлис, его основание и краткий исторический очерк, „Тифлис и его окрестности", Тб., 1925. მცხეთა — ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო ვ. „მოამბეში", 1921, № 2.

[3] კრებულში „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938.

ფეოდალური ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი. დმანისი — ეს პირველი ქართული ქალაქია (შუა საუკუნეების ეპოქისა), რომლის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1936 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით[1]. ამავე ხანებში ქვეყნდება ს. ჯანაშიას შრომები „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში" (1935) და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" (1937). იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის წერილი „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში" (1937 წ. დაიბეჭდა კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. VI). ამ ნაშრომებში ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით შესწავლის შესანიშნავი მაგალითებია მოყვანილი.

შუა საუკუნეების ქართული ქალაქების კვლევის საქმე, ისე როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი, ახალ, მკვირნიალებზე დგება 40-იან წლებში, როდესაც გამოდის ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე". ნაწილი I, (1943).

40-იან წლებში ისტორიის ინსტიტუტში დამუშავდა თემები „ხელოსნობა ძველ საქართველოში" (V—VII სს.). (შ. მესხია), „თბილისის საამქრო" (მ. ლორთქიფანიძე), 1948 წ. შ. მესხიამ გამოსცა დოკუმენტების კრებული „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის", ნაკვეთი 26).

50-იანი წლები განსაკუთრებით „ხვავრიელი" აღმოჩნდა ქართული ფეოდალური ქალაქის კვლევის საქმეში. ამ პერიოდში დაიბეჭდა ნ. ბერძენიშვილის „თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი)" („მიმომხილველი", II, 1951). შ. მესხიას წერილები, „საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიდან" („მიმომხილველი", II), „მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს საქართველოს ქალაქებში" („მასალები საქართველოსა და ..." ნაკვეთი 32, 1953); 1952 წ. გამოქვეყნდა დ. გვრიტიშვილისა და შ. მესხიას მონოგრაფია „თბილისის ისტორია", მ. ლორთქიფანიძის ორი წერილი „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში" და „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან" („მასალები საქართველოსა და..." ნაკვეთი 30). ამ პერიოდში გამოდის მონოგრაფიები — დ. გვრიტიშვილის „გორის ისტორია" (1954), ავტორთა კოლექტივის „თბილისის ისტორია" (1958); თბილისისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „თბილისი — 1500" (1958), ლ. ჭილაშვილის „ქალაქი რუსთავი". ისტორიული არქეოლოგიური ნარკვევი (1958), შ. მესხიას მონოგრაფია „Города и городской строй феодальной Грузии. XVII—XVIII вв." (1959).

50-იანი წლები სხვა მხრივაც არის საყურადღებო ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის საქმეში. ამ დროს იწყება ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების სისტემატური გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა, რომლის მთავარ და წარმმართველ ალად. ნ. ბერძენიშვილი იყო. დაიწყო და გაიშალა

---

[1] ქ. ლომთათიძე, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1967, გვ. 7.

ფართო საველე სამუშაოები რუსთავში*, უჯარმაში, ხოვლეში, დმანისში, გრემში, ურბნისში, ახალქალაქში, და. საქართველოს რიგ ქალაქში. ამის შედეგად უკვე 60-იანი წლებში გამოქვეყნდა მთელი რიგი საინტერესო ნაშრომებისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული ფეოდალური ქალაქი ისტორიულ-არქეოლოგიურ ჭრილში.

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა დ. მუსხელიშვილისა და ლ. ჭილაშვილის შრომები. 1966 წელს გამოქვეყნდა დ. მუსხელიშვილის „ციხე-ქალაქი უჯარმა. ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან", რომელშიც გაშუქებულია აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია და ქალაქ უჯარმის, როგორც ისტორიული კახეთის პოლიტიკური ცენტრის წარმოქმნის, განვითარებისა და დაცემის საკითხები ანტიკური დროიდან X—XI საუკუნემდე. ამავე პერიოდში გამოვიდა ლ. ჭილაშვილის რამდენიმე მონოგრაფია, ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორიას რომ ეძღვნება. 1958 წელს გამოქვეყნდა ლ. ჭილაშვილის „ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი", რომელშიც წერილობითი წყაროებისა და დიდძალი არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე მოცემულია ქალაქ რუსთავის ისტორია „დასაბამიდან" XIV ს-მდე. 1968 და 1970 წლებში გამოვიდა ამავე ავტორის ვრცელი მონოგრაფიული ნაშრომი „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში", I—II. მონოგრაფიის პირველ ტომში ვრცლად არის განხილული და შესწავლილი ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ძველი ქართული ქალაქების შესახებ, მოცემულია ქალაქების ტიპოლოგიური დახასიათება და გაშუქებულია ქალაქთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი — ციხე, ციხე-ქალაქი, დაბა, ვაჭრობა და ხელოსნობა და სხვ. მეორე წიგნი მიძღვნილია ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების ისტორიისადმი. მოშველებულია მდიდარი არქეოლოგიური მასალა და შექმნილია მთლიანი სურათი ქართული ფეოდალური ქალაქების წარმოქმნა-განვითარებისა IV—XIII საუკუნეებში.

შუა საუკუნეების ქართული ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლას დიდი ამაგი დასდო არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა უჯარმა, რუსთავი, თბილისი, ახალქალაქი და ნაწილობრივ ურბნისი. გ. ლომთათიძემ ქართული ქალაქების ისტორიის საკითხებს მიუძღვნა შრომები „Культура и быт Грузии в IV—VII вв. „Очерки истории СССР, III—IX вв." 1958, „ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები" წიგნში „საქართველოს არქეოლოგია" (1959).

ქართველ არქეოლოგთა ნაწილი ქალაქების ხელოსნური წარმოების შესწავლით იყო დაინტერესებული, რომლის შედეგები ქალაქის ისტორიისათვის ახალ მასალას იძლეოდა, ასეთ ნაშრომთა რიგს განეკუთვნება ი. გრძელიშვილისა და ო. ტყეშელაშვილის „თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები" (1961), ვ. ჯაფარიძის „ქართული კერამიკა" (1956), ნ. უგრელიძის „მინა ძველ საქართველოში" (1961).

50-იანი წლებისათვის შედარებით მკრთალად გამოიყურებოდა დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის ქალაქთა შესწავლის საქმე. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებდა გ. გობეჯიშვილის ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში" (1952), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად უყ-

* რუსთავის გათხრები პირველად 1944 წ. ჩატარდა ვ. იაშვილის ხელმძღვანელობით.

რადღეებაა გამახვილებული ვაშნარის მასალაზე. მასალის ანალიზმა დაბადა ვარაუდი ვაშნარის ტერიტორიაზე ადრეფეოდალური ხანის ქალაქის არსებობის შესახებ, ქალაქისა, რომელიც თანამედროვე უნდა ყოფილიყო ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა შორაპანი, სკანდა, ვარდციხე, ნოქალაქევი". დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან არქეოლოგიურად ამ პერიოდისათვის ინტენსიურად შეისწავლებოდა ბიჭვინტა — ანტიკური ქალაქი, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაშიც არსებობდა[6].

ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქალაქთა შორის ყურადღებას იქცევს მცხეთა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო საქართველოში და მისი „ათხელების" შემდეგაც გარკვეული დროის მანძილზე ისევ ინარჩუნებდა ერთ-ერთ წამყვანი ქართული ქალაქის სტატუსს (უკვე ადრეფეოდალური ხანის ქალაქის ნიშნებით). მცხეთას თავის დროზე საყურადღებო ნაშრომი უძღვნა ა. აფაქიძემ — „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში" (1963), ხოლო უფრო ადრე გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე) ნაშრომი „მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები (1955).

1955 წელს გამოდის გ. მელიქიშვილის ნაშრომი — „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის", რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული ძველი ქართული ქალაქების რიგ მნიშვნელოვან საკითხზე (ქალაქის სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა). ასევე საყურადღებოა, ამჯერად ადრეფეოდალური ხანის ქართული ქალაქების ისტორიისათვის, ამავე ავტორის მეორე ნაშრომიც „К истории древней Грузии" (1959), რომელშიც ქალაქი ნაჩვენებია როგორც მსხვილი სამეწარმეო ცენტრიც.

1958 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის" სამტომეულის პირველი ტომი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. ღუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი); ეს იყო დამხმარე სახელმძღვანელო. ამ ნაშრომში იმ დროისათვის უახლესი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებზე დაყრდნობით განხილულია ქართული ფეოდალური ქალაქის რიგი საკითხი (რა თქმა უნდა, ძალზე მოკლედ, საერთოდ საქართველოს ისტორიის გაბმული თხრობის ფონზე, დამხმარე სახელმძღვანელოს შესაფერისი ლაკონიურობით).

მომდევნო ორი ათწლეული (60 და 70-იანი წლები) საქართველოს ისტორიის ბრავალი საკვანძო საკითხის დამუშავება-გადაწყვეტით აღინიშნა, რასაც ბუნებრივია. შეიქმნა არა ერთი და ორი საინტერესო ნაშრომის გამოქვეყნება. ამ ნაშრომთა შორის არის საგანგებოდ შუა საუკუნეების ქართული ქალაქებისადმი მიძღვნილი შრომებიც. ზოგიერთ მათგანზე ადრე უკვე იყო საუბარი (ლ. ჭილაშვილი, დ. მუსხელიშვილი). ამ პერიოდში დაიბეჭდა აგრეთვე, თ. ჯაფარიძის წერილი — „IV—VI სს. ქართლის ქალაქების ისტორიიდან" („მაცნე", 1966, 3); მ. გაბაშვილის „დასავლეთ საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში" („მაცნე", 1973, 4); ვ. გაბაშვილის წერილი —

---

[6] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, გვ. 136; (იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, გვ. 16).

[7] ლ. ჭილაშვილი, იქვე. ნაშრომი, გვ. 17.

„თბილისის სოციალური ისტორიიდან" (კრებულში „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", 1976), რ. კიკნაძის „XI-XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან" (ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", 1960, V, ნაკვ. I).

1962 წელს გამოქვეყნდა შ. მესხიას მონოგრაფია „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში", რომელშიც ვრცლად არის განხილული შუა საუკუნეების ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა თბილისის თვითმმართველობის ისტორია XI—XII სს. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომში თბილისის ისტორია გადმოცემულია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური მოძრაობის კარდინალურ საკითხებთან მჭიდრო კავშირში.

აღსანიშნავია ამავე პერიოდში (70-იანი წლები) გამოქვეყნებული თბილისის ისტორიისადმი მიძღვნილი ორი ვრცელი გამოკვლევა. ესაა თ. ბერიძის „...და აღმოცენდა თბილისი" და „ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია" (1977).

ცოტა უფრო ადრე, 1965 წელს გამოიცა მ. ბერძნიშვილის „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით).

XVI—XIX საუკუნეების თბილისს მიეძღვნა ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძნიშვილის მიერ შედგენილი „დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI XIX ს.ს.)" (1962).

გარდა უშუალოდ ქართული ფეოდალური ქალაქებისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა, აღნიშნულ პერიოდში ქვეყნდება საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად ასახულია ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ნაშრომთა ამ რიგს განეკუთვნება ნ. ბერძენიშვილის „ვზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში" (1966), გ. მელიქიშვილის ნაშრომი „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი" (1973).

60—70-იან წლებში გამოიცა ნ. ბერძენიშვილის ნაშრომთა 9 წიგნი, საერთო სათაურით „საქართველოს ისტორიის საკითხები". ამ გამოცემაში მოთავსებული ზოგი ნაშრომი ადრეც იყო გამოქვეყნებული, დიდი ნაწილი კი პირველად დაიბეჭდა. მათ შორისაა ნ. ბერძენიშვილის ძალზე საინტერესო დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის" როგორც საისტორიო წყაროს შესახებ (წიგნი VII, 1974). ამ ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეძღვნება თემას — „ვეფხისტყაოსანი" ქალაქებისა და ვაჭრობის შესახებ.

სწორედ 60-იან წლებში გაცხოველდა ინტერესი ახლო აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიისა და მათი დამოკიდებულებისადმი ქართულ ფეოდალურ ქალაქებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის წერილები „მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII საუკუნეებში" და „ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან" (კრებულში „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", 1966); აღსანიშნავია საკუთრივ მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნების ქალაქთა ისტორიისადმი მიძღვნილი შრომებიც, როგორიცაა: კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (1966), მისივე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII სს. (1976); ო. ცქიტიშვილის, ფეოდალური

ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის მახლობელ აღმოსავლეთში (კრებულში „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", 1963). საისტორიო წყაროების ცნობაცემებზე დაყრდნობით, VIII—XIII საუკუნეების ქართულ ქალაქებს — ოლთისი, მცხეთა, არტანუჯი, ახალქალაქი, ოძრხე, რუსთავი, ატენი, ქმანისი, ფინეანი, ქუთაისი და თბილისი. რადგანაც ყველაზე მეტი ცნობა ავტორს თბილისის შესახებ აქვნია, სწორედ თბილისი-ქალაქის მაგალითზე, აღწერს შუა საუკუნეების ქართული ქალაქის ყოფას, მის თავდაცვით და სამეურნეო ნაგებობებს, გამოყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, აღწერს ქალაქის გაჭგუბლობის წესს.

ნაშრომში განხილულია მოქალაქეთა ჯგუფები, კერძოდ, რომ თბილისის მოქალაქენი ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდნენ. თავის მხრივ ვაჭრები დიდ ვაჭრებად და მცირე ვაჭრებად იყოფოდნენ თავიანთი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნაშრომში დოკუმენტური მასალის საფუძველზე განხილულია თბილისის ბაზრობები, ალებ-მიცემა, შემოტანილი საქონლის სახეობები, ძვირფასი ჭსოვილები და „თუალნი პატიოსანნი", საძღვდელმსახურო და საეკლესიო ნივთები, ტანსაცმელი. თბილისს (და საქართველოს სხვა ქალაქების) ბაზრობებზე იყიდებოდა ცხენი, ცხენის აკაზმულობა, სოფლის მეურნეობის იარაღები (სახნისი), საშენებლო მასალა (ქვა, ქვიშა, კირი). იყიდებოდა მამულებიც — ყანა, ვენახი, სოფლებიც კი[9]. ავტორი ალნუსხავს სავაჭრო ამხანაგობებს, უ. წ. ორტაღებს, რომელნიც გარდა ალებ-მიცემობისა, მეცადინეობასაც მისდევდნენ .ქართის სიგელის ცნობები)[9].

ნაშრომში ჩამოთვლილია ქალაქებში მცხოვრებ ხელოსანთა ჯგუფები მეხამლეები, კირითხუროები, ქვითხუროები (კალატოზები), ხუროების უფროსი, ხუროთმოძღვარნი, ოქროშჭედლები, მკერვალები, ხარაზები, მეშშვილდენი და მჭედლები[10].

განსაკუთრებით ჩერდება ავტორი ხელოსანთა ერთ რიგზე, რომელნიც წიგნის გადამწერლები იყვნენ და თავიანთ თავს „მწერალს" ან ხშირად თავმდაბლობის გამო „მხრეკელს" ეძახდნენ. წიგნის გადაწერა მეტად რთული და ძნელი საქმე იყო, „მწერალი" მართლწერის ოსტატი უნდა ყოფილიყო და ეს საქმე იმ დროს საკმაოდ ძვირად ფასობდა.

ასეთია მოკლედ ის საკითხები, რომლებიც გაშუქებულია ივ. ჯავახიშვილის დასახელებულ ნაშრომში. უთუოდ მართალია პროფ. შ. მესხია, როდესაც ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ნაშრომის შესახებ წერდა: „საქართველოს ეკონომიური ისტორიის... მომხილვა ივ. ჯავახიშვილის მიერ ისეთ დროს დაიწერა, როცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების კრიტიკული მიმოხილვა, ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ იყო გამოკვლეული ყველა წყარო, მათი ლირსება და ნაკლოვანება. ამას გარდა დაუმუშავებელი იყო ისეთი საკითხებიც, რომელთა გარეშე, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ყოველი ეხნის განხილვა სისრულით შეუძლებელი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის სიფრთხილისა და დიდი მეცნიერული ალღოს შედეგი იყო ის, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის"

---

[8] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 30—32.
[9] იქვე, გვ. 33—34.
[10] იქვე, გვ. 36—40.
[11] იქვე, გვ. 42.

პირველ წიგნში წამოყენებული ძირითადი მოსაზრებანი დღესაც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას"[12].

საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს იხილავს ივ. ჯავახიშვილი თავის მეორე ნაშრომში — „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.„ რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „პრომეთეს" 1918 წლის პირველ ნოემბერში და წარმოადგენს, როგორც ავტორი თვით ბრძანებს, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ჯერ დაუბეჭდავ უკანასკნელ წიგნთაგან"[13] ამოღებულ ნაწილს. ამ მცირე მოცულობის წერილში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს რა მასალის სიმცირეს, ძირითადად, „დასტერლამალისა" და „ქალაქის მოურავის სარგოს", აგრეთვე ზოგიერთ სიგელ-გუჯრებში დაცულ ცნობებსა და იმდროინდელი უცხოელი ავტორების (ჟ. შარდენის, ტერნეფორის, ა. ლამბერტის) მოგზაურობებიდან ამოღებული მონაცემების საფუძველზე იხილავს XVII—XVIII საუკუნეების ქართლის ქალაქების ისტორიის სხვადასხვა საკითხს — დემოგრაფიულ ცნობებს, ქალაქის მმართველობის რიგს, ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების საკითხებს. „დაწინაურებულ საშუალაქო ცხოვრებისა და ჩვენის ეკონომიური ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლება", — აღნიშნავს ავტორი და სინანულით მიუთითებს ამ ფაქტზე, რომ აღნიშნული ეპოქის (ე. ი. XVII—XVIII სს.) დასავლეთი საქართველო ამ მხრივ ძალზე ღარიბად გამოიყურებოდა. თვით ქუთაისიც კი, ქართველ მეფეთა ძველი სატახტო ქალაქი, ამ დროისათვის უფრო დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ სოფელს მოგვაგონებდა, ვიდრე ქალაქს[14].

განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ავტორი თბილისზე. თბილისთან დაკავშირებით მას მოყვანილი აქვს ქალაქის მცხოვრებთა ეთნიკური შედგენილობის ცნობებიც, რაც ასე ნაკლებად შეინიშნება ქალაქთა შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ტერნეფორის ცნობებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ 1700 წელს თბილისის 20800 სულ მოსახლეს შორის 1400 სომეხი ყოფილა, 3000 — მაჰმადიანი, 2000 — ქართველი[15]. აქვე აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის პოლოსათვის თბილისში ქართველთა რაოდენობა გახდილა და სომხების დარად ქალაქის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენდა, ქალაქის (თბილისის) მმართველობის სათავეში იდგა მოურავი, რომელმაც შეცვალა ძველი ამირა, თუმცა ლუარსაბ II-ის სიგელში გიორგი საყაძე ისევ ამირათამირად იწოდება. ქართლის სხვა ქალაქებსაც მოურავი ედგა სათავეში.

ივ. ჯავახიშვილი წერილად განიხილავს მოურავის მოვალეობას და საგანგებოდ აღნიშნავს სასამართლო საქმეებში მოურავის მონაწილეობას, კერძოდ, რომ ყველა საბოქაულო საქმე მოქალაქეთა შორის მოურავის კომპეტენციაში შედიოდა.

ნაშრომში გაშუქებულია იმდროინდელი თბილისის ბაზრებზე მოქმედი ვაჭრობის წესები, ნაჩვენებია ხელოსნური წარმოების დარგები, ხელოსანთა

---

12 შ. მ ე ს ხ ი ა, ივ. ჯავახიშვილი და საქართველის ეკონომიური ისტორია, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, თბ., 1976, გვ. 15—16.

13 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., ჟურნ. „პრომეთე", 1918, გვ. 32.

14 იქვე, გვ. 36.

15 იქვე, გვ. 40.

გაერთიანებები, რომელთაც მაშინ ასნაფი ეწოდებოდა (შემდეგდროინდელი ამქარი), რომლის სათავეში უსტაბაში მდგარა[16]. განხილულია ასნაფის წევრთა უფლება-მოვალეობანი; აღწერილია თბილისის „ქარხნები" და „დუქნები". ქარხნად იმ დროს იწოდებოდა ყველა საწყობი და დაწესებულება, სადაც ჩაბადებოდა საჭონელი გასაყიდად. ქარხნად იწოდებოდა თვით სამეფო სამხარეულო, არსებობდა „ფეშქაშის ქარხანა" (მორთმეული საჩუქრების შესანახი ადგილი) და სხვ.[17].

აღსანიშნავია, რომ ამ მცირე მოცულობის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილმა მისთვის ჩვეული სიფრთხილით, დოკუმენტურ ბაზაზე დაყრდნობით პირველმა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში წარმოაჩინა გვიანი შუასაუკუნეების ქართული ქალაქის დამახასიათებელი ნიშნები, გააანალიზა მის ხელთ არსებული ცნობები და შემოკვთავაზა ფეოდალური ქალაქის თითქმის სრულყოფილი სურათი.

1946 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში". ამ ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი საკითხი ქალაქებისა და მისი ნაგებობების შესახებ, შესწავლილია და დადგენილი ფეოდალური ხანის ქალაქის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები, ქალაქის მთავარი ნაგებობანი, ქალაქის საეკლესიო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, ცალკეა გამოყოფილი ქალაქებში მოქმედი ხიდები და გზები.

ნაშრომი შესრულებულია წერილობითი წყაროების საფუძველზე (რამდენადაც იმ დროისათვის, როდესაც ეს ნაშრომი შესრულდა — 30-იანი წლები — ფეოდალური ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა ის-ის იყო იწყებოდა (დმანისი...) და თვით ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა „...ასეთი მასალების უქონლობის გამო ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ იმ ცნობებით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც წყაროებში მოგვეპოვება")[18] და საოცარი სკრუპულოზურობით გაანხილავდა ამა თუ იმ წერილობით ძეგლს, იქნებოდა ეს ატენის სიონის წარწერა, თუ რომელიმე ქართულ ხელნაწერში დაცული ცნობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ ატენის სიონის 1060 - 68 წწ. წარწერის ანალიზის შედეგად ატენის ქალაქად გადაქცევისათვის დამახასიათებელი ნიშნების (დარბაზის და ქალაქის აშენება, სასახლისა და საკოლაბაკეთათვის ადგილის გამოყოფა. ქალაქის გარკვეულ ადგილზე — „სეფე-ჩარხზე" — კაშენება... გამოყოფა და ამ ცნობის სხვა ცნობებთან („ძეგლი ერისთავთა") შეჯერებით შუა საუკუნეების ქალაქის თვალსაჩინო სურათის შექმნა.

ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებული ნაშრომი ქართული ქალაქების შესწავლის საუკეთესო მაგალითად იქცა.

შუა საუკუნეების ქართული ქალაქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ს. ჯანაშიას შრომებში. ამ მხრივ საყურადღებოა ნაშრომი „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", სადაც ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი საგანგებოდ ჩერდება თბილისზე. ამ ნაშრომში თბილისის დაარსებას და მის გადედაქალაქებას ცალკე

---

16 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55—56.

17 იქვე, გვ. 57.

18 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 52.

პარაგრაფი აქვს დათმობილი. ავტორი უყურადღებას ამახვილებს ქალაქის ორი მთავარი შემადგენელი ნაწილის — საკუთრივ ქალაქისა და ციხის არსებობაზე. პარალელს აყვებს მცხეთასა და თბილისს, არმაზსა და კალას შორის და აღნიშნავს, რომ „ტფილისი იზრდება მცხეთის ხარჯზე. ტფილისის ციხე კალა კი — არმაზისაზე. კალა ისეთსავე დამოკიდებულებაშია ტფილისის მიმართ, როგორც არმაზი — მცხეთის მიმართ“[19]. საერთოდ, ამ პარაგრაფში თბილისი განხილულია ძირითადად პოლიტიკური ისტორიის ასპექტში, თუმცა ქალაქის ადგილმდებარეობაზე საუბრისას აღნიშნულია ქალაქის სახელწოდების წარმოშობის შესახებაც. ძალზე მოკლედ ჩერდება ავტორი ქალაქის მოსახლეობის განლაგებაზეც (აბანოების უბანი, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, სიონისა და ანჩისხატის მიდამოები).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. ბერძენიშვილის ღვაწლი შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესწავლის საქმეში. როგორც ზემოთ ითქვა უკვე, ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით გაიშალა დიდი არქეოლოგიური სამუშაოები ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების კვლევის მიზნით, რასაც, ბუნებრივია, თავისი დადებითი შედეგები მოჰყვა აღნიშნულ საკითხზე მეცნიერული პუბლიკაციის შესამჩნევი ზრდით. ამას გარდა, ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის მრავალი საინტერესო დაკვირვება ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორიის სხვადასხვა პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის დარგშიც. „ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეოდალურ ციხეებსა და ქალაქებს, როგორც სოციალურ მტკიცე დასაყრდენს. მისივე დამსახურებაა ქალაქებთან დაკავშირებული ისეთი საკითხების წამოწევა, როგორიცაა გზები, საბაჟოები, სამლებროები და სხვ. ნ. ბერძენიშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ჭალაქისპირის სოფლების, „აგარაების“, ძველ ქალაქთა სამეურნეო რაიონის შესწავლასაც“. ასე ახასიათებს ნ. ბერძენიშვილის ღვაწლს ლ. ჰილაშვილი[20].

ნ. ბერძენიშვილის მრავალ, უპირველესად მნიშვნელოვან დაკვირვებათაგან ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების სხვადასხვა საკითხის შესახებ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მისი ნაშრომი „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი)“, რომელიც მოხსენდა ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას 1948 წ. მაისში (პირველად გამოქვეყნდა 1951 წ. „მნათობი“, 11). ესაა ერთ-ერთი ექსპედიციის (1947 წლის) შედეგად ავტორის მიერ დაწერილი თბილისის შემოგარენის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი. რომელშიც ფეოდალური ხანის თბილისის ისტორიისათვის მრავალი საგულისხმო ფაქტია დაფიქსირებული და წამოყენებულია უპირველესად საინტერესო დებულებები. აღსანიშნავია, რომ ავტორი საკვლევი საკითხის („აგარაები“) გაშუქებასთან ერთად იხილავს საქართველოს ისტორიის არაერთ საპრობლემო საკითხს.

ძირითადი ამოცანა ამ ნაშრომისა ასეთია: „...წერილობითი წყაროების მონაცემთა საშუალებით ეცადო დადგენა, თუ სად იყო „აგარანი“, XI—XII საუკუნეთა ქართულ საისტორიო თხზულებებში რომ ასე ხშირად მოიხსენიება. ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი ამბები აღნიშნული დროისა“[21].

---

19 ს. ყ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 12.

20 ლ. ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, გვ. 10.

21 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, 1964, გვ. 337.

ნ. ბერძენიშვილი აანალიზებს ქართულ წყაროებში ნახსენებ „აგარაებს", ერთმანეთს უჯერებს ამ წყაროებიდან აღებულ ცნობებს და აგვთებს დასკვნას „თბილისის გარშემო ძველ დროს მრავალი აგარა იყო*. ამ აგარაებიდან სახელ- ლი „აგარანი" შერჩა ქალაქის სამხრეთით მდებარე სოფლებს, სადაც სახა- ფხულო სადგურები ჰქონდათ ქალაქის საზოგადოებას (არაბ ამირას, ქართველ მეფეს მისი კარით) ამ აგარებზე დიდი საქარავნო გზა გადიოდა და იქ, სადაც გზასაყარი იქმნებოდა, ციხე იყო, რომელსაც აგარათა ციხე ეწოდებოდა. აგა- რათა ციხე ქართველ მეფეთა სახაფხულო სადგური იყო..."[23] ავტორის აზრით, აგარათა ციხეს უკვე XV ს-ში კოურის ციხე ეწოდება[24].

ასეთივე ინტერესს იწვევს მკვლევარში შუა საუკუნეების ცნობილი ქარ- თული ქალაქი რუსთავი და თბილისის მსგავსად ცდილობს დაძებნოს ამ ფეო- დალური ქალაქის არგველი აღლომდებარე დასახლებანი. ავტორი მიუთითებს (წერილობითი წყაროების ჩვენებაზე დაყრდნობით), რომ ქალაქ რუსთავის შე- სახებ არსებული მასალების ხასიათი გვავარაუდებინებს შუა საუკუნეებში რუსთავის, ჯერ როგორც კუხეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის არსებობას, შემდეგში კი — საერისთაოს ცენტრს. თუთ სახელწოდებაში (რუს- თავი — ეოსტანი) საეფისკოპოსო კათედრის დაარსება ამ პუნქტს უდაო ღირსებაზე უნდა მეტყველებდეს[24], ამიტომაც ასეთი გულისტკივილით წერს იგი: „...მუ მაფიქრებდა ის გარემოება, რომ ძველი ქალაქი რუსთავი ასე ობლად გამოყურება და მის ახლოს რაიმე დასახლებული პუნქტიც კი აღნიშნული არ არის"[25] (აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ნ. ბერძენიშვი- ლის მიერ დასმული ამოცანა ქალაქ რუსთავის ისტორიის შესწავლის აუცი- ლებლობას რომ ითვალისწინებდა, წარმატებით იქნა გადაჭრილი მისივე მო- წაფის — ლ. ჭილაშვილის მიერ, რომლის შესახებ ჩვენოთ იქნება საუბარი).

აღნიშნულ ნაშრომთან („ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან") დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი ნ. ბერძენი- შვილის კვლევის თავისებურებას: რომელიმე კონკრეტული საკითხის გარკვევა ყოველთვის მჭიდრო კავშირშია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან, რაც კიდევ უფრო ამაგრებს და თვალსაჩინოს ხდის საკვლევ საკითხს. ამის საილუსტრაციოდ მოვკყავს ერთი ამონაწერი ნ. ბერძენიშვილის ჩვენოხსენებული ნაშრომიდან: „საფიქრებელია, რომ რუსთაისა და მისი რა- ონის ქართული მოსახლეობის ტრაგედია ჯერ ისევ XI საუკუნის მეორე ნახე- ვარში დაიწყო მომთაბარე თურქი ტომების შემოსევასთან ერთად. დავით აღმაშენებლის თხზულებაში ბევრი რამ იგულისხმება ამ მოვლენის შესახებ. დიდი თურქობა — ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა თურ- ქულ ველურ მომთაბარეობასა და ქართულ კულტურულ მეურნეობას შორის. დავით აღმაშენებელმა რუსთავი და მისი გარე-

---

* „აგარეუბნები", „ქალაქის პირა სოფლები", კარწანისი, შინდისი, წავკისი, ახახიელა ყოფილი, ვალოგანი, ვერა, ფიქა, საბურთალო, დიდუბე, კუკია, ზღვერიო და სხვ.", იქვე გვ. 325.

[22] იქვე, გვ. 325—326.

[23] იქვე, გვ. 326.

[24] იქვე, გვ. 375.

[25] იქვე, გვ. 376.

[26] იქვე.

მო — ქართლის მთელ ველობასთან ერთად — იხსნა გაველურების საფრთხისაგან და ქართულ სამწერლობო ფეოდალურ კულტურას დაუბრუნა ის. დიდი თურქობისას არამცირედ დაზიანდნენ, საფიქრებელია, ვ ე ლ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ქ ა ლ ა ქ ა ც ქცეული რუსთავი და კიდევ უფრო, მის გარშემო სოფლები..."[27].

ნ. ბერძენიშვილის შრომების პირველ წიგნში მოთავსებული წერილებიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ საუბარია აგრეთვე წერილებში „ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს (დღიური)", „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური", „ერთი უძველესი საბაჟოს აღგილმდებარეობისათვის საქართველოში" (პირველად გამოქვეყნდა 1940 წ.), „ისტორიული გეოგრაფიისათვის" (პირველად გამოქვეყნდა 1960 წ.)

გაცილებით საინტერესოდ და საკითხთან ახლოს მდგომად გამოიყურება ნ. ბერძენიშვილის ის დაკვირვებანი, რომლებიც დაიბეჭდა მისი შრომების VII და VIII წიგნებში.

VII წიგნის IV თავში — „ეკონომიკა" — ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი „ქალაქები, სასახლეები". ამ ძალზე მცირე მოცულობის „ნაკვეთში" ბევრი საყურადღებო შენიშვნაა გაკეთებული შუა საუკუნეების ქართული ქალაქის ტუნების დახასიათებისათვის. აქ გახსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თბილისს როგორც იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში მოქცეულ უმთავრეს პუნქტს. „თბილისი ტოვებს ძლევდა ფეოდალურ კავკასიას"[28]. ამ ერთ, უაღრესად ლაკონიურ, ფრაზაში ბევრი რამაა ნაგულისხმევი. ავტორი მოკლედ იხილავს თბილისის განვითარების საფეხურებს, სადაც ამ ქალაქის ეპირატესობა აშკარაა: „თბილისი აუცილებელია ამიერკავკასიის გაერთიანებისათვის; სპარსელები, რომელთაც ეს პუნქტი შეარჩიეს ცხენდ და მარზპანის სადგომად, გორგასალი, რომელმაც ამიერკავკასიის დაპატრონება განიზრახა, არაბები, რომელთაც აქედანვე ცდილობდნენ ამიერკავკასიის დაპატრონებას, დავით აღმაშენებელი, რომელმაც ამიერკავკასიის გაერთიანება წამოიწყო და ასეთად დარჩა თბილისის მნიშვნელობა შემდეგაც..."[29]

ამავე წერილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ X—XI საუკუნეებში ქალაქების სიმრავლე (და მათი სიმდიდრეც) აიძულებს მეფესაც და მსხვილ ფეოდალებსაც იბრძოლონ ქალაქთა დაუფლებისათვის და ეს ტენდენცია კარგადაც აისახა იმდროინდელ ისტორიულ თხზულებებში (ავტორს აქ მოჰყავს თამარის ისტორიკოსის მსჯელობა ქორის ალებასთან დაკავშირებით)[30] საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ალებული ხანის ქალაქები ძლიერდებიან და სრულიად განკუთვნით იხრებიან მეფის ხელისუფლებისაკენ (თბილისელი ბერების მიერ ქალაქის ბაგრატ მეფისათვის გადაცემა, თბილისის კომუნა და სხვ.), და რომ „...თუ ქალაქები ასეთი ძალა იყო და მათი პოლიტიკური მიდრეკილება ასე განკუთვნილი, როგორ მოხდა, რომ ეს მეფემ ვერ შეამჩნია და დიდმნიშვნელობასთან ბრძოლისას ეს ძალა ვერ

---

[27] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

[28] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, თბ., 1974, გვ. 116.

[29] იქვე, გვ. 119.

[30] იქვე, გვ. 117.

გაიხალა თავის მოკავშირედ?"[31], ამ კითხვას თვით ნ. ბერძენიშვილი პასუხობს ასე: მართალია, ქალაქები ძლიერდებიან, მოქალაქეების სიმპატია მეფის (ცენტრალური ხელისუფლების) მხარეზეა, მაგრამ ამავე დროს და უფრო სწრაფადაც ძლიერდება დიდი აზნაურობა, რომელსაც ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ბატონობის ძველი ტრადიცია აქვს[32]. აზნაურობასა და მოქალაქეთა შორის უკანასკნელ ბრძოლას ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ წერტილამდე, როდესაც მეფეს შეუძლია ჩარევა და ბრძოლის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა[33]. ამ ნაშრომში კიდევ ერთი საინტერესო საკითხია წამოჭრილი. ესაა ქართულ-ქრისტიანული და აღმოსავლურ-მუსლიმანური კულტურების ურთიერთგავლენის საკმაოდ მკვეთრად გამოვლენა შუა საუკუნეების ქალაქების სინამდვილეში[34].

კიდევ მრავალი სხვა, ფეოდალური ქალაქის ყოფისათვის ნიშანდებული მომენტებია ამ წერილში დასმული (და ხშირად ახსნილიც). მაგალითად, „სამოქალაქოს" არსებობა ჭუთათისის მახლობლად, ასეთივე „სამოქალაქოების" (ე. ი. ფეოდალთა მიერ დასაკუთრებული მიწების არსებობა) თბილისის გარშემო, მცირე დაბა-ქალაქების მომრავლება მსხვილ ქალაქებთან ერთად, რაც, ავტორის აზრით, უთუოდ გახვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ეპოქისათვის არის დამახასიათებელი საქართველოში[35].

შუა საუკუნეების ქართული ქალაქების მეცნიერულ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შ. მესხიას. მან ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიას. შ. მესხიას ნაშრომი **„Города и городской строй феодальной Грузии XVI—XVII вв."**. საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ნაშრომის ძირითადი მიზანია, როგორც შესავალშია აღნიშნული, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლა, მათი როლისა და ადგილის წარმოჩენა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში[36]. ნაშრომში ძირითადად შესწავლილია XVII—XVIII საუკუნეების ქართული ქალაქების სოციალური სტრუქტურა, საქალაქო ცხოვრება, ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციები. ცალკე თავად არის გამოყოფილი ფეოდალური ქალაქების გარეგანი სახე.

ვრცლად ჩერდება ავტორი ქართული ქალაქების მმართველობის საკითხებზე, განხილულია ქალაქ ს მოურავის, მაჰასახლისის, მელიქის, ნაცვალის, ქედხუდების ინსტიტუტი.

დიდი ადგილი აქვს ნაშრომში დათმობილი აგრეთვე აქტიური ორგანიზაციების საკითხს საქართველოს ქალაქებში, ფართოდ არის გაშუქებული შეგირდობის ინსტიტუტი და ამქრების მონაწილეობა საქალაქო ცხოვრებაში.

ნაშრომის ცალკეული თავი მთლიანად ეძღვნება ფეოდალური ქალაქის გარეგანი სახის აღწერას. განხილულია ქალაქის ციხეები და „ჭიშკრები", ქალაქის უბნები, ქუჩები და ბაზრები, აგრეთვე ქალაქში არსებული ნაგებობანი — საცხოვრებელ სახლები, საეკლესიები, სახელოსნოები და სხვა ობიექტები.

---

31 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117.

32 იქვე, გვ. 117.

33 იქვე.

34 იქვე, გვ. 119.

35 იქვე, გვ. 120, 118.

36 შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

მაინც რით არის გამორჩეული შ. მესხიას ზემოდასახელებული მონოგრაფია? პირველ რიგში იმით, რომ ეს ნაშრომი ვრცელი გამოკვლევაა, რომელშიც განხილულია ფეოდალური ხანის ქართული ქალაქებისათვის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური საკითხები ჩვენს ქვეყნის განვითარების ძირითად საკითხებთან მჭიდრო კავშირში. ნაშრომი შესრულებულია მდიდარ დოკუმენტურ მასალაზე (ამ მასალის მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე) დაყრდნობით და წარმოადგენს ქართული ფეოდალური ქალაქებისადმი მიძღვნილ სპეციალურ მონოგრაფიას, რომელიც იძლევა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის დამუშავების წარმატებით გადაჭრის ცდას. ამას გარდა, ამ ნაშრომის გამოქვეყნებით ერთგვარად გაგრძელდა დიდი ქართველი ისტორიკოსების — ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის მცდელობა — შეექმნათ ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისათვის მყარი საფერი დამრუნებული მეცნიერული გამოკვლევა შუა საუკუნეების ქართული ქალაქების ისტორიის დარგში.

1962 წელს გამოქვეყნდა შ. მესხიას მეორე მონოგრაფია ქალაქების ისტორიიდან — „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში". ამ გამოკვლევაში გაშუქებულია შუა საუკუნეების თბილისის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც იყო ქალაქის მიერ თვითმმართველობის — კომუნის — მოპოვების ფაქტი. თბილისში კომუნის დაარსება მრავალმა ფაქტორმა განსაზღვრა, რომელთა შორის მთავარი მაინც ის იყო, რომ „საქალაქო თვითმმართველობის ჩასახება და ჩამოყალიბება თბილისში თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა — იგი, ერთი მხრივ, ფეოდალიზმის განვითარებისა და ამის შედეგად ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების, ხოლო, მეორე მხრივ, ე. წ. „თბილისის საამიროს" ერთგვარი ევოლუციის პერიოდს დაეშთხვა"[32].

აღსანიშნავია ავტორის დასკვნაც იმის თაობაზე, რომ თბილისის „საქალაქო წესწყობილების, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარება ძირითადად იმავე გზით წარიმართა, როგორითაც შუა საუკუნეების ევროპის ქალაქთა უმეტესობისა"[33].

ავტორთა კოლექტივის — შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე — ნაშრომში — „თბილისის ისტორია", რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ქალაქის ისტორიას „დასაბამიდან" ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით, შუა საუკუნეების თბილისის ისტორიას ბუნებრივად ნაწილი ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის გვერდით ეფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი ქალაქის პოლიტიკურ ისტორიას.

დ. გვრიტიშვილის ნაშრომში „გორის ისტორია" შუა საუკუნეების გორის ისტორიას დიდი ადგილი ეთმობა და განხილულია მისი როგორც სოციალ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ისტორიის უმთავრესი საკითხები.

---

[32] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1962, გვ. 166.
[33] იქვე, გვ. 145.

ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების კვლევის საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის ლ. ჭილაშვილს. 50—60-იან წლებში გამოქვეყნდა მისი ნაშრომები — „ქალაქი რუისთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი" (1958); „ნაქალაქარი ურბნისი. ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა" (1964); მისი ვრცელი, განმაზოგადებელი მონოგრაფია ორ წიგნად — „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში", I (1968); II (1970). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. ჭილაშვილის „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში", რომელიც ფართო წერილობით და არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალების ბაზაზეა შექმნილი.

ავტორის კვლევის სფერო მდიდარია, საკითხების რიგი მოიცავს ფეოდალური ქალაქის თითქმის ყველა მხარეს. ნაშრომის პირველ წიგნში ძირითადად წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად განხილულია ქართული ქალაქები და უძველესი ნამოსახლარები (არქეოლოგიური მასალის საფუძველზე), გამოყოფილია ქალაქთა ტიპები, შესწავლილია ქალაქისათვის დამახასიათებელი ობიექტების შესატყვისი ტერმინები — ციხე, ციხე ქალაქი, უბნები, ნაჩვენებია ქალაქის, როგორც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრის ჩამოყალიბება და მისი როლი როგორც თვით ქალაქის, ისე ქვეყნის განვითარების რთულ პროცესში.

აღნიშნული ნაშრომის მეორე წიგნი მთლიანად ფეოდალური ხანის ქალაქების ისტორიას ეძღვნება. სრულიად გარკვევით (და დაბაბეთებულად) გამოყოფილია ქართული ფეოდალური ქალაქების განვითარების პერიოდები, ცალკეა გამოყოფილი ე. წ. „ახალქალაქობის" ხანა ქართული ქალაქების განვითარების ისტორიაში (IX—XI სს.), ნაჩვენებია მთავარი საგზაო მარშრუტები და ვაჭრობის განვითარების საკითხები, გაშუქებულია ქალაქებში სასაქონლო წარმოების განვითარება და მასთან დაკავშირებული საკითხები.

ისტორიულ-არქეოლოგიურ ჭრილშია შესწავლილი აგრეთვე ც. ჩიკოიძის მიერ ქალაქი თელავი[38] — აღმოსავლეთ საქართველოს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი. ნაშრომი ძირითადად არქეოლოგიურ მასალაზე არის აგებული და მოიცავს ქალაქ თელავის ისტორიას მისი წარმოქმნის დროიდან (ადრეფეოდალური ხანიდან) XIX საუკუნემდე. ეს ნაშრომი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი პირველი სპეციალური მონოგრაფიაა, თელავის ისტორიისადმი მიძღვნილი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესწავლას გარკვეული ტრადიცია აქვს; 2. ივ. ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური ხანის ქართული ქალაქის ისტორიის სოციალ-ეკონომიკური კუთხით შესწავლის საქმეს; 3. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან მკვეთრად გაიზარდა ქართველ ისტორიკოსთა ინტერესი შუა საუკუნეების ქართული ქალაქების ისტორიის შესწავლისადმი (ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი უთუოდ ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და მისი დონის გარკვეულ ზრდაშია საძიებელი. მეორე მხრივ, ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად დამუშავების აშკარა შესაძლებლობას იძლეოდა); 4. აღსანიშნავია კიდევ ერთი: უკვე ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა უშუალოდ ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების ისტორიას (ან ნაშრომები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის წარმოჩენილი აღნიშნული ხა-

[38] ც. ჩიკოიძე, ქალაქი თელავი „ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა", თბ., 1979.

კითხი), ძირითადად ქალაქის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიით არის შეჯერებული და ნაკლებად ცდილობს ქალაქის ეთნიკური შემადგენლობის გარკვევას (ამ მხრივ გამონაკლისია ივ. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, წყაროთა „ეკონომიით" დეფიციტი უნდა იყოს ამის მიზეზი...)

К. С. ТОПУРИДЗЕ

СРЕДНЕВЕКОВЫЕ ГОРОДА В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ (20-е—70-е годы XX в.)

Резюме

В работе рассмотрены взгляды грузинских историков по вопросам истории грузинского средневекового города, отмечается усиление интереса к социально-экономическому облику города. При этом заметно некоторое ослабление внимания к этническим проблемам истории городов.

K. TOPURIDZE

MEDIEVAL TOWNS IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY (1920—1979 years)

Summary

In this work the views of the Georgian historians on the questions of the history of Georgian medieval towns are presented. The increasing interest toward the social-economic side of the towns is observed. At the same time less interest is shown toward the ethnic problems of the history o the towns.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა

ოთარ ცისკარიშვილი

ჯაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ ყუმაიდ იბნ ზანჯუმაიბის „ქონების წიგნში“

თანდათან ფართოვდება შუა საუკუნეების იმ არაბ თუ არაბულენოვან ავტორთა წრე, რომელთა ნაშრომებშიც შემონახულია არაბი მხედართმთავრის ჯაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიქრის (614—42/662 წწ.) უგრეთწოდებული „დაცვის სიგელის“, არაბ-ქართველთა შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულების, ტექსტი.

ჯაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ლაპარაკი გვაქვს სათანადო წყაროთა და სპეციალური ლიტერატურის მითითებით სტატიაში, რომელიც მიეძღვნა არაბი ავტორის აბუ უბაიდის (154/770—224/838 წწ.) ოურიდიულ ტრაქტატში „ქითაბ ალ-ამვალ“ („ქონების წიგნი“) შემონახულ ვარიანტს. იქვეა მოცემული „დაცვის სიგელს“ აბუ უბაიდისეული, აგრეთვე არაბი სარდლის თბილისის მოსახლეობის სახელზე გაგზავნილი წერილის არაბული ტექსტები და მათი ქართული თარგმანი სათანადო კომენტარებითა და შენიშვნებით.

ამიტომ ახლა, ზემოთ აღნიშნულის გამო, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მკითხველს მივუთითებთ ადრე დასტამბულ ჩვენს ნაშრომზე[1].

ამჯერად ქართულ ისტორიოგრაფიას ვთავაზობთ ჯაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელისა“ და არაბი მხედართმთავრის თბილელთათვის გაგზავნილი ბარათის ახალ არაბულ ტექსტებსა და მათ ქართულ თარგმანს. ეს ტექსტები შემონახულია ღრეშე ჩვენთვის უცნობი და საერთოდ არც თუ მაინცდამაინც ფართოდ ცნობილი არაბი აეტორის, განათლებით იურისტის, ყუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის იურიდიული ხასიათის იმავე სახელწოდების, როგორც აბუ უბაიდის ოურიდიული ტრაქტატია დასათაურებული, ნაშრომში „ქითაბ ალ-ამვალ“.

ყუმაიდ იბნ მახლად იბნ კუთაიბა იბნ აბდ ალაჰ ალ-ბალი ან-ნასა აბუ ალმად იბნ ზანჯუვაიჰი დაბადებულა ნასაში 180/796 წ. და გარდაცვლილა 251/865 წ. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ შემონახულია შუა საუკუნეების მრავალ არაბ ავტორთან, მათ შორის ისეთებთან, როგორებიც არიან ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი (1002—1071 წწ.), იბ-ხაყანი (1274—1348 წწ.), იბნ ჰაჯარ ალ-ასკალანი (1372—1449 წწ.) და სხვ.[2], ხოლო ახალი დროის მეცნიერთაგან მის პიროვნებას ეხებიან, კერძოდ, დანიელი ფ. ლემიხგი, ცნობილი გერმანელი აღმოსავ-

---

1 იხ. ო. ცისკარიშვილი, ჯაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში, მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1970, გვ. 187—199.

2 ალ-ბაღდადი, თარიხ ბაღდად, VIII, კაირო, 1931, გვ. 160—162; იბ-ხაყანი, თაზკირა ალ-ქუღუბ, ჰაიდარაბადი, 1914—1915, გვ. 550—551; იბნ ჰაჯარ ალ-ასკალანი, თაზჰიბ ალ-თაზჰიბ, ჰაიდარაბადი, 1325—1327, ტ. III, გვ. 48—49.

ლეთმცოდნენი ფ. ვიუსტენფელდი და კ. ბროკელმანი, უმარ რიდა ქაჰალა და სხვ.

სამწუხაროდ, თვით ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის თხზულებისა და არსებული გამოცემის შესახებ ამჯერად ბევრს ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ძალზე მწირია ის მასალა, რომელიც ჩვენს ხელთაა. კიდევ მეტი, დღეს ჩვენ გვაქვს ჭსე-როპირზე გადაღებული ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის ხსენებული ნაშრომის მხოლოდ რამდენიმე გვერდი და არა მთლიანად მისი გამოცემა*.

ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის „ჭითაბ ალ-ამვალ"-ის სახელწოდებით დასტამბული ნაშრომის გამომცემელია დოქტორი შაჭირ ზაიბ ფაიიადი, მეფე საუდის სახელობის უნივერსიტეტის ადიუნქტი.

როგორც ზშირად ხდება ხოლმე აღმოსავლურ წყაროთა, მათ შორის არაბულ წყაროთა, გამოცემებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც ძნელია ზუსტად დადგენა იმისა, თუ რომელ წელს უნდა იყოს გამოცემული ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის აღნიშნული ნაშრომი.

სატიტულო ფურცელს აზის რალაც კვადრატული ფორმის ბეჭედი, შტამპი თუ სიმბოლო, რომელზედაც იკითხება ერთ მხარეს „19", მეორე მხარეს — „83". ქვემოთ კი ძალზე წვრილი შრიფტით ჯერ არაბულ ენაზე, ხოლო შემდეგ ინგლისურად წერია: «مركز الملك فيصل للبحوث والدراسات الإسلامية» „King Faisal Center for Research and Islamic Studies" („მეფე ფაისალის (სახელობის) კვლევისა და ისლამის შესწავლის ცენტრი").

ახლა ძნელია დანამდვილებით თქმა იმისა, თუ რას შეიძლება აღნიშნავდეს მითითებული თარიღი „1983". იგი მეფე ფაისალის სახელობის აღნიშნული ცენტრის დაარსებისა და მისთვის ამ სახელის მინიჭების წელია თუ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თარიღი წიგნის გამოცემის წელია. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იბნ ზანჯუვაიჰის ნაშრომი გამოცემული უნდა იყოს არა უადრეს 1983 წლისა.

გამოცემას წამძღვარებული აქვს მეფე ფაისალის სახელობის კვლევისა და ისლამის შესწავლის ცენტრის გენერალური დირექტორის ზაიდ აბდ ალ-ჰასან ალ-ჰუსაინისა და დოქტორ მუჰამად უმარ შაბირის მოკლე წინასიტყვაობები.

თუ ჩვენს განკარგულებაში არსებული გამოცემის სარჩევის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამომცემელს დოქტორ შაჭირ ზაიბ ფაიიადს საქმაოდ შრომატევადი

---

* F. L e m m i n g, Commentatio philologica exhibens specimen Libri Ithâf al-abâ'ih bi-fadâ'il al-Masâ id al-aksâ auctore Kemalloddino Muhammede ben Abû Scherif ex codice manuscripto Nieburiano Bibliotheca Regiae Hauniensis excerptum... obtulit. Hauniae, 1817, გვ. XXXVI; F. W ü s t e n f e l d, Stammtafel der Familie Banû-'Asâkir. Ein Beitrag zur Geschichte der arabischen Literatur von F. W ü s t e n f e l d. Aus Leydener Handschriften ergänzt von H. F. W e i j e r s. Orientalia II. Amstelodami. 1845, გვ. 5—7, № 78; S o u r y, Die Geschichtschreiber der Araber und ihre Werke. Göttingen. 1892 (Aus dem XXVIII und XXIX Bande AKGWG), გვ. 105, № 292; C. B r o c k e l m a n n, Ibn 'Asâkir. ?. EI, II, გვ. 386; S o u r y, GAL, I, გვ. 331, SB, I, გვ. 567—568; 'უ მ ა რ რ ი დ ა ქ ა ჰ ა ლ ა, მუჯამ ალ-მუ'ალლიფინ, III, ბეირუთი, გვ. 84.

* ეს გვერდები გადაიღო სირიის არაბულ რესპუბლიკაში მიულენებით ეროვნების და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავაზიანად გადმოგვცა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არაბული ქვეყნების ისტორიის ჯგუფის იმჟამად შეხვედრი კურსის სტუდენტმა გოჩა ბუაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

სამეშაო შეუსრულებია. როგორც ჩანს, გამოცემა ორი ხელნაწერის — უცრუთწოდებული „თერჯული“ და „აბ-ხაპირას“ ხელნაწერების მიხედვით განხორციელება.

ასეთი სახის გამოცემისათვის საჭირო და აუცილებელი ბთელ რიგ საკითხებთან ერთად შაკრ ხაიბ ფაიიადს ერცლად აქვს გადმოცემული ჰუბაიდ იბნ ზახჯუეაიჰის ბიოგრაფია, საუბარია მის მასწავლებლებსა და მოწაფეებზე. ამ მასწავლებელთა შორის დასახელებულია ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი აბუ უბაიდაც, რომლის ნაშრომიდანაც პუმაიდ იბნ ზახჯუეაიჰს კეთილსინდისიერად გადმოუწერია მასზე სათანადო მითითებითა და მცირეოდენი, უმნიშვნელო, წყაროს შინაარსისა და დახიშხულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცვლილებებით პაბიბ იბნ ჰასლამას „დაკვის სიგელის“ ტექსტი თბილისის მოსახლეობის მიმართ დაწერილ ბარათთან ერთად.

აბუ უბაიდისა და ჰუმაიდ იბნ ზანჯუეაიჰის ნაშრომთა ერთნაირი ხასიათით, დანიშნულებითა და შინაარსით, და არა მხოლოდ მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობებით აიხსნება, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ გამომცემელს მათი ნაშრომების სპეციალური შეჯერებაც კი აქვს გაკეთებული (ტ. I, გვ. 47—51).

ახლა მოვიტანთ ჰუმაიდ იბნ ზანჯუეაიჰის ნაშრომის აღნიშნული გამოცემის საგტომეულის პირველ ტომში მოთავსებული (გვ. 474—476) პაბიბ იბნ მასლამას სიგელისა და თბილისელთა სახელზე დაწერილი მისი წერილის ტექსტების ქართულ თარგმანს, ხოლო წინამდებარე სტატიის ბოლოში დაეურთოთ მათ არაბულ დედანს სათანადო შენიშვნებითა და კომმარტებებით.

„დაკვის სიგელის“ ტექსტის თარგმანი ჰუმაიდ იბნ ზანჯუეაიჰის. ტ. I, გვ. 474

ესაა პაბიბ იბნ მასლამას სიგელი არმინიის ქვეყნის თაფლისის მცხოვრებთათვის:

გალმოეკლეშა ჰუმაიდი: პაბიბს აბუ უბაიდი: ალმად იბნ ალ-აზრაკ, არმანიის მცხოვრებისაგან, მომიყვა: მან თქვა: წაეკითხე პაბიბ მასლამას სიგელი, ანდა წაკითხული იქნა და მე ვისმინე მას, თაფლისის მცხოვრებლებთან

გვ. 475

მისი დაბადების შესახებ და ის, მასშია:

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა,

ესაა პაბიბ იბნ მასლამას სიგელი ალ-ბარმაზის ქვეყნის თაფლისის მცხოვრებთათვის: (გეწყალობათ) თქვენ, თქვენს შვილებს, ოჯახებს, სანაკებს, ეკლესიებს, სარწმუნოებას, სალათს შეუკალობა დამამცირებელი ჯიზიის ალიარებით. ყოველ კომლზეა სრული დინარი, თქვენ არ გაქვთ უფლება გაანრთიანოთ სხვადასხვა ოჯახები ჯიზიის შესამცირებლად. არც ჩვენ გვაქვს უფლება, რომ დავყოთ კომლი ჯიზიის გასადიდებლად. ჩვენ ვკისრებთ თქვენი გულწრფელობა და შენეკნა ალაჰისა, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრის წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ შეძლებთ.

გაჭირვებული ძუსლიმის გამასპინძლება,

ღამით კეთილად წოგნის ხალხთათვის ნებადართული საჭმლითა და მათთვისვე ნებადართული სასმლით; მითითება გზისა თქვენთვის ზიანის მიუყენებ-

ლად. თუკი ვინმე ჩაბორჭება თქვენგან მორწმუნეებს, თქვენზეა მისი მიყვანა მართლმორწმუნეთა და მუსლიმთა უახლოეს რაზმამდე. თუ ეს მაძიებლის შეუძლებელი არ არის და თუ თქვენ მოიანიებთ, შეასრულებთ ლიცენზიას და გადაიხდით ზაქათის, მაშინ ჩვენი ძმები ხართ ხარწმუნოებით. ვინც კი ზურგს აქცევს ფიცს, ისლამსა და ჯიზიას. ალაჰის, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტერია. ალაჰია ის, ვისაც შესთხოვენ შემწეობას, და თუ მორწმუნეებს არ ეცლებათ თქვენთვის და თქვენ დაგიმორჩილებთ მტერი, ამის გამო არ დაისჯებით და ეს არ იქნება თქვენი პირობის დარღვევა მას შემდეგ, რაც თქვენ დაუბრუნდებით მორწმუნეებსა და მუსლიმებს. ესაა თქვენი მოვალეობანი და ესაა თქვენი უფლებანი. მოწმეა ალაჰი, მისი ანგელოზები, მოციქული და მორწმუნენი. საკმარისია ალაჰის მოწმობა.

ჰაბიბ იბნ მასლამას წერილის ტექსტის თარგმანი

იგი (აბუ უბაიდი) ამბობს: ესაა მისი (ჰაბიბ იბნ მასლამას) ბარათი თიფლისის მცხოვრებლებისადმი.

ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თიფლისის მცხოვრებლებს: მშვიდობა თქვენ! მე ვადიდებ თქვენთან ალაჰს, თვითნებური რომლისა არა არს ღვთაება. შემდეგ კი, ამ რა: თქვენი წარმოგზავნილი თუფხელა მოვიდა ჩემთან და

გვ 476

ჩემს ამხანაგორწმუნეებთან და თქვენი ხახელიო თქვა: ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალაჰმა მოახმო ხიცოცხლე და განადიდა. ამგვარად მოვეპყრით ჩვენ ალაჰი სიბრიყვის, სიმკრირისა და უმეცრების შემდეგ. დიდება ალაჰს, უფალს სამყაროთა, მოწყალისა მწყალობლისა. მშვიდობა მის მოციქულს, კურთხევა მასი, რამეთუ წარგვიძღვა ხწორი გზით. თქვენი ხახელიო თუფხელამ თქვა: ალაჰმა დახცა ჩვენს მტერს შიშის ზარი ჩვენგან და ჩვენ არა გვაქვს არც ძალი და არც ღონე, თუ არ ალაჰით. მან თქვა, რომ თქვენ მოითხოვეთ ჩვენი მშვიდობა და ჩვე და მორწმუნეებმა, რომელნიც ჩემთან არიან, მოვიწონეთ ეს თქვენი (სიქმე). მე და ჩემთან მყოფმა მორწმუნეებმა შევეფიცეთ იგი. მისი საქონელი და ბალდი ფუ ლი ისი დინარია, გარდა თქვენზე დადგენილისა, მაგრამ ყოველ კომლზეა სრული დინარი, ჯიზია და არა გამოსასყიდი. და მე დაგიწერეთ მართლმორწმუნეთა დიდებულების თანდასწრებით თქვენი ვალდებულებისა და შეუვალობის სიგელი, რომელიც თქვენ გამოგეგზავნათ აბდ არ-რაჰმან იბნ ჯაბ' ას-სულამისთან ერთად. ეს არის მისი სიგელი. თუ თქვენ სცნობთ, რაც მასშია, მაშინ იგი თქვენ გადმოგცემთ მას და თუ უარყოფთ, იგი გამოგიცხადებთ ომს, ალაჰის, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა ხახელიო განურჩევლად. მართლაცდა ალაჰს არ უყვარს მოღალატენი. სალამი მას, ვინც ხწორ გზას მიყვება.

„დაცვის სიგელის“ ტექსტი

გვ. 474

وهذا كتاب حبيب بن مسلمة لاهل تفليس (من) بلاد ارمينية

حدثنا حميد قال ابو عبيد حدثني احمد بن الازرق من اهل ارمينية قال قرات كتاب حبيب بن مسلمة او قرى وانا انظر اليه في

23. 475

مصالحته[1] اهل تفليس [فاذا فيه][2]

بسم الله الرحمن الرحيم

هذا كتاب من حبيب بن مسلمة لاهل تفليس[3] من ارض الهرمز[4] بالامان لكم ولاولادكم واهاليكم[5] و صوامعكم[6] وبيعكم ودينكم و صلوانكم على اقرار صغار الجزية[7] على اهل كل بيت دينار واف ليس لكم ان تجمعوا بين مفترق الاهلات[8] استصغارا منكم للجزية ولا لنا ان نفرق بين مجتمع استكثارا منا للجزية ولنا نصيحتكم وضلعكم على عدو الله ورسوله والذين آمنوا—فيما استطعتم—واقراء المسلم المجتاز[9] ليلة بالمعروف من حلال طعام اهل الكتاب و حلال شرابهم وارشاد الطريق على غير ما يضر بكم[10] وان قطع باحد من المؤمنين عندكم فعليكم أداؤه الى ادنى فئة من المؤمنين والمسلمين الا ان[11] يحال دونهم فان تبتم واقمتم الصلاة واتيتم الزكاة فاخواننا فى الدين ومن تولى عن الايمان والاسلام والجزية فعدو الله[12] ورسوله والذين آمنوا والله المستعان عليه فان عرض للمؤمنين شغل عنكم وقهركم عدوكم فغير مأخوذين بذلك ولا ناقض ذلك عهدكم بعد ان تفيئوا الى المؤمنين والمسلمين

هذا عليكم و هذا لكم شهد الله وملائكته ورسله[13] والذين آمنوا وكفى بالله شهيدا[14]

ბალადური ისტორიის ტექსტის თარგმანი. ვეფხვიძე იმავე ბალანსიდან, ტ I. 23. 474

قال وهذا كتابه[1] الى اهل تفليس

من حبيب بن مسلمة الى اهل تفليس[2] سلم انتم فانى احمد اليكم الله ذى الا اله الا هو اما بعد فان رسولكم تغلى قدم على وعلى

23. 476

الذين آمنوا معى فذكر عنكم انه[3] امة ابتعثنا الله وكرمنا وكذلك فعل الله بنا بعد ذلة وقلة وجاهلية جهلا فالحمد لله رب العالمين الرحمن الرحيم والسلام على رسوله و صلواته كما به هدانا[4] وذكر عنكم تغلى ان الله قذف فى قلوب عدوّنا منا الرعب ولا[5] حول لنا[6] ولا قوة الا بالله

وذكر انكم احببتم سلمنا فما كرهت والذين[7] آمنوا معى ذلك منكم[8] وقدم على تغلى بهديتكم فقوّمتها والذين آمنوا معى عرضها وعدلها مائة دينار غير رائنة عنكم ولكن على كل اهل بيت[9] دينار واف جزية ولا فدية فكتبت[10] لكم عند ملا من المؤمنين كتاب شرطكم وامانكم وبعثت[11] به اليكم مع عبد الرحمن بن جز السلمى[12] وهو ما علمنا من اهل العلم والرأى[13] بامر الله وكتابه

فان اقررتم بما فيه دفعه اليكم وان توليتم اذنكم بحرب من الله ورسوله والذين آمنوا على سوا ان الله لا يحب الخائنين والسلام على من اتبع الهدى[14]

სხვაობანი აბუ უბაიდისა და ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის ტექსტებს შორის

სხვაობანი „დაკვის სიგელის“ ტექსტში

შენიშვნები	აბუ უბაიდი	ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰი
1	مصالحة	مصالحته
2	"	فاذا فيه
3	طفليس	تفليس
4	الهرمن	الهرمز
5	ولاهالكم	واهاليكم
6	واموالكم و صوامكم	პირველი სიტყვა—اموال, რაც „ტოპიკის“ ნიშნავს—იბნ ზანჯუვაიჰთან საერთოდ არ არის
7	بصفار بالجزيرة	بصفار الجزيرة
8	بين متفرق من الاهلات	بين مفترق الاهلات
9	قال ابو عبيد هكذا هو فى الحديث واقرا المسلم بالالف ولا ادرى لعله من قبل الهجا وانما هو قرى المسلم	მთელი ეს წინადადება იბნ ზანჯუვაიჰთან სამარცლიანად არის ამოღებული
10	على غير ما بضر بكم فيه	على غير ما يضر بكم
11	والا ان	الا ان
12	لله	الله
13	رسول	رسل
14	قال ابو عبيد صلوات بيوت نبنى فى البوار يصلون فيها فى اسفارهم تسمى صلوتا فعربت صلوات ومنه قول تعالى لهدمت صوامع وبيع و صلوات ومساجد يذكر فيها وانما اراد هذه البيوت على ما يروى فى التفسير قال ابو عبيد العرب كل شى تكتمه الفرس بالنبا تجعله بالطا مثل حديث تفليس حين جعله حبيب طفليس	ფილოლოგიური შინაარსის ეს შენიშვნა იბნ ზანჯუვაიჰთან სამარცლიანად არის ამოღებული

სხვაობანი ბაბის იბნ მასლამას წერილის ტექსტში

1	كتاب	كتابه
2	طفليس	تفليس
3	انا كنا امة	انا امة

სვეტების	ებუ უბაიდი	ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰი
4	هذينا	هذانا
5	ولا	ولا
6	بنا	لنا
7	ولا الذين	والذين
8	ذلك من امركم	ذلك منكم
9	ولكن على اهل كل بيت	ولكن على كل اهل بيت
10	وكتبت	فكتبت
11	وبث	وشت
12	قال ابو عبيد هذا حرف كما ترى مضموم وجر مشدد اسم رجل ايضا غير هذا وهو علمنا من اهل الرأى والعلم	ეს წინადადებაც ამოღებულია იბნ ზანჯუვაიჰთან როგორც ზედმეტი
13	وهو علمنا من اهل الرأى والعلم	وهو ما علمنا من اهل العلم والرأى
14	قال ابو عبيد والعرب كل شيء تكلمه الفرس مالا تحصله مثل الطاس حدثت عمر مطرس ومثل نفليس جعله حبيب طفليس قال والصلوات بيوت نبني في البراري للنصارى يصلون فيها في اسفارهم تسمى صلوتا فصرت صلوات ومنه قوله الله تعالى لهدمت صوامع وبيع و صلوات انما اراد هذه البيوت على ما يروى في التفسير	მთელი ეს ტექსტიც ამოღებულია იბნ ზანჯუვაიჰთან როგორც შეუსაბამო მის ძირითად შინაარსთან

როგორც ვხედავთ, ებუ უბაიდისა და იბნ ზანჯუვაიჰის ტექსტებს შორის სხვადასხვა ხასიათის ძალზე უმნიშვნელო სხვაობაა. არსებითად რომ ვთქვათ, ისინი არც ცვლიან როგორც „დაკვის სიგელის", ასევე ჰაბიბ იბნ მასლამას თბილისის მოსახლეობის მიმართ დაწერილი ბარათის ტექსტის ძირითად შინაარსს.

გასაგებია ისიც, რომ იბნ ზანჯუვაიჰს თავის ტექსტში მთლიანად აქვს ამოღებული ფილოლოგიური შინაარსის ის შენიშვნები, რომლებიც სრულად ხედმეტია ასეთი ხასიათის ტექსტში, როგორიცაა ჰაბიბ იბნ მასლამას საბავო ხელშეკრულება. მით უმეტეს ზედმეტია ისინი ჰაბიბ იბნ მასლამას წერილის ტექსტში.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მხოლოდ ორიოდე ფაქტი. ერთი ეხება „ალ-ჰარშან-ალ-ჰარშაზ" ტოპონიმთა ურთიერთობის საკითხს, ხოლო მეორე — სიტყვა „ალ-ამვალს" (შს. რიცხვის „მალ" (ქონება") მრავლობითი). ეჭვი არ

არის, რომ „ალ-ჰარმაზი", „ალ-ჰარმაზის ქვეყანა" ცნობილი „არმაზია", და ეს ტოპონიმი საუკეთო სწორად არის მოტანილი იბნ ზანჯუვაიჰთან, მაშინ როცა აბუ უბაიდთან ივი დამახინჯებული ფორმით „ალ-ჰარმან" წერია. ამ ტოპონიმის აბუ უბაიდთან ასეთი არასწორი ფორმით მოტანა რამდენიმე გარემოებით შეიძლება აიხსნას: ან გადამწერის მიერ თავის დროზე დაშვებული შეცდომით, ან გამოცემაში დაშვებული კორექტურული შეცდომით, ანდა თვით აბუ უბაიდის უცოდინარობით არმაზის, და არა „ალ-ჰარმანის, არსებობის შესახებ. იბნ ზანჯუვაიჰთან კი „არმაზ" ტოპონიმის არაბულად სწორად გადმოცემა შეიძლება აიხსნას იმ ფართო ინფორმაციით, რომელიც არ არის გამორიცხული მას უნდა ჰქონოდა ალმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაზე, კერძოდ, რომ, რა თქმა უნდა, ეს ტოპონიმი აბუ უბაიდის ნაშრომის ხელნაწერშიც ისევე სწორად იყოს გადმოცემული, როგორც იბნ ზანჯუვაიჰთანაა.

რაც შეეხება სიტყვა „ალ-ამვალს", რომელიც იბნ ზანჯულვაიჰთან რატომღაც აკლია, იგი ასევე შესაძლებელია თავის დროზე გადამწერის მიერ არის შეცდომით გამოტოვებული. შეუძლებელია, რომ სახავო ხელშეკრულების იმ ტექსტში, სადაც ლაპარაკია დამპყრობელთა გარანტიებზე დაპყრობილი ხალხის მიმართ, ქონების შეუვალობაზე არ ყოფილიყო აღნიშნული, როგორც ერთ-ერთ მთავარ და ძირითად პირობაზე არაბ-ქართველთა შორის აქეურიდან დაპყრობელი ურთიერთობის ვითარებაში. განსაკუთრებით იმ ძროს, რომ იბნ ზანჯუვაიჰის ნაშრომის გამომცემელს, როგორც ჩანს, არც უცდია მისი აღდგენა, თუმცა ამაზე დროს უნებლიედ ასეთი კითხვაც იბადება: კვლავ გამოცემაში დაშვებული კორექტურულ შეცდომასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

ამ სიტყვის აღდგენას როგორც არაბულ ტექსტში, ასევე მის ქართულ თარგმანში ამჯერად ჩვენც აუარდეთ თავი გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.

დაბოლოს, კიდევ ერთი კონმარტება: აბუ უბაიდის ტექსტში, სადაც საუბარია ეგრეთწოდებულ დამამცირებელ ჯიზიაზე, ჩვენი თარგმანი შემდეგნაირად გამოიყურება: „(გენყალობათ) თქვენ, თქვენ შვილებს, ოჯახებს, ქონებას, სენაკებს, ეკლესიებს, სარწმუნოებას, სალათს შეუვალობა (და) დამცირება ჯიზიას ალიარებით" (მაცნე, გვ. 193). წინამდებარე თარგმანში კი ეს ადგილი ოდნავ შეცვლილი სახით არის შესრულებული, როგორც უფრო მისაღები, ვფიქრობთ, შინაარსობლივადაც და ქართული ენის ნორმების გათვალისწინებითაც: „(გენყალობათ) თქვენ, თქვენს შვილებს, ოჯახებს, სენაკებს. ეკლესიებს, სარწმუნოებას, სალათს შეუვალობა დამამცირებელი ჯიზიის ალიარებით" ორივე თარგმანში მთავარი ის არის, რომ არაბული ტერმინი „სიღრუნ" „ჯიზია" ტერმინთან მიმართებაში თარგმნილია როგორც „დამცირება", „დამამცირებელი", კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მუსლიმური საბართალი, არც ადრინდელი და არც გვიანდელი, მკირე ჯიზიას არ იცნობს. ჯიზია ეკისრებოდა მხოლოდ არამუსლიმ მოსახლეობას, „აჰლ ალ-ქითაბს" (სჯულთა) წერილის მიმდევართ), რაც მისი სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად, იურიდიულად და მორალურად დამცირებისა და ეკონომიკურად შეჩიწრების პირობა იყო.

ძირითადი, რაც ამჟამად უნდა აღინიშნოს იბნ ზანჯუვაიჰის ნაშრომში ჩართული ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელისა" და მის წერილთან დაკავშირებით ის არის, რომ იბნ ზანჯუვაიჰი რიგით უკვე მეხუთე არაბულენოვანი ავტორია, რომლის ნაშრომშიც ეს მასალებია მოთავსებული.

თუ ქრონოლოგიურად მივყვებით ამ ხუთ ავტორს, მათგან პირველია აბუ უბაიდი, მეორე — იბნ ზანჯუვაიჰი, მესამე — ალ-ბალაზური (გარდ. 279/892 წ.),

მეოთხე — ატ-ტაბარი (224/838—310/923 წწ.) და მეხუთე — იაკუთ ალ-ჰამავი (დაახლ. 575/1179—626/1229 წწ.).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ხუთ ავტორთაგან ორი იურისტია (აბუ უბაიდი და იბნ ზანჯუვაიჰი), ორი (ალ-ბალაზური და ატ-ტაბარი) ისეთი პიროვნებებია, რომ მათმა მოღვაწეობამ და თხზულებებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა (განსაკუთრებით ატ-ტაბარისა) მდიდარი არაბული ისტორიოგრაფიის მთელი შემდგომი განვითარება, ხოლო იაკუთ ალ-ჰამავი არაბულ მწერლობაში ფართოდ ცნობილი და ავტორიტეტული, მეტად სანდო ავტორია.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად დამოკიდებული არიან ეს ავტორები ერთმანეთზე, მაგალითად იბნ ზანჯუვაიჰი აბუ უბაიდზე, ხოლო იაკუთ ალ-ჰამავი ალ-ბალაზურიზე.

მთავარი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაკვის სიგელი" და მისი წერილი თბილისელთა სახელზე არაბული ისტორიოგრაფიის მუდამ ყურადღების ცენტრში იდგა და თვით ხელშეკრულების ტექსტი, ვფიქრობთ, საკმაოდ სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, სანიმუშო იყო იმ მრავალრიცხოვან ასეთი შინაარსის ხელშეკრულებათა შორის, რომელთაც არაბები ჩვეულებრივ დებდნენ ეგრეთწოდებული „სულჰით", ანუ მშვიდობიანი გზით დაპყრობილ ხალხებთან. ისიც შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, ასეთი საზავო ხელშეკრულების საფუძველზე დაპყრობილ ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ. მდგომარეობა შედარებით მსუბუქი იყო, ვიდრე იმ ხალხებისა, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს და რომელთაც ისინი იპყრობდნენ იარაღის მეშვეობით, ეგრეთ წოდებული „'ანუანთან" ხალხები, ანუ ძალით, იარაღით დამორჩილებული ხალხები.

შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს არაბებსა და ქართველებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების თვით ტექსტი, სადაც თანაბრად არის აღნიშნული უფლება-მოვალეობანი, დაკისრებული არა მხოლოდ დამორჩილებულ ხალხზე, აქედან ქართველებზე, არამედ დამპყრობელ ხალხზედაც, საკუთრივ არაბებზე.

როგორც ჩანს, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებამ აიძულა ქართველობა არაბ სარდალთან გაეგზავნა თავისი რწმუნებული თუ ფილა თუ თუოფილე და ეთხოვა საზავო ხელშეკრულების დადება. საკმაოდ დასაშვებია, რომ ალბულ-ხან-ს საქართველოს მმართველი წრეები ახლო აღმოსავლეთში დატრიალებულ პოლიტიკურ ვითარებაში გარკვეული იყვნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ პატარა საქართველო საკუთარი ადამიანებითა და მატერიალური რესურსებით ვერ გაუმკლავდებოდა ახალ გარბიელ ძალას არაბთა სახით და საჭირო იყო ქვეყნის ხსნა მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტისა და ნგრევა-აოხრებისაგან. ეს აკეთებდა ქართველობამ იმ ხანად, შეიძლება ითქვას, წარმატებით შეასრულა.

О. В. ЦКИТИШВИЛИ

«ОХРАННАЯ ГРАМОТА» ХАБИБА ИБН МАСЛАМЫ В ТРУДЕ ХУМАЙДА ИБН ЗАНДЖУВАЙХА «КНИГА ОБ ИМУЩЕСТВЕ».

Резюме

В статье представлен арабский текст «охранной грамоты» и письма арабского военачальника Хабиба ибн Масламы (614—42/662 гг.) на имя жителей гор. Тбилиси совместно с его грузинским переводом и соответствующими примечаниями. Этот текст помещен в труде до последнего времени неизвестного грузинской историографии раннесредневекового автора, юриста по образованию Хумайда ибн Занджувайха (180/796—251/865 гг.) «Китаб ал-амвал» («Книга об имуществе»).

Хумайд ибн Занджувайх является пятым по числу и вторым по времени после известного арабского автора Абу Убайда (154/770—224/838 гг.), учителя Хумайда ибн Занджувайха, автором, сохранившим текст «охранной грамоты» и письма Хабиба ибн Масламы.

Вывод, сделанный по данным вновь обнаруженного материала, состоит в том, что «охранная грамота» Хабиба ибн Масламы, по всей вероятности, всегда была в центре внимания арабской историографии как образец мирного договора, заключенного между завоевателями и завоеванными.

O. TSKITISHVILI

ḤABIB B. MASLAMA'S „LETTER OF PROTECTION“ IN ḤUMAYD B. ZANDJUWAYH'S „BOOK ABOUT PROPERTY“

Summary

The paper presents the Arabic text of the „Letter of Protection“ of the Arab commander Ḥabīb b. Maslama (614—42/662) with his message to the inhabitants of Tbilisi, together with its Georgian translation and notes. The text is included in the Kitāb al-amwāl („Book about Property“) of Ḥumayd b. Zandjuwayh (180/796—251/865), a medieval author lawyer by education, hitherto unknown in Georgian historiography.

Ḥumayd b. Zandjuwayh is the fifth in order and second in time after the well-known Arab author Abū 'Ubayd (154/770—224/838), Ḥumayd b. Zandjuwayh's teacher, who preserved the text of the Kitāb al-amwāl and the message of Ḥabīb b. Maslama.

It is concluded on the basis of the newly discovered material that Ḥabīb. b Maslama's „Letter of Protection“ must have always held central place in Arabic historiography as a model of a peace treaty concluded between the conquerors and the conquered.

წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVII საუკუნეებში

ქართველ და პოლონელ ხალხთა ურთიერთკავშირს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, პოლონეთიც ცდილობდა ურთიერთკავშირი დაეწყოთ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ, სპარსეთთან და საქართველოსთან. ხშირად პოლონეთი სპარსეთთან კავშირს საქართველოს საშუალებით ამყარებდა.

XV—XVII ს-ში საქართველო-პოლონეთის ურთიერთობას ბევრი ავტორი ეხება როგორც საქართველოში, ისევე პოლონეთში. ქართველ ავტორთა შორის აღსანიშნავია: ი. ცინცაძე[1], გ. ზეგინიძე[2], ი. ტაბაღუა[3], ნ. ბიკოლაიშვილი[4] და სხვ.

პოლონელი ავტორებიდან ამ მხრივ აღსანიშნავია: ა. მუხლინსკი[5], ს. ზალესკი[6], ს. ბჟეზინსკი[7], ც. ხოვახცი,[8] ს. კოშიალკოვსკი[9], ი. რეიხმანი[10], მ. ზაკშევსკაია-ლუბროვა[11], ბ. ბარანოვსკი[12], ა. ვოზნიაკი[13], ე. პენსელი[14] და სხვ.

---

[1] ი. ცინცაძე. ქართლი პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVII სს., თბ., 1962; ი. ცინცაძე, ი. ტაბაღუა, პოლონეთის საისტორიო რესპუბლიკა, თბ., 1969

[2] გ. ზეგინიძე, ბოჭორმა გერმანელ დიპლომატებ ამბავებზე. თბ., 1933.

[3] ი. ტაბაღუა, პოლონეთის საისტორიო რესპუბლიკა, თბ., 1970

[4] ნ. ბიკოლაიშვილი, 1820—1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს ეროვნული საზოგადოება, „მაცნე". 1967, № 2; მისივე, ქართველ და პოლონელ ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან XI საუკუნის დასაწყისში, კრებ. „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები", I, თბ., 1975.

[5] A. Muchliński, Materiały do dziejow kościoła polskiego z języków wschodnich, „Pomietnik Religijno-Moralny" 1861, t. 7, გვ. 531—553

[6] S. Zaleski. Jezuici w Polsce, Lwow, 1901—1906, t. 2—4; მისივე, Misji w XVII i XVIII wieku pod protektoratem Polski. Krakow, 1882, გვ. 119

[7] S. Brzeziński, Misyonarze i dyplomaci polscy w Persey w XVII i XVIII w., Potulice, 1935.

[8] C. Chowaniec, Z dziejów polityki jana III na Bliskim Wschodzie „Kwartalnik Historyczny", 1926, t. 40, გვ. 151-160

[9] S. Kościałkowski, L'Iran et la Pologne a travers les siècles, Teheran, 1943. მისივე, Iranoznawstwo i iranologia, „Studia Iranskie", 1944, t. II, გვ. 91—139.

[10] J. Reychman, Kaukaz, „Polska i Polaky w cywilizacjach Swiata", Warszawa, 1939, t. I. მისივე, Polacy w gorach Kaukazu do końca XIX w., „Wierchy", 1954, t. XXIII, გვ. 19—58.

[11] M. Zakrzewska-Dubasowa, Ormianie zamojscy i ich rola w wymianie handlowej i kulturalnej między Polską a Wschodem. Lublin, 1965, გვ. 91—140.

[12] B. Baranowski, Znajomość Wschodu w dawnej Polsce do XVIII wieku, Lodz, 1960, გვ. 212—224; მისივე, Polskie zainteresowania z XVIII i XIX wieku kultura Gruzji, Wrocław-Warszawa, 1982.

[13] A. Woźniak, Kultura ludowa Gruzji w relacjach polskich do początków XX w., „Etnografia Polska", Wrocław, 1983, t. XXVII, z. 1, გვ. 297—320.

[14] W. Hensel, I. Tabagua, Gruzja wczoraj i dziś, Warszawa, 1976.

საქართველოსა და პოლონეთს შორის პოლიტიკური ურთიერთკონტაქტები XV ს-ში დამყარდა. ამის შესახებ მასალები მოიპოვება ბოგდან ბარანოვსკისა და იასე ცინცაძის ნაშრომებში[15]. საინტერესო ცნობებია მოცემული, ა. გეიშტორის[16], მ. სვანიძის[17] ნაშრომებში.

საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობის დამყარებას ხელს უწყობდა ორივე ქვეყნის მიმართ თურქეთის აგრესიის საშიშროება. ორივეს სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვა. თურქეთი ისევე, როგორც საქართველოს, პოლონეთსაც არ აძლევდა მოსვენებას. ოქროს ურდოს დროიდან დარჩენილი ყირიმის სახანო, თურქეთის მხარდაჭერით ხშირად თავს ესხმოდა რუსეთს, უკრაინას, პოლონეთს. ყირიმის თათრები 40-ჯერ დაესხნენ თავს პოლონეთს.

თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში პოლონეთი ჯერ კიდევ XV ს-ის 40-იან წლებში ჩაება. სწორედ თურქეთის მხრიდან საშიშროებამ განაპირობა პოლონეთ-ლიტვის უნიის დაშლის (1434 წ.) შემდეგ, პოლონეთში ვლადისლავ III ვარნენჩიკის მეფობის დროს (1434—1444 წწ.) პოლონეთ-უნგრეთის უნიის შექმნა, რამდენადაც ორივეს ემუქრებოდა თურქეთის აგრესია. ამის შედეგად, პოლონეთის მეფე ვლადისლავ III უნგრეთის მეფეც გახდა.

1443 წელს პოლონეთ-უნგრეთის გაერთიანებულმა არმიამ დიდი მარცხი მიაყენა თურქეთის ჯარს. თუმცა, მომდევნო წელს ქ. ვარნასთან ბრძოლაში თურქებმა გაიმარჯვეს. აქ დაიღუპა პოლონეთის მეფე ვლადისლავ III.

1453 წელს სპარსეთის შაჰმა უზუნ ჰასანმა ევროპელი (ვენეციის რესპუბლიკისა და ბურგუნდიის საჰერცოგოს) ელჩების საშუალებით მიაღწია პოლონეთის მეფის კაზიმირ IV იაგელონჩიკის (1447—1492 წწ.) წერილი[18]. ამის შემდეგ უზუნ ჰასანმა თავისი დესპანი გაგზავნა პოლონეთის მეფესთან და ასე დამყარდა პირველი კონტაქტები პოლონეთსა და სპარსეთს შორის.

ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პოლონეთის მესვეურები განუწყვეტლივ ეძებდნენ მოკავშირეებს თურქეთისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ. ამ დროს ვინ შეიძლებოდა პოლონეთის მოკავშირე ყოფილიყო? ცხადია, პირველ რიგში ის ქვეყანა, რომელსაც პოლონეთის მსგავსად თავს ესხმოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ თურქები. იმ პერიოდში ასეთები იყვნენ სპარსეთი (რომელსაც ხშირი ომები ჰქონდა თურქეთთან), საქართველო და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები.

თუ აღმოსავლეთიდან თურქეთს შეუტევდა სპარსეთი და საქართველო, ხოლო დასავლეთიდან პოლონეთი და რომელიმე სხვა სახელმწიფო (ან სახელმწიფოთა ჯგუფი), ცხადია, თურქეთის აგრესიას როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში ბოლო მოეღებოდა.

---

[15] J. Cincadze, Stosunki polsko-gruzinskie w XV—XVII w., „Przeglad Orientalistyczny". 1960. nr. 1, გვ. 3—11.

[16] А. Гейштор, История на службе юго-восточной политики речь Посполитой в XV и XVI вв. в Сб. „Россия. Польша и Причерноморье в XVI—XVIII вв.," М., 1979, გვ. 29—39.

[17] М. Сванидзе, Грузия и страны Причерноморья и Восточной Европы в первой половине XVII в., Там же. გვ. 236—247.

[18] St. Zaleski Missye w Persji w XVII i XVIII wieku pod protektoratew Polski, Krakow, 1882, გვ. 2.

ასე შეიადლებოდა ანტიქართული კოალიციის შექმნის გეგმები[19].

XV ს-ის დასასრულს მოსკოვის სამეფოს კარზეც არსებობდა ანტითურქული კოალიციის შექმნის გეგმა[20]. ასეთი გეგმა არსებობდა საქართველოშიც, კერძოდ, კახეთის სამეფო კარზე. ეს იყო კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის გეგმა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ალექსანდრე მეფეს „ახალი მოძღვარი შეჰყონდა მოსკოვის ანტიოსმალურ კოალიციაში"... ანტითურქული კოალიციისა და მისი ბრძოლის მიზანი იყო: თურქეთის ალაგმვა და ქრისტიანობის აღდგენა... კახეთის მეფის ალექსანდრეს ხერხიანი გეგმის წინასწარი პირობა იყო საქართველოს გამთლიანება-აღდგომა[21].

ამრიგად, როგორც კი წამოიჭრებოდა ანტითურქული კოალიციის შექმნის საკითხი, მაშინვე პოლონეთიც და საქართველოც უფრო აქტიურად იწყებდნენ ერთმანეთის შორის კავშირების ძებნას. „მთელი XVII ს-ის განმავლობაში, — წერს პოლონელი ისტორიკოსი ბ. ბარანოვსკი, — პოლონეთის დიპლომატიამ რამდენჯერმე სერიოზული დაინტერესება გამოიჩინა კავკასიის მიმართ"[22]. 1495 წელს ქართლის მეფე კონსტანტინე შეეცადა კავშირი დაეშვა რებინა პოლონეთის მეფე ალექსანდრე იაგელონჩიკთან, რათა მისი დახმარება თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1620 წელს თურქებმა დაამარცხეს პოლონელები ცეცორასთან[23]. ამ გამარჯვების შემდეგ მოსალოდნელი იყო სულთან ოსმან II-ის ახალი ლაშქრობა პოლონეთის წინააღმდეგ. ამიტომ პოლონელებმა აქტიურად დაიწყეს მოკავშირეების ძებნა და საკუთარი ძალების თავმოყრა, რათა მომზადებული დახვედროდნენ მტერს.

იმავე 1620 წელს პოლონეთიდან კავკასიაში გაგზავნეს ორი პოლონელი ვაჭრების ნიღბით — აბგაროვიჩი და სერებკოვიჩი[24]. პირველმა მიაღწია ჩერქეზეთამდე და თითქოს. ჩერქეზთა ხანებისაგან მიიღო დაპირება დახმარებაზე. მათ ალუთქვეს, რომ ისინი მიმართავდნენ დივერსიებს თურქეთთან დაკავშირებულ ყირიმის ხანის წინააღმდეგ. მეორემ, თითქოს მიაღწია საქართველომდე, მაგრამ მის მისიას შედეგი არ მოჰყოლია.

1621 წელს პოლონეთისა და უკრაინის კაზაკების ერთიანმა ძალებმა ხოტინთან დაამარცხეს თურქეთის ჯარები. მაგრამ თურქეთზე პოლონეთის საბოლოო გამარჯვებას ხელს უშლიდა მეზობელ ქვეყნებთან პოლონეთის გართულებული ურთიერთობა — შვედებთან, პრუსიასთან, რუსეთთან (მაგალითად წარუმატებელი ბრძოლები შვედებთან ლივონიაში; რუსეთ-პოლონეთის ეგრეთ-

---

[19] M Paszkowski Rozmowa kozaka Zaporoskiego z Perskim Cesarzem o sprawach wojennych Pugan z Chrzescianmy. Krakow. 1617; Relacja Sefera Muratowicza obywatela warszawskiego do Zygmunta III krolu polskiego dla sprawowania rzeczy wyslanego do Persji w roku 1602. Warszawskiego do Persji v roku 1602. „Drobiazgi historyczne", Warszawa, 1891. t. I, S. Szapsxal, Wyobrazenia swietych muzulmanskich a wplywy ikonograficzne katolickie w Persji i stosunki polsko-perskie za Zygmunta III. Wilno. 1931.

[20] ვ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 210

[21] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგ. IV, თბ., 1967. გვ.

[22] B. Baranowski, Polskie zainteresowania. გვ. 8.

[23] იქვე.

[24] იქვე

წოდებული სმოლენსკის ომი და სხვ.). 1634 წელს რუსეთსა და პოლონეთს შორის დიდი პოლიანოვის ზავი. პოლონეთის ტახტზე ვლადისლავ IV-მ უარი თქვა რუსეთის ტახტისადმი პრეტენზიაზე.

ცხადია, მარტო პოლონეთი არ იყო დაინტერესებული საქართველოსთან კავშირით. ასეთი მისწრაფება საქართველოს მხრიდანაც იყო. მაგრამ იმ პერიოდში საქართველოში ასეთი კავშირებისათვის არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარება იყო. საქართველოს ამ დროს საკუთარი პრობლემებიც ძალიან ბევრი ჰქონდა. საქართველო დაჩეჩქმალებული იყო სამეფო-სამთავროებად. ამასთანავე, ამ სამეფო-სამთავროებს შორის არ იყო ნორმალური ურთიერთობა. პირიქით, ხოგიერთ მათგანს შორის მიმდინარეობდა გაუთავებელი და ორიენტ მხრივ ხანგრძლივი დამანგრეველი შინაფეოდალური ომები. დღევანდელ საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა შაჰ აბას I-ის ჯარების შემოსევები. 1614 წლიდან თითქმის 1 ტახტს ვერ ფლობდა და იძულებული იყო ხან დასავლეთ საქართველოში, ხან თურქეთში შეეფარებინა თავი, იგი თითქოს ეძებდა მოკავშირეებს სპარსეთის წინააღმდეგ. ამ ეტაპზე მისი მთავარი მიზანი იყო სპარსელთა გაუთავებელი შემოსევების ბოლოს მოღება.

ამრიგად, საქართველოს და პოლონეთის მესვეურების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, ორივე მხარე ძალებს ეძებდა მოძალადე დამპყრობელთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთი სპარსეთის წინააღმდეგ, ხოლო მეორე თურქეთის წინააღმდეგ.

1624 წელს გართულდა ურთიერთობა თურქეთსა და ყირიმის სახანოს შორის, საქმე ომამდეც კი მისულა. ყირიმის ხანს მაბმად III-ის საიდუმლოდ მხარს უჭერდნენ პოლონეთი და სპარსეთი. უკრაინელი კაზაკების დახმარებით ყირიმის ხანმა დაამარცხა თურქები. ამ დროს ყირიმის ხანის გვერდით იყო მისი პოლიტიკური თანამოაზრეთვე შაჰინ-გირეი. ამ უკანასკნელმა დაიწყო ანტითურქული კოალიციის შექმნა. მისი გეგმით ამ კოალიციაში უნდა შესულიყვნენ პოლონეთი, სპარსეთი და საქართველო.

თითქოს, ამ დროს მოლაპარაკების მიზნით ყირიმში ჩასულა „საქართველოს მეფის ელჩი“. თუ ასეთი ელჩი ნამდვილად ჩავიდა ყირიმში, იგი შეიძლებოდა ყოფილიყო თეიმურაზ I-ის ელჩი, მაგრამ თეიმურაზ მეფე ამ დროს მოკავშირეებს ეძებდა არა თურქეთის წინააღმდეგ, არამედ სპარსეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ამ დროს არც იმერეთის მეფეს, არც ლევან II დადიანს და არც გურიის ძლიერს არ ჰქონდათ საომარ-მოკავშირეობა თურქეთთან და არც ომს აპირებდნენ მის წინააღმდეგ.

ეს „ქართველი მეფე“, წერს ბ. ბარანოვსკი, შაჰინ-გირეის საშუალებით წერილებს წერდა გაეულიან პოლონელ მაგნატებს. კერძოდ, თავად კონშტოლ ბზარსკის, რომელიც მზად იყო ყოველგვარი დახმარება გაეწია, პირველ რიგში საბუღდრო, თურქების წინააღმდეგ[20].

ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტური მასალა, რომელიც ადასტურებს ასეთ მოსაზრებას.

1628 წელს ბაქმად III და შაჰინ-გირეი აიძულა თურქეთმა ყირიმი დატოვებინათ. ისინი უკრაინის ტერიტორიაზე გადავიდნენ. შაჰინ-გირეი კვლავ შეეცადა შეექმნა ანტითურქული კოალიცია, რომელშიც უნდა შესულიყვნენ

---

[19] B. Baranowski, Polskie zainteresowania გვ. 8—9.

[20] იქვე, გვ. 9.

ყირიმელი თათრები, ეკრაინელი კაზაკები, პოლონელები, კავკასიელები (ქართველები და ჩერქეზები) და სპარსელები. შაჰინ-გირეის ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. მეჰმედ III და შაჰინ-გირეი ყირიმში ჯერ დაბრუნდნენ.

ბ. ბარანოვსკის ცნობებით, ამ დროს საქართველოს წარმომადგენელი ყოფილა პოლონეთში. იგი წერს: „მთელს ამ 1628—1629 წწ. იყო, ალბათ, მეტი ხმაური, ვიდრე რეალური დიპლომატიური მოლაპარაკება კვლავ, ვიდაც უცნობმა ქართველმა, მონასტრის წინამძღვარმა, „საქართველოს მთავარი სასულიერო მოხელის“ სახელით[28], ალუთქვა დახმარება რამდენიმე ათეული ათასი კაცით, რომლებსაც პოლონეთის ჯართან ერთად უნდა გაეძევებინათ ყირიმიდან ახალი ხანი ჯანიბეგი და მისი მომხრე თურქები. მაგრამ არც ამ დიპლომატიურ მოლაპარაკებას (რომელიც საეჭვოდ გამოიყურებოდა), არ მოჰყოლია რაიმე შედეგი“[29].

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს „უცნობი ქართველი, მონასტრის წინამძღვარი“ პროფ. ი. ტაბაღუას აზრით[30], იგი შეიძლება ყოფილიყო ნიკიფორე ირბახი, რომელიც ამ დროს ევროპიდან ბრუნდებოდა. იგი 1628 წლის დეკემბერში იტალიიდან საქართველოსკენ წამოვიდა. მან გაიარა გერმანიაზე და პოლონეთზე. შესაძლებელია ამ დროს მას მოლაპარაკება ჰქონდა პოლონეთის სამეფო კარზე.

XVII ს-ის 30-იანი წლების დასასრულს საქართველოში და სპარსეთში იყო პოლონეთის აგენტი შემბერგი, მაგრამ მისი ეს მისია ტრაგიკულად დამთავრდა: საშობლოსკენ ბრუნავალი შემბერგი გზაში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებმა მოკლეს[31]. ასე რომ, თუ რა შედეგებით დამთავრდა მისი მისია სპარსეთსა და საქართველოში ცნობილი არაა.

1644—1648 წწ. პოლონეთის მეფეს ვლადისლავ IV-ს უნდოდა თურქეთის წინააღმდეგ ახალი ძალებისათვის მოეყარა თავი. ამ ძალებს იგი კვლავ სპარსეთსა და საქართველოში ეძებდა. მას ასევე მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ტომების მხარდაჭერის მოპოვება[32].

1646 წელს ამ მიზნით პოლონეთიდან არაოფიციალურად გაგზავნა ვინმე შიმანსკი. მისი მისიის მთავარი მიზანი იყო ანტითურქული კოალიციის შექმნა. როგორც ვაჭარი იგი თურქული გემით კაფადან საქართველოში გაემგზავრა. მაგრამ ამ გემის კაპიტანმა მას უფლება არ მისცა გემიდან გადამჯდარიყო კავკასიის ნაპირებზე და საქართველოს ნაცვლად იგი კონსტანტინოპოლში ჩამოიხნდა.

იმავე დროს პოლონელი საბჭედრო ინჟინერი სამასტიან ადერსი, ასეთივე ხერხით პოლონეთიდან საქართველოში გაემგზავრა და იყო დასავლეთ საქართველოში. მისი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების შეკრება. ამ მიზნით ეწეოდა იგი მოლაპარაკებას, მაგრამ არც აქ ჩანს რაიმე შედეგები.

---

[28] B. Baranowski, Polskie zainteresowania . გვ. 9.

[29] „... niemkniesiony przez gruzinski w imieniu „głównego arcykapłana Gruzji...“

[30] B. Baranowski, დასახ. ნაშრომი, გვ. 9

[30] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (1628—1633 წწ.), ტ. II, 1987.

[31] B. Baranowski, Znajomość Wschodu w dawnej Polsce do XVIII wieku. Łódź, 1960, გვ. 212—214.

[32] B. Baranowski, Polskie zainteresowania . გვ. 9

იმავე 1646 წელს პოლონეთიდან სპარსეთში გაგზავნეს ელჩად ეჟი ილიჩი (თუ ილინიჩი). მაგრამ ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია[33]. ამდენი ცდების შემდეგ პოლონელებმა ამკარად დაინახეს, რომ სპარსეთიდან და საქართველოდან რაიმე რეალური დახმარების მიღება შეუძლებელი იყო[34]. მაგრამ საქართველოდან დახმარების მიღების იმედი პოლონეთის სამეფო კარზე საბოლოოდ მაინც არ დაუკარგავთ.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან პოლონელები კვლავ ეძებენ დახმარებას სპარსეთსა და საქართველოში. მას, ეს დახმარება სჭირდებოდათ როგორც თურქეთის, ისევე ყირიმის თათრების წინააღმდეგ. სწორედ ამ პერიოდში გაიგზავნა სპეციალური დიპლომატიური მისიით პოლონეთის სამეფო კარიდან სპარსეთში ბოგდან გურჯიცკი ანუ გურძინსკი[35]. „ივი იყო ქართველი, — წერს ბ. ბარანოვსკი, — რომელიც პოლონეთის არმიაში მსახურობდა"[36]. ბოგდან გურჯიცკი რამდენჯერმე იყო გაგზავნილი პოლონეთიდან ელჩად სპარსეთში.

1668 წელს ბოგდან გურჯიცკი პოლონეთის სამეფო კარმა კვლავ გაგზავნა სპეციალური მისიით სპარსეთსა და საქართველოში. საქართველოში მას პოლონეთის მეფის წერილი უნდა გადაეცა ქართლის მეფე ვახტანგ V-სათვის[37]. შემდგომში, ბოგდან გურჯიცკი იყო პოლონეთის დიპლომატიური რეზიდენტი სპარსეთში. „ეს ადამიანი, — წერს ბ. ბარანოვსკი, — თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში ასრულებდა პოლონეთის დიპლომატიური ექსპერტის ფუნქციას არაოფიციალურად სპარსეთისა და კავკასიის საქმეებში"[38].

ბოგდან გურჯიცკის დიპლომატიური მოღვაწეობისა და საერთოდ ამ პერიოდში სპარსეთთან, რუსეთისა და პოლონეთის ურთიერთობის, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხები კარგადაა განხილული ისტორიკოს გურამ ჭეიშვილის წიგნში[39].

XVII ს-ის დასასრულს და XVIII ს-ის დასაწყისში საქართველოში ჩამოჩნდებიან პოლონელი წარმომადგენლობის კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ასევე სასარგებლო საქმეებს ეწეოდნენ საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებული იყვნენ სხვა კათოლიკე მისიონერებიც (იტალიელი, ფრანგი და სხვ.), რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ, ან საქართველოდან უკან ბრუნდებოდნენ პოლონეთის გავლით[40].

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ სომეხი ვაჭრებიც. მათ შეეძლოთ საქართველოსა და პოლონეთის

---

[33] B. Baranowski, Polskie zainteresowania ... ს. 10

[34] W. Czemak, Plany wojny tureckiej Władysława IV. Krakow. 1895; K. Szajnocha, Dwa lata dziejow naszych. 1646, 1648. Warszawa. 1900; B. Baranowski-Stosunki Polsko-tatarskie w latach 1632—1648. Lodzi. 1949. ს. 160—205.

[35] ი. გ. ბეგებაძე, დასახ. ნაშრომი.

[36] Б. Барановская, Кавказ и Польша в XVII веке, Сб. Россия, Польша и Причерноморье в XV—XVIII вв., М., 1979, ს. 251

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] Г. Э. Зедгенидзе, Из истории польско-русских дипломатических отношений с Ираном, Тб., 1978 (Автореферат), ს. 332

[40] J. Reychman, Kaukaz, Polac, w gorach Kaukazu do konca XIX w., Wierchy, 1954, t. 23, ს. 19—58.

ესპანეთს შორის ურთიერთმიმოწერის დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულებინათ ამ წერილების მიტან-მოტანის საქმეში[41].

სომეხი ვაჭრები დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოსა და პოლონეთს შორის ვაჭრობის გაუმჯობესების საქმეში. „სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა კავკასიასა და პოლონეთს შორის, — წერს ბ. ბარანოვსკი, — ხელში ჩაიგდეს სომხებმა[42], რომლებიც პოლონეთისა და უკრაინის ქალაქებში ცხოვრობდნენ. ისინი სხვა ვაჭრებს არ ანებებდნენ ამ საქმეს"[43]. ამ გზით პოლონეთში ხვდებოდა ქართული ხელოვნების საგნებიც[44]. საქართველოდან პოლონეთში გადიოდა ცხენებიც, რომლებიც „გეორგიად" იწოდებოდნენ. ეს ცხენები უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე თურქული და სპარსული ცხენები. „ეს იყო იმ დროს ყველაზე ძვირი ცხენები, — წერს ბ. ბარანოვსკი, — რომლებსაც ყიდულობდნენ პოლონელი მაგნატები"[45]

გარდა ამისა, საქართველოს საშუალებით პოლონეთი ეცნობოდა აღმოსავლეთის, კერძოდ, საქართველოსა და სპარსეთის ხელოვნებას, მოდებს, მხატვრობას. აქედანაა ის გავლენა, რომელსაც დღეს ვხედებით პოლონეთის მხატვრობაში და ხელოვნებაში (დეკორატიული ხალიჩები და სხვ.). ბ. ბარანოვსკის საცნობით დასაშვებად მიაჩნია ქართული ჯამოყენებითი ხელოვნების გავლენა პოლონეთის ხელოვნებაზე[46]: მხატვრული გაფორმებები ქამრებზე, ოქრომჭედლობაზე, ტან-საცმელზე და სხვ. ასევე ცხენების აკაზმულობა.

ბ. ბარანოვსკი წერს, რომ თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას და შევადარებთ რომელ ქვეყანასთან უფრო ინტერესებდათ პოლონელებს ურთიერთობა XVI! ს-ში, საქართველოსთან, თუ მასთან უფრო ახლო მდებარე ქვეყნებთან: ხორვატიასთან ან ირლანდიასთან, აღმოჩნდება, რომ მათ უფრო საქართველო აინტერესებდათ.

პოლონეთის საშეფოს ასეთი დამოკიდებულება საქართველოსთან გამოწვეული იყო ჯერ ერთი, როგორც უკვე ითქვა, იმით, რომ ორივეს ერთი და იგივე დაუძინებელი მტერი ჰყავდა — თურქეთი, ხოლო მეორე, საქართველოს, ამ ქრისტიანული ქვეყნის მიმართ შუა საუკუნეებში არსებობდა ლეგენდა „პრესვილვევლმთავარ იოანეს" შესახებ, რომელიც თითქოს, საქართველოდან იყო, საქართველო იყო „პირველი მღვდელმთავრის" იოანეს (იანის) ქვეყანა. ასევე „გეორგია" იყო „წმ. გეორგის" ქვეყანა. ასეთი მითიური ქვეყანა, საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის აღმოუჩენდა სათანადო დახმარებას ასევე ქრისტიანულ პოლონეთს, განსაკუთრებით ბუსულმანების წინააღმდეგ ბრძოლაში

ბევრი საინტერესო ცნობა მოეპოვება საქართველოსა და ქართველების შესახებ XVII ს-ის მეორე ნახევარში პოლონელ დიპლომატს სამეფო ოტინოვსკის, იგი კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს იქ ხვდებოდა ქართველებს

---

[41] B. Baranowski. Ormianie w służbie dyplomatycznej Rzeczypospolitej. „Myse Karelmska", 1966. გვ 124—134

[42] იქვე.

[43] Б. Барановский. Кавказ и Польша..., გვ 252.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] იქვე, გვ 256

(დესპანება, პოლიტიკურ ემიგრანტებს, ძეკვლად წაყვანილებს) და პირადი კონტაქტები ჰქონდა მათთან[47].

O R TABUTSADZE

FROM THE HISTORY OF GEORGIAN—POLISH RELATIONS SINCE THE 15th AND UP TO THE MIDDLE OF THE 17th CENTURY

Summary

The paper deals with bases of Georgian Polish historical contacts of the 15–17th centures. A number of considerable facts, demonstrating Georgian's and Poland's yearning towards mutual supporting in their striving against the common foe—Turkey, are adduced.

Georgian–Polish political, literary and cultural intercourses especially matured from the beginning of the 17th century. Since then particular attantion has been given to literary ties, which helped to deepen and consolidate Georgian–Polish interrelations.

წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს კულტურის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების

[47] B Baranowski. Polskie zainteresowania..., გვ. 16.

თეიმურაზ თოდუა

არიანეს „პერიპლუსის“ ბერეც და λιμήν ტერმინების განმარტებისათვის

ახ. წ. II ს. პირველი ნახევრის შავიზღვისპირეთის სანაპიროების ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არიანეს „პერიპლუსის“[1] ყოველ ცნობასა თუ ტერმინს და მათ სწორ გაგება-განმარტებას. ამჟამად ჩვენ „პერიპლუსის“ βρέχος და λιμήν სიტყვები გვაინტერესებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ნავსადგურთა აღმნიშვნელ ტერმინებად გამოიყენება.

„პერიპლუსის“ 12 პარაგრაფში, არიანე წერს, რომ κατάπλους λιμήν არის ამგვარი ადგილი და ისეთივე βρέχος-ი სადაც „მასში ცივი და წმინდა წყლის წყაროა, რომ ზღვასთან არის ხომალდების ასაგებად გამოსაყენებელი ტყე (Arr., PPE 12). ცხადია, რომ არიანეს მიერ ორივე სიტყვის ერთდროულად ხმარება, ერთი და იმავე ადგილის მიმართ შემთხვევითი არ უნდა იყოს. არიანესთან ეს სიტყვები, რომ შემთხვევითი არ არის, კარგად ჩანს მისი ნაშრომის სხვა ადგილებიდანაც. ასე მაგ., პონტოს ათენას შესახებ იმპერატორ ადრიანეს აცნობებს, რომ „ზაფხულობით ამ ნავსაყუდელში (ἐν ᾧ βρέχει) შეეძლიათ შეიფარონ ხომალდებს მცირერიცხოვნად“. „...ხომალდებისათვის ნავსაყუდელი (βρέχος ἦν) საიმედო ალარ იყო“. (Arr., PPE 4). ნავსადგურ ჰისოსის მიმართ, არიანე ხაერთოდ არ ხმარობს სიტყვა „βρέχος“ და მას ყველგან „λιμήν“-ად იხსენიებს. „ჰისოსი, რომლისაკენაცაა სახელწოდება ჰისოს ნავსადგურისა („ὑσσοῦ λιμήν), „ნავსადგური λιμήν) ტრაპეზუნტისაგან დაშორებულია ას ოთხმოცი სტადიონით: ოფსი, რომელიც დაშორებულია ჰისოს ნავსადგურს (λιμένος) ოთხმოცდათი სტადიონით“, „ტრაპეზუნტიდან, რომ წამოვედით, პირველ ღღეს მივედით ნავსადგურ ჰისოსში („ὑσσοῦ λιμένα). (Arr., PPE, 7). ეს სიტყვები რომ სინონიმები ყოფილიყო, მაშინ არიანე ჰისოს ნავსადგურს ერთგან მაინც βρέχος-ად მოიხსენიებდა, მაგრამ, ამგვარ ტერმინს მისთვის არ „იმეტებს“, ვინაიდან ათენას ნავსაყუდელთან შედარებით ის უფრო მნიშვნელოვანი და კეთილმოწყობილი ნავსადგურია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არიანე ათენას ნავსაყუდე-

---

[1] ფლავიუს, არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კვაჭაძისა, თბ., 1961; Arrianus, Periplus Ponti Euxini, Lipsiae, 1928.

ლის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი არასაიმედოობის გამო[2], ხოლო ჰისოს ნავსადგურის შესახებ არავითარი უკმაყოფილება არ შეინიშნება. პირიქით, არიანე მას λιμήν-ს უწოდებს. ამ უკანასკნელი ტერმინით იხსენიებს არიანე, აგრეთვე ისტრიელების ნავსადგურს, ხოლო მას იქით მდებარე ოდესოსის შესახებ წერს, რომ იქ იყო სადგომი ხომალდთათვის — ἐν Ὀδήσσῳ ὅρμος ναυσὶν Arr., PPE. 20).

როგორც ვხედავთ, არიანესათვის ეს განსხვავება სავსებით ბუნებრივია და ამ ტერმინებში გარკვეული შინაარსია ჩადებული. ხსენებული სიტყვების შინაარსის ახსნას არიანე თვითონვე გვთავაზობს მე-16 პარაგრაფში, სადაც საუბარია ტრაპეზუნტის ნავსადგომის შესახებ. არიანე წერს:

„ἐνταῦθα σοι πεποίηται λιμένα πᾶσαι γὰρ αἱ τοιαῦται ἀποσταλεῖσιν ὧραι ἔτους ὅρμοι εἰσίν"

„აქ შენი ბრძანებით კეთდება ნავსადგური. ძველად კი აქ იყო სადგომი ხომალდთათვის, რომლებიც აქ შემოდიოდნენ ზაფხულობით"

ამ ტექსტში λιμένα არის ნავსადგური, რომელიც ადამიანის მიერაა აშენებული, მაშინ როცა ὅρμος არის ადგილი, სადაც ხომალდებს ღუზაზე დადგომა შეეძლოთ ქარიშხლის შემთხვევაში და ისეთი სადგომი, რომელიც შესაძლოა λιμήν-ად გადაქცეულიყო. როგორც ირკვევა, ადრიანეშიც ტრაპეზუნტში კეთილმოუწყობელი „ნავსადგური" ყოფილა. არ არის გამორიცხუ-

---

[2] მომდევნო ხანებშიც ათენას ნავსაყუდელი (Tabula Peutingeriana-ზე ამავე სახელით იყო აღნიშნული ოთხ ანძაზე. შორაც იხ., Itineraria Romana. Römische Reisewege an der land der Tabula Peutingeriana. dargestellt von K. Miller Stuttgart, 1916). იქვეა გოგორც საშუალო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგიერთი სადგომი მხოლოდ ხანჯლობით იყო ცნობილი გვიანდელი XIX საის პირველი ნახევრის გეოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რიგი ნავსადგურები — ხოფა, ათენა, რიზე, ჭანეთში ხომალდების სადგომად არ გამოიყენებოდა, ამიტომ მოსახლეობა წელიწადის ამ ღრის ძალიან საზღვაო ნაკლებს, ნახატზე მითითებულია. სამაგიეროდ, ჩვენებით აქ ხომალდებს ეხიფათოდ შეეძლოთ გაჩერებულიყვნენ. იხ. ა ბ ე რ ა ძ ე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981, გვ. 15—16.

[3] თვალი ადევნა გ. ბრანდისმა (C. C B r a n d i s. Arrians Periplus Ponti Euxini.— Reinisches Museum. II, 1828, გვ. 162). ეჭვი გამოთქვა არიანეს ამ ცნობის სისწორეში, რისთვისაც იგი საბაბადლასად გაკიცხა ვოგელი (იხ. RE 2, s. v Trapezus). კ. ლემან-ჰარტლებენი წერდა, რომ ბის ღრის ტრაპეზუნტში კარგად ჩანდა ნავსადგურთან ასეთი ქვებით ნაშთები K l e m e n-H a r t l e b e n. Die antiken Hafenanlagen des Mittelmeeres. Klio. BB XIV. 1923. გვ. 281, სურ. XXXV ნახევარწრიული მოხაზულობის კედლის 150 მ ზღვაში ყოფილა შენრილი. მოგვიანებით კი ტრაპეზუნტში ადრიანეს დროინდელი ნავსადგურის კედლიც არ დარჩა. დრანგა მოგზაურის გამბას ცნობით XIX საის I ნახევარში ტრაპეზუნტს მცირე ზომის ნავებისთვისაც კი არ ჰქონია ნავსადგური» (ეკ ფრანგა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, თარგმანი და კომენტარები პ. მგალობლიშვილისა, თბ., 1987, გვ. 270). ადრიანეს დროინდელი ტრაპეზუნტის ნავსადგურებს იგივეობა გაიწია ეხლა ყოფილია შავი ზღვის ბეჭის ტრანსგრესიული პროცესებით. ადრეულ შუა საუკუნეებში (XIII—XIV სს.) ზღვის დონის აწევის შედეგად ხმელეთის გარკვეული ნაწილი წყლით დაიფარა. ამგვარ პროცესებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ადრეულ ხანებშიც. ე. წ. V კოლხეთ ან. წ I საუკუნეშიც მიმდინარეობდა ზღვის დონის სწრაფი აწევა, რის შედეგადაც

ლი, რომ ამგვარი ნავსაყუდელის გამო[4], აქ ადრიანეშდე და ადრიანეს მმართველობის პირველ ხანებშიც რომაელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი იდგა[5], ხოლო სავსებით დარწმუნების შემდეგ, რომაელებმა ტრაპეზუნტში I პონტოს ლეგიონი ჩააყენეს[6]. ამ მოსაზრებას ურთგვარად მხარს უჭერს, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ ავგუსტუსის დომინიონის დროიდან არსებული სამხედრო-მელიტენე-სატალა-ტრაპეზუნტის სავაჭრო მაგისტრალის გამოცოცხლება განსაკუთრებით ადრიანეს დროს შეიმჩნევა, როდესაც ტრაპეზუნტში აშენდა კარგად გამართული ნავსადგური[7].

ტრაპეზუნტის ὅρμος-ის მსგავსი ნავსაყუდელი უნდა ყოფილიყო არიანეს დროს პიტიუნტშიც. არიანე გვაცნობებს:

„ἐν δὲ Διοσκουρίδος τρεῖς ἂν εἴη ὅρμος ἐν Πιτιούντι, σταδίοις τριάκοντα πανταχόθεν"
(Arr., PPE, 16)

„დიოსკურიიდან რომ მივდიხარ, პირველი ნავსადგომია პიტიუნტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე".

არიანეს ამ ცნობის საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ახ. წ. II ს. 30 წლებს ბიჭვინტა უმნიშვნელო პუნქტად წარმოიდგინოს[8], რაც სავსებით გაუმართლებელია, ვინაიდან აქ საუბარია არა საერთოდ ბიჭვინტა-ქალაქზე, არამედ კონკრეტულად მისი ნავსადგომის შესახებ. მართალია, არიანე არაფერს ამბობს პიტიუნტის ὅρμος-ის ავკარგიანობის შესახებ, მაგრამ ეფიქრებით აქაც ასეთივე სადგომი (ტრაპეზუნტის ὅρμος-ის მსგავსი) უნდა ყოფილიყო, რომელიც შეიძლებოდა „ცუდად" გადაკეთებულიყო[9]. მართლაც, II — III სს. ბიჭვინტაში შესაძლებელი გამხდარა ἀκρωτήρის ტიპის ნავსადგურის აშენება. ახ. წ. III ს. შუა ხანებში, ზოსიმეს სიტყვით, ბიჭვინტას უკვე ჰქონდა „კარგად მოწყობილი ნავსადგური" (Zosim. Hist. nova. I. 31—32).

შეკი ხედვა ისტორიკოს ქალაქსა და ნავსადგურს შორის ნაწილობრივ იზიარებს В. А. Меликишвили, В. М. Пешков. Бичвинта: Факты и гипотезы. М., 1980. გვ. 23-24 ავტორებიც იგი, რომ ერთ დროს ტრაპეზუნტის მოპირდაპირე ნავსადგურის ფუნქციას ეწეოდა. სადაც ქსენოფონტის ცნობის ათი ფეხსაცმლის სახელოსნო იდგნენ (Xenoph., Anab., V. I. 15), არიანეს უბრალო სადგომი დახვდა.

[4] სწორედ ამის გამო იყო, რომ პილეშის I-ის ხელს, პონტოს ტახტის მთავარ მაჩვენებელი არა ტრაპეზუნტი, არამედ სინოპე, რომელსაც შედარებით მოწყობილი ნავსადგური ჰქონდა იხ. М. И. Максимова. Античные города юго-восточного Причерноморья. М-Л 1956. Дм. Хвойка. Памятники античных городов Южного Причерноморья. СА. № 3. 1964. გვ. 176.

[5] ამ ხანებში ტრაპეზუნტში იდგა XII და XV ლეგიონების ჯგუფები. T. B. Mitford, Some Inscriptions from the Cappadocian Limes, JRS I—XIV. 1974 გვ. 133.

[6] T. B. Mitford. Cappadocia and Armenia Minor,—In: ANRW, 1975. 7:2, გვ. 1192.

[7] Г. П. Акопян. Древняя Армения в торговле Запада с Востоком. СА, 1984, № 2, с. 74; Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н. э.—XIII в. н. э. Изд. 2-е. Ереван. 1954, с. 105—106.

[8] З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии. М., 1964, с. 198. М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1970, с. 247.

როგორც ჩანს, არიანეს დროს ბიჭვინტაში არც თუ ისე არასაიმედო ნავსაყუდელი ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც თვით პიტიუნტი წარმოადგენდა „უბრალო სადგურს". ამის დასტურია არქეოლოგიური გათხრების მონაცემები. უკანასკნელი წლების გათხრებისას, ცხე-ჭალაქის XXII ნაკვეთის ქვედა ჰორიზონტში, საკმაოდ დიდ ფართობზე დაფიქსირდა ახ. წ. I ს. დასასრულისა და II ს. პირველი ნახევრის კულტურული ფენა, სადაც სინქრონული ხანის იმპორტული (კოსისა და როდოსის) და ადგილობრივ ამფორებთან ერთად აღმოჩნდა ხის კონსტრუქციული ნაგებობა[10]; საქალაქო ცხოვრების საკმაოდ ინტენსიურ რიტმზე მიუთითებს, აგრეთვე ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც წარმოდგენილია სამი მონეტით: 1. ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 — ახ. წ. 14) დუპონდიუსი, 2. ანტონინუს პიუსის ქვაზიავტონომიური მონეტა ახ. წ. I ს. დასაწყისისა. 3. პოლემონ II (49—63 წწ.) დრაქმა, მოჭრილი 56—57 წწ.[11]. პიტიუნტის ზოგიერთ უბანში ქ. საქალაქო ცხოვრება, თუმც ძალზე სუსტად, მაგრამ კვლავ გრძელდება. ამას მოწმობს III ნაკვეთის ქვედა ფენის კულტურული შრის სისქე, რომელიც მეტად მცირეა და ღარიბია ნივთიერი მასალითაც. ამ ნაკვეთიდან მომდინარე არქეოლოგიურ ძეგლთა შორის აღსანიშნავია პირჩაკეცილი, მკვეთრად კალთებდაბრილი, ძირვიწრო და ჭეშლმალალი ჭაშები, ახ. წ. I ს. სწორპირიანი, თხელკედლიანი პერგამონული წითელლაკიანი ჭამის ფრაგმენტი[12], მცირე ზომის ვიწროყელიანი ღია ფერის სინოპური ამფორები, რომლებიც ახ. წ. I ს. თარიღდებიან[13].

ყოველივე ზემოთქმული ამკარად მიუთითებს იმაზე, რომ ჰენიოხების ლაშქრობის შემდგომაც, ბიჭვინტაში საქალაქო ცხოვრება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, რის შესახებაც არიანე დუმს. როგორც დავინახეთ, იგი ლაპარაკობს მხოლოდ პიტიუნტის ნავსადგომისა თუ ხომალდსადგომის შესახებ. ამგვარი სიტყვასიფუცწე პიტიუნტის მიმართ გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ბიჭვინტა არიანეს ინტერესის სფეროში არ შედიოდა, რადგან მის დროს აქ რომაული გარნიზონი არ იდგა[14]. არიანეს დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონის არყოფნის მიზეზად ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია ის, რომ თითქოსდა ამ ხანებში ბიჭვინტა ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა[15]. ასეთი მტკიცების საფუძველი, მათი აზრით, ჩანს არიანეს შემდეგი ცნობიდან: „(დიოსკურიასთან) მთავრდება რომაელთა სამფლობელო პონტოს მარ-

---

9 ამისათვის ბიჭვინტას კლიმატური და გეოლოგიური პირობებიც ხელს უწყობდა ქ. ჯაბის ცნობით, ბიჭვინტის ყურის ფსკერი სუსტად იყო და ხომალდების ღუზის დამაგრება აქაც ხერხდებოდა. ღუზაჩაშვებულ ხომალდებს მაღალი მთები იცავდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარებისაგან, ხოლო დღის ქარებისაგან — შემაღლებული კონცხი ბიჭვინტის ყურე მხოლოდ ტრაპეზუნტიდან დანაკრძალი სამხრეთ-დასავლეთის ქარებისგან არის დაცული; მაგრამ ეს ქარები არც თუ ისე ხშირი ყოფილა (იხ. ქ. გამბა, დასახ. ნაშრ., გვ. 79).

10 Г. А. Лордкипанидзе. Работы Пицундской экспедиции — АО, 1978. М., 1979. с. 500. Н. Ш. Кигурадзе, Т. Т. Тодуа. К вопросу о времени в Пицунде поселения XV легиона (обзорно).

11 დიდი პიტიუნტი. I. თბ., 1975. გვ. 282.

12 დიდი პიტიუნტი. II. თბ., 1977. გვ. 179.

13 Д. Б. Шелов. Узкогорлые светлоглиняные амфоры первых веков нашей эры. Классификация и хронология, — КСИА, 150, 1978. с. 18.

14 ა. ფაქიძე. „დიდი პიტიუნტი" — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი I. გვ. 25.

15 ნ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

ჯვენა მხარეს მცურავთათვის. რადგან გავიგე, რომ კოტისი, ეგრეთ წოდებული კიმერიული ბოსფორის მეფე, გარდაიცვალა, მე შევეცადე ამეწერა შენთვის გზა ბოსფორამდე, რათა თუ კი რაიმეს მოისურვებ ბოსფორის მიმართ, შესაძლებლობა გქონდეს იმსჯელო ამ გზის ცოდნის საფუძველზე. ამრიგად, დიოსკურიადან, რომ მიდიხარ, პირველი ნავსადგომია პიტიუნტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე" (Arr., PPE, 17, 18).

როგორც ეხედავთ, მოტანილი ცნობა არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ბიჭვინტა ბოსფორის სამეფოს მიეკუთვნოს. აქ მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ პიტიუნტი არის დიოსკურიადან ბოსფორის გზაზე და შესაძლებელი ყოფილა დიოსკურიამდე მიცურვა სხვა გზითაც[16]. ამ საინტერესო საკითხის განხილვისას საყურადღებოა არიანეს კიდევ ერთი ცნობის გათვალისწინება. სახელდობრ ის, რომ აბაზგების მეფე რომაელთა დასმული პირი ყოფილა. „აბაზგთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგან აქვს მიღებული" - წერს არიანე. (Arr., PPE, 11). ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ რომაელთა ბატონობა ვრცელდებოდა დიოსკურის იქით მცხოვრებ აბაზგებზეც. რომაელთა ტერიტორიის ფარგლებში პიტიუნტიც შედიოდა[17]. ყოველივე ეს აშკარად მოწმობს იმაზე, რომ პიტიუნტი აღნიშნულ ხანაში აბაზგებს ეკუთვნოდა და იგი რომაელთა საშფლობელოს წარმოადგენდა. მაშასადამე, როცა არიანე ამბობს, რომ დიოსკურიაში მთავრდება რომაელთა სამფლობელო, აქ იგულისხმება ის, რომ ეს იყო უკანასკნელი პუნქტი, სადაც რომაული გარნიზონი დგას და არსად ჩანს, რომ პიტიუნტი ბოსფორის სამეფოს სისტემაში შედიოდა.

რაც შეეხება პიტიუნტში რომაული გარნიზონის არყოფნას, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ნავსადგურის არარსებობა. მოგეხსენებათ კი როლა რომაელებმა შეიტყვეს. რომ ბიჭვინტაში შესაძლებელი ყოფილ ნავსადგურის მოწყობა, მათ, აქ, ნავსადგური და ციხე-სიმაგრე ააშენეს, ხოლო შიგ თანაბანთი გარნიზონი ჩააყენეს[18].

არიანე არაფერს ამბობს, ასევე დასავლეთ საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი პუნქტის — სებასტოპოლისის ნავსადგურის ავკარგიანობის შესახებ, მაგრამ ის გარემოება, რომ „დიოსკურიიდან პიტიუნტში ნავსადგომი ყოფილა", საფიქრებელია, არიანე სებასტოპოლისში იმყოფა ერდა გულისხმობდეს. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს ანონიმი გეოგრაფოსის ცნობაც. ანონიმი წერს:

„Ἀπὸ δὲ Ἀστελέφου πόλεως εἰς τὸν Διοσκουρίδα λιμένα ἔχουσαν, ἥν νῦν λεγομένην Σεβαστούπολιν"
(Anon., PPE, 6)

„მდინარე ასტელეფიდან ქალაქ დიოსკურიადამდე, რომელსაც ნავსადგური აქვს და რომელსაც ახლა სებასტოპოლისი ეწოდება".

---

16 ა. ფოფხაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 35

11 აბაზგები მკვლევართა აზრით, II ს. 30-იან წლებში და უფრო მოგვიანებითაც დიოსკურიიდან ტერიტორიაზე ცხოვრობენ (იხ., Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 371; З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976, გვ. 38). ამდენად, პიტიუნტიც მათი ტერიტორიის ფარგლებში უნდა ეგულისხმოთ.

18 რომაელებმა პიტიუნტში თავიანთი გარნიზონი II ს. დამდეგს თუ III ს. დასაწყისში მოაწყვეს. იხ. Н. Ш. Кигурадзе, Г. А. Лордкипанидзе Т. Т. Тодуа. Клейма XV легиона из пицундского городища.—ВДИ. №2. 1987. გვ. 88 შემ.

I ქ.: კუკიის წმ. ნინოს ეკლესია, 1917 წ.); 3. სომეხ-რუსთა (ქ. ალექსანდროპოლის, თბილისის გუბერნიის, მცხოვრები შეკარსი აუტიკას ძე აკოფოვი, 25 წ., სომეხ-გრიგორიანი, I ქ. და ქ. ასტრახანის მოქალაქე მარიამ ვასილის ასული პლოტნიკოვა, ქალიშვილობის გვარი ნაზაშოვა, მართლმადიდებელი, II ქ.: იერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, 1916 წ.); 4. რუს-სომეხთა (პორუჩიკი 133-ე ყუბანის პოლკისა ნიკოლოზ დმიტრის ძე კუხნეცკოვი, მართლმადიდებელი, 22 წ., I ქ., თბილისის მეორე გილდიის ვაჭრის ასული მაია წულაბას (იგივე ბოგდანის) ასული აბაზოვა; სომეხ-გრიგორიანი, 22 წ., I ქ.: თბილისის ჯერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, 1915 წ.); 5. სომეხ-კათოლიკეთა და რუსთა (არმენიე ავაკის ძე პეტროსოვი, სომეხ-კათოლიკე, 30 წ., I ქ. და გლეხი ლიდია ალექსანდრეს ასული პოპოვა, მართლმადიდებელი, 26 წ., I ქ., 1917 წ. თბილისის ჯერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია); 6. ქართველ-გერმანელთა (მოქალაქე ივანე იოსების ძე იოსებიძე, მართლმადიდებელი, 25 წ., I ქ. და ლუდმილა — კლარა — ირინა ერნესტის ასული რაშმ, ლუთერანი, 19 წ., I ქ. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.); 7. გერმანელთა და რუსთა (უფროსი უნტერ-ოფიცერი ჟან-რობერტ ვოლუნბერგი, ევანგელიკურ-ლუტრანგი, 23 წ., I ქ. და გლეხის თედორე სახუნოვის ასული ანასტასია, მართლმადიდებელი, 25 წ., I ქ., ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1917 წ.); 8. რუს-გერმანელთა (მოქალაქე სერგო ეფრემის ძე ვასილიევი, მართლმადიდებელი, 45 წ., II ქ. და ოლღა ჰენრიხის ასული ნესი, ევანგელიკურ-ლუთერანი, 29 წ., I ქ.; ავლაბრის მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია, 1912 წ.); 9. რუს-მართლმადიდებელთა და რუს კათოლიკეთა (მოქალაქე ვასილ გაბრიელის ძე ეგოროვი, მართლმადიდებელი, 37 წ., II ქ. — მოქალაქე ივანე კორშუნოვის ქვრივი ელენე ბერნარდის ასული, რომაელ-კათოლიკე, 30 წ., II ქ.; იერის ღვთისმშობლის ხახალოვის ეკლესია, 1918 წ.); 10. ქართველთა და რომაელ-კათოლიკეთა (ნაფიცი ექიმი გიორგი ზურაბის ძე ჩაჩიბაია, მართლმადიდებელი, 56 წ., II ქ. და საფრანგეთის ქვეშევრდომი მარიამ იოანეს ას. პერო, რომაელ-კათოლიკე, 21 წ., I ქ.: ქაშვეთის წმ გიორგის ეკლესია, 1918 წ.). 11. რომაელ-კათოლიკეთა და ქართველთა (ფრანჩესკო რაფაელის ძე ფრანჩესკო, რომაელ-კათოლიკე, 34 წ., I ქ. და მარინე მიხეილის ასული მაჩაბელი, მართლმადიდებელი, 21 წ., I ქ.; კალოუბნის ეკლესია, 1920 წ.); 12. რომაელ-კათოლიკეთა და რუსთა (II კავკასიის ბატალიონის უმცროსი უნტერ-ოფიცერი ფაუსტინ — ალექსანდრე იაკობ ზაბორსკი, რომაელ-კათოლიკე, 26 წ., I ქ. — ყაზანის გუბერნიის გლეხის ასული პელაგია თეოდორეს ასული ჩერნიაევა, მართლმადიდებელი, 23 წ., I ქ.; მეორე მისიონერთა ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია, 1913 წ.); 13. რუსთა და რომაელ-კათოლიკეთა (ყაზანის გუბერნიის გლეხი მიხეილ არეზას ძე ოგანოვი, მართლმადიდებელი, 25 წ., I ქ. — ავსტრიის ქვეშევრდომის ასული ტერეზა ზუდანი, კათოლიკე, 18 წ., I ქ.; მეორე მისიონერთა ყაზანის ღვთისმშობლის ეკლ., 1913 წ.); 14. კათოლიკეთა და ლუთერანთა (მოქალაქე დუგლას თომას ძე ედგარსი, კათოლიკე, 36 წ., I ქ. — მოქ. მაგდალენა მიხეილის ასული კირიახსკი-შევალიე, ლუთერანი, II ქ. — 30 წ.; ანჩისხატის ეკლესია, 1920 წ.); 15. ქართველ-რუსთა (მოქალაქე ერმილე სიმონის ძე ხმალაძე, მართლმადიდებელი, 29 წ., I ქ. და ვერა აბრამის ასული ტოლკაჩნიკოვა,

მართლმადიდებელი, I ჯ., 28 წ.; იყვრის ღვთისმშობლის ეკლესია, 1912 წ.); 16. რუს-ქართველთა (დუშეთის მოქალაქე ვასილ ეგნატეს ძე პროშკინა, მართლმადიდებელი, 44 წ., I ჯ. და ს. ძეგვის მცხოვრები, მათე ფირანიშვილის ქვრივი ბარბარე, 11 ჯ., 28 წ.: სამების ეკლესია, 1912 წ.); 17. ანგლოკანთა და მართლმადიდებელთა (დიდი ბრიტანეთის ქვეშეურდომი ივანე (ჯონი) ბაკობის ძე ბოლტონი, ანგლიკანური აღსარებისა, 30 წ., I ჯ. და ოლღა მიხეილის ას. კუნდურიოვისა, მართლმადიდებელი, 35 წ., I ჯ.; ჭაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.); 18. სომეხთა და უცხოელთა (თბილისში მცხოვრები საპატიო აზნაური ალექსანდრე რუბენის ძე ეგუშოვი, სომეხ-გრიგორიანი, 25 წ., I ჯ., და თელავის მაზრის მცხოვრები აზნაური ქალი ელენე იოანეს ასული ფონშატე, მართლმადიდებელი, 27 წ., I ჯ.: სამების ეკლესია, 1915 წ.); 19. ქართველ-კათოლიკეთა და ბერძენთა (საქმის მწარმოებელი მეორე ქართული საპირის რიგისა ბაგრატ იოსების ძე ლორთქიფანიძვილი, კათოლიკე, 24 წ., I ჯ. და ტფილისის მოქალაქე დიმიტრი ლაბახლოპულოს ასული ელენე, მართლმადიდებელი, 29 წ. I ჯ.; ჭაშვეთის ეკლესია, 1918 წ.); 20. პროტესტანტ-კონგრეგაციონალისტთა და მართლმადიდებელთა (ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე რობერტ პი-ფონ ბლეიკი, პროტესტანტ-კონგრეგაციონალისტთა აღსარებისა, 33 წ., I ჯ. — „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" ნიკოლოზ კრიჟანოვსკის ასული ნადეჟდა, მართლმადიდებელი, 20 წ., I ჯ., ჭაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.).

მაშასადამე, სულ ვაბოზებთ შერეული ქორწინების 20 ვარიანტს. ყველაზე დიდი მასალა აშოვიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ-სომეხთა და სომეხ-ქართველთა საქორწინო წყვილზე: ცნობილია, რომ სომხების ჩამოსახლება საქართველოში ხდებოდა დავით აღმაშენებლის დროიდან, განსაკუთრებით კი გაძლიერდა XVIII საუკუნიდან, ინტენსიურად მიმდინარეობდა და მაქსიმუმს მიაღწია მთელი XIX ს-ის მანძილზე და XX ს-ის დასაწყისში. მაგ., ხუთი წლის მანძილზე (1897 წლიდან 1902 წლამდე) საქართველოში მოვიდა დაახლოებით 55 ათასი სომეხი. მარტო თბილისში 1897—1910 წ. სომხების რაოდენობა გაიზარდა 46,7 ათასიდან — 124,9 ათასამდე, რომელთაგან დაახლოებით 68000 იყო ახლად მოსული (უპირატესად თურქეთიდან). საქართველოში დამკვიდრებული სომხების 30% ცხოვრობს თბილისში[1].

ქართველ-სომეხთა საქორწინო წყვილის 50 შემთხვევიდან ძალიან ბევრია ისეთი, როდესაც თბილისში მოსული ქართველი ქორწინდება თბილისელ მოქალაქის ასულზე. მაგ., ს. პატარა ჯიხაიშის მცხოვრები შალვა ბეკოს ძე ჭუთათელაძე, მართლმადიდებელი, 24 წ., პირველი ქორწინება და ცოლი მისი თბილისელი მოქალაქის ისაკ ტერ-აბრამიანცის ასული მარგარიტა, სომეხ-გრიგორიანი, I ჯ. — 18 წ. (1916 წ. პირველ მისიონერთა პოკროვო-ალექსანდრიის ეკლესია); გორის მაზრის გლეხი ილია გრიგოლის ძე ბერიაშვილი, მართლმადიდებელი, I ჯ., 29 წ. და თბილისის მოქალაქის ვერდილ მარქარის ასული ნიაზიანცი, სომეხ-გრიგორიანი, I ჯ.; 30 წ. (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1913 წ.); სიღნაღის მოქალაქე ილარიონ თეოდორის ძე დარჩიაშვილი, მართლმადიდებელი, I ჯ., 21 წ., და თბილისელი ასტმია მიხეილის ასული როსტომიანცი, სომეხ-გრიგორიანი, I ჯ., 18 წ. (ან-

---

[1] ჯ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII—XIX ს.ს., თბ., 1964, გვ. 228, 229

ჩისხატის ეკლესია, 1915 წ.); მცხეთის მცხოვრები (დუშეთის მაზრა) გლეხი გაბრიელ ივანეს ძე გარსევანიშვილი, მართლმადიდებელი, 1 ქ., 29 წ. და თბილელი მოქალაქის ასული ანა იაკობის ასული ტერ-სიმონიანცი. სომეხ-გრიგორიანი, 1 ქ., 19 წ. (ანჩისხატის ეკლესია, 1912 წ.); საგარეჯოს მცხოვრები სილოვონ გიორგის ძე შედალაშვილი, მართლმადიდებელი, 1 ქ., 22 წ. და ტფილისის მოქალაქის ქვრივი მარიამ ბეგლარის ასული დარჩიანცი, სომეხთ-გრიგორიანი, 11 ქ., 36 წ. (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1918 წ.).

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორივე საქორწინო მხარე თბილისის მკვიდრია. მაგ., ტფილისის მოქალაქე ქრისტეფორე მიხეილის ძე გამრეკელი, მართლმადიდებელი, 28 წ., 1 ქ. და ტფილისის მოქალაქის ალექსანდრე ხაშიკიანცის ასული ვარიანე, სომეხ-გრიგორიანი, 16 წ., 1 ქ. (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.); აღლაბრის უბნის გუთნდელი ხაჭარია გიორგის ძე შვალობლიშვილი, მართლმადიდებელი, 23 წ., 1 ქ. და მოქალაქის პეტროს პაპოვიანცის ასული ლუსია, სომეხ-გრიგორიანი, 17 წ., 1 ქ. (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.).

გვაქვს ისეთი მასალა, სადაც არ ჩანს (ან არ იკითხება) შეფე-ხატარძლის საცხოვრობა. მაგ., მოქალაქე ივანე თევდორეს ძე წიკლაური, მართლმადიდებელი, 22 წ., 1 ქ. და მოქალაქე გიორგი ზუბიანცის ასული შუშანიკა, სომეხ-გრიგორიანი, 16 წ., 1 ქ. (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, ნახალოკა, 1919 წ.), მოქალაქე ალექსანდრე ანტონის ძე ჯანგიძე, მართლმადიდებელი, 28 წ., 1 ქ. და მოქალაქე აბრამ ჰირაიანცის ასული აიკანუშ, იგივე ეკატერინე, სომეხ-გრიგორიანი, 25 წ., 1 ქ. (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.).

გვხვდება აგრეთვე თელავის, გორის ახალციხის, სიღნაღის, ევლისციხის, ბორჩალოს, ჭიმოძანის, ერევნის ვუბერნიებიდან ჩამოსული საპატარძლოები; ჩინოვნიკი, თავადი, ვაჭარი, გლეხი — სახიზრები. საყურადღებოა თავად მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძის, მართლმადიდებლის, 19 წ., 1 ქ. და თავად ნაზარეთი ტიგრანიანცის ასულის ანიკა, სომეხ-გრიგორიანის, 20 წ., 1 ქორწინების აქტიც.

არის შემთხვევები, როდესაც ქართველი სომეხ-გრიგორიანადაა დაწერილი. მაგ., მიხეილ ტუშერაშვილის ასული ვართანუშა (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1920 წ.); ასევე თბილისელი მოქალაქის სიმონ ტუჩანდაშვილის ასული მარიამი, 20 წ., 1 ქ. (ივერის ღვთისმშობლის-ნახალოვკის ეკლესია, 1918 წ.), ხოლო ტფილისელი მოქალაქის ქვრივი მარიამ ბეგლარის ასული დარჩიაშვილი დაწერილია დარჩიანცად (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1918). საყურადღებოა ერთი აქტიც, სადაც საპატარძლო, 33 წ. ქვრივი მარიამ დავითის ასული შერეშიანცი, დასახელებულია ლუთერანად (მამა დავითის ეკლესია, 1916 წ.). შეიძლება მარიამი თავისი ჭალიშკილობის გვარით იყო ლუთერანული აღსარებისა, თორემ შერეშიანცი სომეხია.

აქრიგად, ჩვენ განვიხილეთ ქართველ-სომეხთა წყვილის ოთხი ვარიანტი: 1. საქორწინო წყვილი თბილისელია; 2. საქორწინო წყვილი არ არის თბილისელი; 3. სასიძო არ არის თბილისელი, საპატარძლო ყოველთვის თბილისელია; 4. სადაურობა წყვილისა უცნობია. ამ მასალის ანალიზის საფუძველ-

ზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასიძო არათბილისელია, საპატარძლო კი თბილისელი სომეხია.

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაა სომხურ-ქართულ წყვილში. როგორც აღვნიშნეთ, მათი რიცხვი პირველ ვარიანტზე უფრო მცირეა (აღმოჩდა 30 ბარათი. მაგრამ სხვა შერეულ წყვილებზე გაცილებით მეტი. აქაც დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როდესაც საქორწინო წყვილი თბილისელია; მაგ., თბილისის მოქალაქის პეტრე არტემის ძე მარტიროზოვი, სომეხ-გრიგორიანი, 35 წ., I ჯ. და თბილისელი მოქალაქის გიორგი გელაძის ასული თამარა, მართლმადიდებელი, 21 წ., I ჯ. (სამების ეკლესია, 1917 წ.); თბილისელი მოქალაქე გიორგი აეტიკას ძე ათაბეგოვი, სომეხ-გრიგორიანი, 20 წ., I ჯ. და გლეხი ბარბალე გიორგის ასული კობალაშვილი, მართლმადიდებელი, 18 წ., I ჯ. (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1916 წ.)

ქორწინების მეორე ტიპის მიხედვით ამ რიგის მასალებთანაც სასიძო თბილისელია, საპატარძლო — მოსულია. მაგ., თბილისში მცხოვრები ოლპანეზ შურადის ძე პაიჯარიანცი, სომეხ-გრიგორიანი, 22 წ., I ჯ. და გორის მაზრის გლეხის იოსებ პაპულაშვილის ასული ნინო, მართლმადიდებელი, 22 წ., I ჯ. (სამების ეკლესია, 1915 წ.); თბილისელი მოქალაქე გასპარ თამაზის ძე ნარიმანოვი, სომეხ-გრიგორიანი, 50 წ., I ჯ. და გორის მაზრის მცხოვრები იოსებ ჩიჩინაძის ქვრივი ზინაიდა თედორეს ასული, მართლმადიდებელი, 47 წ., II ჯ. (მამა დავითის ეკლესია, 1916 წ.).

მესამე ტიპის მიხედვით სადაურობა საქორწინო წყვილისა უცნობია; მაგ., მოქალაქე ოგანეზ გევორქის ძე მორკოსიანცი, სომეხ-გრიგორიანი, 36 წ., I ჯ. და მოქალაქე კონსტანტინე შალიკაშვილის ასული ბარბალე, მართლმადიდებელი, 20 წ., I ჯ. (სიონის ეკლესია, 1918 წ.).

გარდა თბილისისა, გვხვდება სხვა ქალაქებისა და გუბერნიების მცხოვრებლები. მაგ., გორის მოქალაქე, 45 წ. იოსებ მოსეს ძე გრიჭუროვი, II ჯ. (ანჩისხატის ეკლესია, 1915 წ.), ახალციხის მცხოვრები ხორენ ოგანეზის ძე სტეპანოვი (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1919 წ.), 26 წ., I ჯ.; ერევნის გუბერნიის მცხოვრები აბრამ ოგანეზის ძე გალუსტიანცი (ივლაბრის მიხეილ მთავარანგელოზის სახ. ეკლესია, 1914 წ.). ახალი ბაიაზეთის მოქალაქე რუბენ ეფრემის ძე გაზიანცი, 26 წ., I ჯ., ნახიჩევანის მაზრის გლეხი, აკულისს მცხოვრები არუთინა ჰაირაპეტის ძე ბარხუდარიანცი, 42 წ., II ჯ. (სამების ეკლესია, 1915 წ.) და სხვ.

სამსახურეობრივი მოვალეობის შემსრულებელთაგან ექიმი მეოთხე პოლიკლინიკისა, გაიკ არაკელის ძე აგარანოვი, 34 წ., I ჯ. (1918—1919 წ. სამების ეკლესია); „კოლუმსკი რეგისტრატორი" კარაპეტ დავითის ძე ლორტიკიანცი, 42 წ., II ჯ. (1916 წ. სამების ეკლესია), მეორე გილდიის ვაჭრიშვილი კონსტანტინე სერგოს ძე კაფიევი, 22 წ., I ჯ. (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1919 წ.) და სხვ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სომეხ-გრიგორიანობას ალიარებენ შემდეგი ქართველები: ს. კოლის მცხოვრები მიხეილ მოსეს ძე მჭედლიშვილი, 27 წ., I ჯ. (აისორების ეკლესია თომასი, 1911 წ.); გორის მაზრის ქვემო ხანდაკის გლეხი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ადამაშვილი (მეტრიკით ირემაშვილი), 27 წ., I ჯ. (დიდუბის ეკლესია, 1916 წ.); ასევე გორის მაზრის ს. ცხინვალის მცხოვრები ამბარცუმ სერგოს ძე ხახანოვი, 23 წ., I ჯ.

(1915 წ. სამების ეკლესია) და თბილისის მოქალაქე დავით სიმონის ძე არზიაშვილი (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1920 წ.).

ამ სომეხ-ქართველთა წყვილში იხსენიებიან სომეხ-კათოლიკებიც, მაგ., ახალციხელი მოქალაქე სიმონ იაკობის ძე ბალოევი, 24 წ., I ჯ., რომლის საცოლეა 14 წ. გორის მაზრის, თბილისის გუბერნიის მცხოვრების დიმიტრი რთველიაშვილის ასული მარიამი (რკინიგზის ეკლესია, 1911 წ.). ეს ერთადერთი შემთხვევაა ამ უხვ მასალაში, სადაც ქალისათვის საქორწინო ასაკიც დასახელებულია 14 წ., თუმცა გვხვდება აგრეთვე 13 წ. საპატარძლო, ახალციხის მცხოვრების პეტრე პოდარევის ასული პოლინა-ფილომინა, სომეხ-კათოლიკე (წმ. ბარბარეს ეკლესია, 1911 წ.). 15 წ. საპატარძლო ორჯერ არის დასახელებული, ესენი არიან: ოსანა სარქისის ასული კრასნოკიანცი, სომეხ-გრიგორიანი (პეტრე-პავლეს ეკლესია, 1921 წ.) და თბილისელი მოქალაქის ივანე უახაროვის ასული ელენე, მართლმადიდებელი (ახჩისხატის ეკლესია, 1913 წ.).

მოტანილი მასალის საფუძველზე აშკარაა, რომ სომეხ-ქართველთა წყვილში სჭარბობს თბილისელი და მოსული სახლობები. ნათელია, რომ XX ს-ის პირველ ნახევარში სომხები უველა სხვა ეროვნებაზე მეტია, თვით ქართველებზეც და ამიტომ მძაბის ბიუროს რესპუბლიკურ არქივში წარმოდგენილი მასალით უველაზე მეტია ქართველ-სომეხთა და სომეხ-ქართველთა შეუღლების რიცხვი. იმდენად დიდია ამ დროს თბილისში ადრე თუ XIX—XX სს. პირველ ათეულ წლებში მოსულ სომეხთა რაოდენობა, რომ სომეხი ჩვეულებრივი პარტნიორია ჩემოალნიშნულ წყვილებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი ქართველი (მჭედლიშვილი, დარჩიაშვილი, ხახანაშვილი, არბიაშვილი და სხვ.) სომეხ-გრიგორიანად არის დაწერილი, რაც კიდევ უფრო ზრდის სომხების რიცხვს. დანარჩენ ეროვნებებს შორის ქორწინების რიცხვი დიდი არ არის.

ახლა ვნახოთ რას გვაძლევს დაბადებულთა მეტრიკებში დაცული მასალა შერეული ქორწინების შესახებ.

ხიჭუში მეტრიკისა ასეა წარმოდგენილი: სახელი ახალშობილისა, მაგ., ვალერიანი, შვილობები: მამა — ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე, მოქალაქე გიორგი გიორგის ძე ბერიძე, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სჯულური ცოლი მისი მარიამ გერასიმეს ასული, სომეხ-გრიგორიანი (როგორც ვხედავთ, მეტრიკაში დედის გვარი არ ფიგურირებს); ხოლო მიმრქმელებად დასახელებული არიან: მოქალაქე გიორგი ვასილის ძე ყარსელი, მოქალაქე ასტღიკ გერასიმეს ასული გასანჯალოვი; ნათლისღების საიდუმლო აღასრულა დეკანოზმა დიმიტრი ლაზარაშვილმა (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1920 წ.). როგორც აღინიშნა, ხშირად იხსენიება წმინდანი, რომლის პატივსაცემადაც არის წოდებული ესა თუ ის სახელი, მაგ., ქეთევანი — წამებული დედოფლის ქეთევანის პატივსაცემად, მისი სახელწოდების დღეა 13 სექტემბერი; მარინა — დიდმოწამებული მარინას პატივსაცემად, 17 ივლისი); დავითი — დავით აღმაშენებლის პატივსაცემად — 26. I; მარიამი — მარიამ მაგდალენას აღსანიშნავად — 22 ივლისი და ღვთისმშობლისა — 28 აგვისტო; გიორგი წამებული — 10 ნოემბერი და 23 აპრილი (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1914 წ.).

დაბადების მეტრიკაში წარმოდგენილია ექვსი ეროვნების დაწყვილების 12 ვარიანტი. ესენია: 1. ქართველ-სომეხთა; 2. სომეხ-ქართველ-

თა; 3. რუს-სომეხთა; 4. სომეხ-რუსთა; 5. რომაელ-კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა; 6. მართლმადიდებელთა და რომაელ-კათოლიკეთა; 7. ლუთერანთა და მართლმადიდებელთა; 8. მართლმადიდებელთა და ლუთერანთა; 9. ევანგელიკურ-ლუთერანთა და მაჰმადიანთა; 10. მაჰმადიანთა და ევანგელიკურ-ლუთერანთა; 11. მართლმადიდებელთა და კალვინისტთა; 12. ევანგელიკურ-ლუთერანთა და მართლმადიდებელთა. ამ საკორწინო წყვილთაგან კვლავ ყველაზე მრავალრიცხოვანია ქართველ-სომეხთა (60 ბარათი) და სომეხ-ქართველთა (25) წყვილები. განვიხილოთ ძირითადი ტიპები.

1912 წ. სამების ეკლესიის მიერ გაცემულია დაბადების მეტრიკა ახალშობილი გიორგისა, რომლის მშობლები არიან: მამა ს. ვაშლოვანის (თბილისის გუბერნია) კლები ალექსი არზრუვანის ძე მამაკაშვილი, მართლმადიდებელი და დედა ვარსენიკ ალექსის ასული, სომეხ-გრიგორიანი; 1914 წ. იმავე სამების ეკლესია დაბადების მოწმობას აძლევს ეფროსინეს, რომლის მშობლები არიან: მამა ქუთაისელი მოქალაქე მიხეილ ლევანის ძე პიტნავა, მართლმადიდებელი და დედა ბარბარე იაგორის ასული, სომეხ-გრიგორიანი; 1915 წლის სამების ეკლესიის მიერ გაცემული დაბადების მეტრიკაში ანდრიას მშობლებად დასახელებული არიან: მამა — თბილისის მოქალაქე გიორგი ანდროს ძე ლეკანიძე და დედა შუშანიკ თადეოზის ასული, სომეხ-გრიგორიანი; ანა — მშობლები: მამა — დუშეთის მაზრის ს. საბუეს მცხოვრები გლები ალექსანდრე ზაქროს ძე მეზაშვილი, მართლმადიდებელი და ქანონიერი ცოლი მისი ბარბარე გერასიმეს ასული, სომეხ-გრიგორიანი (ქალოუბნის ღვთისმშობლის ეკლესია, 1912 წ.). რუსუდანი — მშობლები: მამა — მოქალაქე ნიკოლოზ იოსების ძე ლარილაშვილი, მართლმადიდებელი და კანონიერი მეუღლე შუშანიკ არტემის ასული, სომეხ-გრიგორიანი (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1920 წ.).

ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია 1910 წ. აძლევს დაბადების მეტრიკას გიორგის, რომლის მშობლები არიან: მამა თბილისელი მოქალაქე გაბრიელ ალექსანდრეს ძე ოქროპაშვილი, მართლმადიდებელი, დედა — მარიამ ასლანის ასული, სომეხ-გრიგორიანი; მარიამი, მშობლები: მამა სასულიერო წოდების წარმომადგენელი სიმონ თედორეს ძე გელაშვილი, მართლმადიდებელი, დედა — შუშანიკა ტიგრანის ასული, სომეხ-გრიგორიანი (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1920 წ.); დიმიტრი — მშობლები: მამა — ქუთაისის გუბერნიის, ახალი სენაკის აზნაური და დედა რუსუდანა (იგივე ვართანუშა) გრიგოლის ასული, სომეხ-გრიგორიანი (ანჩისხატის ეკლესია, 1912 წ.): ქეთევანი — მამა ახალციხის მოსაშსახურე იაკობ გიორგის ძე სულაბერიძე, მართლმადიდებელი და დედა ელენე ბალდასარის ასული, სომეხ-გრიგორიანი, (ანჩისხატის ეკლ., 1912 წ.); თამარი — მამა პროზიეორი ვლადიმერ თედორეს ძე შავგულიძე, მართლმადიდებელი, დედა — ნინა გიორგის ას., სომეხ-გრიგორიანი (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1911 წ.). ზემოაღნიშნულის მსგავსად, დაბადების მეტრიკაშიც გვხვდება ქართველი სომეხ-გრიგორიანად დაწერილი. მაგ., მარიამის მამა თბილისელი მოქალაქე მიხეილ პავლეს ძე ვარდანაშვილი, სომეხ-გრიგორიანი (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1913 წ.), ხოლო ახალშობილი ტატიანას მამა გორის მაზრის, ს. ვაკას მემამულე თავადი

ევგენი ევგენის ძე ბეგთაბეგოვი მართლმადიდებელია (1916 წ. სამების ეკლესიის ცნობა).

როგორც აღინიშნა, პირველი სომეხ-ქართველთა წყვილი შედარებით ნაკლებია, მაგრამ სხვა ეროვნებათა წყვილზე ჯერ-ჯერობით მეტი. მოგვყავს ამ შერეული წყვილების მაგალითები: სოფიო — მამა: თბილისის მოქალაქე გევორკ კართანის ძე ოვსეპიანცი, სომეხ-გრიგორიანი, დედა — მართლ იოსების ასული, მართლმადიდებელი (1917 წ კლიკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესია); გ ო რ გ ი — მამა თბილისის მცხოვრები ლეონ იაკობის ძე ტერ-გრიგორიანი, სომეხ-გრიგორიანი, დედა — მარიამ შიხვილის ასული, მართლმადიდებელი. (1915 წ. სამების ეკლესია); ი ვ ა ნ ე. მშობლები: მამა სილნაზის მოქალაქე სერგო ოვანესის ძე სექიასოვი, სომეხ-გრიგორიანი, დედა ანა იოსების ასული, მართლმადიდებელი (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1916 წ.); ნიკოლობი — მამა დალეთ-ხაჩენის გლეხი ტიგრან ტოროსის ძე აკოპოვი, სომეხ-გრიგორიანი, დედა ნინა ანასტასის ასული. მართლმადიდებელი (პირველი მისიონერების პეტროვო-ალექსეევის ეკლესია, 1913 წ.); ა რ ტ ე მ ი, მამა მოქალაქე გიორგი არტემის ძე არუთინოვი, სომეხ-გრიგორიანი, დედა — ბარბარე დავითის ასული, მართლმადიდებელი (ანჩისხატის ეკლესია, 1920 წ.).

საყურადღებოა ერთი მეტრიკაც, სადაც თ ა მ ა რ ი ს მამა სპარსეთის ქალაქ შევრდომი გლეხი პავლე აბრამის ძე ს ა რ ჯ ი ს ო ვ ი დასახელებულია მართლმადიდებლად (ანჩისხატის ეკლესია, 1915 წ.). ასევე თბილისის მაზრის ს. ვასილევკაში მცხოვრები ფირა ატოცას ძე ს ა რ ჯ ი ს ო ვ ი ასევე მართლმადიდებლად სახელდებული (მარინეს ეკლესია, 1920 წ.), ხოლო ლ უ ა რ ს ა ბ ი ს მამა თბილისელი გიორგი ნიკოლობის ძე კოზალოვი სომეხ-გრიგორიანად (ანჩისხატის ეკლესია, 1912 წ.); ოლღას მამა მოქალაქე არტემ იაკობის ძე ნ ი ნ ი ა ნ ც ი-ნ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი — სომეხ-გრიგორიანად (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1919 წ.); იუანეს მამა, ს. ვაშლოვანელი გლეხი არუთინ ეგოს ძე ნ ი ა ზ ი შ ვ ი ლ ი, სომეხ-გრიგორიანად (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1917 წ.), ნ ი ნ ა ს მამა, პატარა ენაგეთის მცხოვრები ბაჩენ გიორგის ძე ბაჩუაშვილი, სომეხ-გრიგორიანად (სამების ეკლესია, 1912 წ.).

ამრიგად, დაბადების მეტრიკებით წარმოდგენილი ქ ა რ თ ვ ე ლ-ს ო მ ე ხ თ ა და ს ო მ ე ხ-ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა წყვილები ისევე ამოუწურავია, როგორც აღნიშნულ წყვილთა ჯორწინების შემთხვევები. იმდენად ჩვეულებრივია სომეხ-ქართველთა წყვილები, რომ ძალიან ხშირად ქართველი დაწერილა სომეხად, სომეხი კი ქართველად, რაც ზემომოტანილი მასალითაც კარგად ჩანდა.

შერეულ ჯორწინებათა შემდეგ წყვილებში ბევრია მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ თ ა და რ ო მ ა ე ლ-კ ა თ ო ლ ი კ ე თ ა დაწყვილების შემთხვევები როგორც ქართველებსა, ასევე რუსებისა ევროპელებზე, მაგრამ კონკრეტულად რაიმე ეროვნება იგულისხმება ამ აქტებში, ძნელი გასარკვევია ჯერ-ჯერობით, რომ, როგორც აღინიშნა, ახალშობილის დედის გვარი არ არის მეტრიკაში დასახელებული და რელიგიის მიხედვით ძნელდება ეროვნების განსაზღვრა მაგ., ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის 1912 წ დაბადებულთა სიაში აღნიშნულია ე ლ ე ნ ე, რომლის მამაა გლეხი ალექსი ბესარიონის ძე თავდიშვილი, მართლმადიდებელი და დედა ულადისლავა კარლოს ასული, რომაელ-კათოლიკე; ბ ა ბ ა ლ ე, რომლის მამაა თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრის

გლები მიხეილ დავითის ძე ქველიაშვილი, მართლმადიდებელი, დედა კი — ნინა დავითის ასული, რომაელ-კათოლიკე (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1917 წ.); ნინო, მამა გურიის მცხოვრები ლევან პაველის ძე ნოზაძე, მართლმადიდებელი, დედა მაგდალინა იოანეს ასული, რომაელ-კათოლიკე (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1916 წ.); იოანე — მამა მოქალაქე ივახე დავითის ძე ჩიტაძე, მართლმადიდებელი, დედა ნინა მიხეილის ასული, რომაელ-კათოლიკე (ივერის ღვთისმშობლის — ნახალოვკის ეკლესია, 1918 წ.) და სხვ. მრავალი.

კათოლიკე-მართლმადიდებელთა წყვილებშიც გვხვდებიან ქართველებიც, რუსებიც და ევროპელებიც. მაგ., იოანე, მამა ახალციხის მოქალაქე მიხეილ სტეფანეს ძე ერკაშვილი, რომაელ-კათოლიკე, დედა ნინა სიმონის ასული, მართლმადიდებელი (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1918 წ.); ელენე, მამა — მოქალაქე პეტრე ივანეს ძე აკოპოვი, რომაელ-კათოლიკე, დედა — მარიამ ნიკოლოზის ასული, მართლმადიდებელი (სოლოლაკის ამაღლების ეკლესია, 1912 წ.); ანდრო, მამა — გადაყვანებული რუსეთის ჯარისკაცი, თბილისის საგუბერნიო ცხის ზედამხედველი. პარტენ მათეს ძე ქრებელი, კათოლიკე, დედა — ალექსანდრა სიმონის ასული, მართლმადიდებელი (სიონის ეკლესია, 1912 წ.).

მართლმადიდებელი და ლუთერანი. ამ წყვილებში გვხვდება ქართველიც და ევროპელიც. მაგ., ანა, რომლის მშობლები არიან: მამა — გორის მაზრის ს. კაითისხევის გლეხი იოსებ მიხეილის ძე ბიდრეკილაძე, მართლმადიდებელი და დედა — ხრისტინა კოტლიბის ასული, ლუთერანი (სამების ეკლესია, 1917 წ.); ელისაბედი, მამა მოქალაქე დიმიტრი რომანოზის ძე ამირეჯიბი, მართლმადიდებელი, დედა — ემა ლუდვიგის ასული, ლუთერანი (ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია, 1919 წ.); ანტონინა, მამა — ბუმკვარტალობითი თავადი ლეონიდ ვლადიმერის ძე მოლოდეი, მართლმადიდებელი, დედა — ულენე პეტრეს ასული, ლუთერანი (ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია, 1916 წ.).

ლუთერანი და მართლმადიდებელი. ამ წყვილში მამაკაცი ევროპელია, მაგ., მამა — შვეიცარიის მოქალაქე იოჰან იოჰანის ძე ზუფერდი, ლუთერანი, დედა — ანა ბრუნოს ასული, მართლმადიდებელი (ლაინგზის ეკლესია, 1914 წ.); ბარბალე, მამა — კარლ-გოტლიბ-ალექსანდრე გოტლიბის ძე ფონ-ბრახდელი, ლუთერანი, დედა — ელენა ვალერის ასული, მართლმადიდებელი (სიონის ეკლესია, 1914 წ.); ევგენია, მამა თბილისის მოქალაქე ვლადიმერ ვარლამის ძე შლეც, ლუთერანი, დედა — ბარბალე ნიკიფორეს ასული, მართლმადიდებელი (ივერის ღვთისმშობლის ეკლესია, 1919 წ.); ალექსანდრე, მამა ადოლფ ფერდინანდის ძე ჰეინკსენი, ევანგელურ-ლუთერანელი ლსარებისა, დედა ლიდია ალექსანდრეს ასული, მართლმადიდებელი (ალექსანდრე ნეველის ეკლესია, 1912 წ.); მამა: „ნადეორხი სოვეტნიკი" პაველ ედუარდის ძე შტეულნგი, ევანგელიკურ-ლუთერანული ლსარებისა და დედა — ელისაბედ ვასილის ასული, მართლმადიდებელი (კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესია, 1914 წ.).

მართლმადიდებელი და კალვინისტი, მაგ., თამარი, რომლის მშობლები არიან: მამა — პორუჩიკი ნიკოლოზ პეტრეს ძე ვერეშჩაგინი,

მართლმადიდებელი და დედა — რაშელ ლესენის ასული, კალვინისტი (სამების ეკლესია, 1912 წ.).

დაბოლოს, უნდა შეეხოთ ერთ საყურადღებო გარემოებასაც. ქართულ ეკლესიაში (სამების ეკლესია, 1912 წ.) არის გატარებული ანა, რომლის მშობლები ებრაელები არიან: მამა — ს. ელისაველტპოლის გლეხი ალექსანდრე თეოდორის ძე ჩერნიკოვი და დედა — სარა თეოდოსის ასული; ასევე მეორე მისიონერთა უაზანო-ღვთისმშობლის 1913 წ. ეკლესიის დაბადებულთა მეტრიკაშია რეგისტრირებული ანა, რომლის მშობლები არიან: მამა იცხა (იგივე ალექსანდრე) ლაზერის ძე ლევიჩი, დედა სოფიო მოშკო-შმულის ასული; ბორისი, მამა სევასტოპოლის მოქალაქე სრგულ ხაიკის ძე რაზუმნიკი და დედა სარა ბოგრუბის ასული, ორივე ლუთერანობის მაღიარებელი (მარინეს ეკლესია. 1911 წ.); პაველი, რომლის მამაა თბილისის მოქალაქე მარკ დავითის ძე რაბინოვიჩი, დედა — შარიანდე ბოსეს ასული, ორივე იუდეველი (მარინეს ეკლესია, 1911 წ.). ეს ფაქტი მით უფრო გასაკვირია, რომ მშაჩის ბიუროს რესპუბლიკური არქივის ფონდშია დაცული რუსი ებრაელების როგორც დაბადების (**Тетрадь о родившихся евреях по городу Тифлису, на 1911—1915 гг.**), ასევე ქორწინების (**Тетрадь о бракосочетавшихся евреях по городу Тифлису за 1915 гг.**) აქტები. სამწუხაროდ, ალნიშნულ არქივში არ აღმოჩნდა ქართველ ებრაელთა დაბადების და ქორწინების აქტები, თუმცა ივი კატალოგში ფიგურირებს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ქართული ეკლესიის მიერ აღნუსხული მეტრიკები რუსი (ევროპელი) ებრაელებისა, ამდენად გასაკვირია, რატომ არის ის ქართული კლესიის მიერ აღნუსხული, როდესაც იმავე წლების (1911—1915 წ.) რუსი ებრაელების მეტრიკები დაცულია არქივში.

ქართულ ეკლესიაში გატარებულ აგრეთვე რუსი სექტანტების ასული აგრაფინა (მამა — სარატოვის გუბერნიის მცხოვრები ტროფიმე დიმიტრის ძე ბირუკოვი და დედა მავრა კირილეს ასული) სამების ეკლესია. 1912 წ.), მოლოკნების ასული ეკატერინე (მამა პავლე ვასილის ძე ბელოტნი და დედა — ტატიანა თეოდორის ასული, კუკურს წმ. ნინოს ეკლესია, 1917 წ.), შერეული ქორწინების (მამა — ვასილ სიმონის ძე მიასნიკოვი, მართლმადიდებელი, დედა — ანასტასია ტიმოთეს ასული, სექტანტი) წარმოშობადგენელი იოანე.

ასეთია ძირითადად 1987 წ. ჩატარებული საველო მშაჩის ბიუროს რესპუბლიკური არქივის მასალების შესწავლის საფუძველზე. როგორც ვიცნობეთ, დიდი მოცულობის მასალა ამოდის ქართველ-სომეხთა და სომეხ-ქართველთა შეუღლების შესახებ სომეხთა თბილისში მიგრაციის ფონზე ეს მოვლენა თითქოს კანონზომიერი ჩანს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ სომხების დიდ ნაწილი XX ს-ის დასაწყისში გაქართველებული იყო, მაგ., სილნახის, გორის, თელავის მცხოვრებლები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება მასალებში. ქართველზე გათხოვილი სომეხიც ხომ ქართველად იწერებოდა. ქართველი სომეხზე იწერდა ჭვარს ქართულ ეკლესიაში და სომეხიც ქართველზე სომეხი არა სომეხზე დაქორწინებისას ჭვარს ვერ დაიწერდა სომხურ ეკლესიაში. ამის გამოა, რომ სომხურ-ქართული შერეული ქორწინებანი ასე ჭარბადაა წარმოდგენილი აღნიშნულ საეკლესიო წიგნებში. მაგრამ ასევე ხშირად გვხვდება გასომხებული ქართველებიც. ეს ქართველ-სომეხთა ურთიერთობის

ორიენ მხარე კარგად წარმოაჩენს თბილისში მიმდინარე ეთნიკური პროცესების ხასიათს. მაგრამ ღირდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მასალებში კარგად ჩანს თბილისელების თანდათანობითი „გაევროპველება", რაც ძლიერდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. საერთოდ ამ ხანის თბილისში მოწმდება ყველა ეროვნებათშორისი საქორწინო ურთიერთობანი. არ ჩანან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მაჰმადიანები, რომლებიც, ცნობილია, ქრისტიანულ ეკლესიაში არ ქორწინდებოდნენ. ხაზი უნდა გაესვას თვით ქართული ეკლესიის ჰუმანიზმსაც. ქართულ ეკლესიაში იბინძლება ებრაელი, მოლოკანი, ლუთერანი და სხვ. იგი გასცემს აგრეთვე ებრაელთა და სექტანტთა დაბადების მეტრიკებსაც, როდესაც თბილისში ამავე წლებშიც მოქმედებდა ებრაელთა სინაგოგა. ყველაფერი ეს კი ასახავს თბილისში მიმდინარე ეთნიკური პროცესების მრავალფეროვან ბუნებას.

Н. Н. АББАСАДЗЕ

СМЕШАННЫЕ БРАКИ НАСЕЛЕНИЯ г. ТБИЛИСИ ПО МАТЕРИАЛАМ ЗАГС (1911—1921 гг.)

Резюме

На основе изучения архивных данных Загс выясняется, что в Тбилиси грузины вступали в брак с представителями разных национальностей (русскими, армянами, греками, немцами, англичанами и др.), особенно часто встречаются грузино-армянские и армяно-грузинские брачные пары, что на фоне миграции армян в Тбилиси вполне понятно. Ясно, что в первой половине XX в. армяне в Тбилиси являлись одним из многочисленных этносов и по количеству грузины даже уступали им. Настолько высока численность армян, переселившихся в Тбилиси в средние века и особенно в XIX и начале XX в., что они являются обычными партнерами в вышеуказанных брачных парах.

N. ABESADZE

MIXED MARRIAGES AMONG THE TBILISI POPULATION AFTER REGISTRY OFFICE MATERIALS (1911—1921)

Summary

On the basis of the investigation into registry office archives data it becomes evident that in Tbilisi Georgians married representatives of various nationalities (Russians, Armenians, Greeks, Germans, Englishmen etc.), the most frequent being Georgian-Armenian and Armenian-Georgian couples which is quite understandable against the background of Armenians' migration to Tbilisi. It's clear that in the first half of XX century, Armenians in Tbilisi are one of the numerous ethnoses and Georgians even were inferior to them in number. The amount of Armenians who moved to Tbilisi in Middle Ages and especially in XIX and at the beginning of XX centures is so high, that they are usual partners in the above mentioned marriage couples.

წარმოდგენილია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში

ლოლა ბანდალიშვილი

ქუვადა-მითოლოგიისა ქართველ ტომებში

XVIII ს-ის დასასრულიდან მოგზაურები, მისიონერები, ასევე ბოლო დროს ეთნოგრაფები სხვადასხვა ხალხის ყოფაში აღწერილნენ შვილის შეძენასთან დაკავშირებულ ერთ თავისებურ ჩვეულებას, რომლის აღსანიშნავად ზოგად ეთნოგრაფიაში დამკვიდრდა ტერმინი „ქუვადა" (ფრანგული სიტყვიდან couvade — „ვამოჩეკვა"). ქუვადა ეწოდება მამის მიერ მშობიარობის აქტის სიმულაციას შვილის დაბადებისას, მ. ს წარმოშობას უკავშირებენ დედისეული კვალიდან მამისეულ კვალზე გადასვლის დროს. ქუვადის წესი ოჯახისკენ დრომდე გავრცელებული იყო დედამიწის ყველა ნაწილში და მაშასადამე, როგორც ჩანს, პასუხობდა საზოგადოების ეშნიშვნელოვანეს მოთხოვნებს მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. სხვადასხვა ხალხში ქუვადის წესის სხვადასხვა ფორმაა დადასტურებული, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი საერთო თვისება — იგი მიეკუთვნება არა დედას, არამედ მამას[1].

ქუვადის წესის, ან მასთან ძალზე მიმსგავსებული ჩვეულებების შესახებ პირველი ცნობები შემონახული აქვთ ანტიკურ ავტორებს: დიოდორე სიცილიელს, სტრაბონს და აპოლონიოს როდოსელს.

დიოდორე სიცილიელი (I ს. ად. წ.) კორსიკის მცხოვრებთა ადეტების აღნიშნავს, რომ „მათი ჩვეულებების ერთ-ერთი კურიოზული შემთხვევაა ის, რომელსაც ისინი მისდევენ ბავშვის დაბადებისას: როდესაც ქალი მოიმშობიარებს, იგი დროს არ კარგავს იმაზე, რომ ლოგინში ჩაწვეს: სამაგიეროდ, მისი ქმარი, თითქოს დაეძალოსდათ, ჩაწვება ლოგინში... თანაც მის მიმართ ისეთ მზრუნველობას იჩენენ, თითქოს ტკივილებისაგან სწორედ იგი იტანჯებოდეს"[2].

ასეთსავე ჩვეულებას მიაწერს სტრაბონი (I ს.) ესპანელ კელტებს, თრაკიელებისა და სკვითების ტომებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მსგავსი ჩვეულების აღნიშვნა ძველი ბერძნული ეპიკური პოემის — „არგონავტიკის" სახელგანთქმული ავტორის აპოლონიოს როდოსელის მიერ, რადგან იგი მას მიაწერს ტიბარენებს, რომელიც სამხრეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ერთ-ერთ ქართულ ტომს წარმოადგენდა. თანაც ქრონოლოგიურად აპოლონიოს როდოსელის ეს ცნობა, როგორც ძვ. წ. აღ. III საუკუნის ავტორისა, ყველა სხვა ცნობაზე ადრინდელია. აპოლონიოს როდოსელის ამ ცნობას ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ დაეუბრუნდებით, ხოლო აქ ქუვადის წესის გავრცელების მიზეზების შესახებ ზოგად ეთნოგრაფიაში მიღებულ მოსაზრებებს წარმოვადგენთ.

---

1 А. М. Хазанов. Загадочная кувада. СЭ. 3. 1968. с. 115

2 ს ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი. იბერი, ად. შრომები. ტ. III. ც. 1—80.

კუვადის წესის ახსნის ძირავალ თვალსაზრისს შორის სადღეისოდ ყველაზე გავრცელებულად ითვლება ი. ბახოფენისა და ე. ტეილორის მოსაზრებები.

ი. ბახოფენმა თავისი მოსაზრება კუვადის წესის ახსნისა წამოაყენა 1861 წელს[3]. ამ მოსაზრების თანახმად, კუვადის წესის ჩახსნა განეკუთვნება გარდამავალ ხანას მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ, როდესაც მამამ დაიწყო თავისი უფლებების გავრცელება შვილებზე, რომლებიც აქამდე მთლიანად დედას და მის გვარს ეკუთვნოდნენ. მაგრამ ძველი ტრადიცია ძალზე სიცოცხლისუნარიანი იყო და მის დასაძლევად საჭირო გახდა მამებს შეესრულებინათ ისეთი წესჩვეულება, რომელიც მათ წარმოსახავდა როგორც ბავშვის მშობელ დედას. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ კუვადა ზოგიერთ ხალხებში მიღებულია ჩვეულებრივ, დაწესებულ ფორმად შვილის აყვანის დროს, როდესაც მამა ბავშვს თავისად აღიარებს.

ი. ბახოფენის ეს მოსაზრება ე. ტეილორმა შეავსო და განამტკიცა სტატისტიკური მონაცემებით, რომელთა მიხედვით აშკარა გახდა, რომ კუვადა გავრცელებული იყო იმ ხალხებში, რომლებშაც უკვე გაიარეს მამისეულ გვარზე გადასვლის საფეხური.

ამგვარად, კუვადის წესს ახალი ახსნა მოუნახა ე. ტეილორმა[4]. მისი აზრით, კუვადა განასაზღვრებს იმ მაგიურ კავშირს, რომელიც თითქოს არსებობს ქმარსა და ცოლს, მამასა და შვილს შორის. ცხადია, რომ მაგიასთან დაკავშირებული ცრურწმენები ძალზე სიცოცხლისუნარიანია. გამონაკლისს არც მშობიარობის შემსუბუქებასთან დაკავშირებული მაგია წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია იმიტაციურ მაგიასთან. იმის წარმოდგენასთან, რომ მსგავსი იწვევს მსგავსს. ამიტომ, დღესაც კი, ზოგიერთი ქვეყნების მოსახლეობას გარკვეულ ღონეებში, ძველი მშობიარობის შესამსუბუქებლად სახლში ატებენ ყველაფერს (ქარებს, ყუთს, განჯინას...) რაც დახურულია ან ხსნიან ყველაფერს, რაც აბამულია. ამ მოვლენებს ეყრდნობოდა კუვადის ე. ტეილორისეული ახსნა, რომელიც შემდგომში მან თვითონვე უარყო. მაგრამ ეს თვალსაზრისი ბოლომდე ძირდა და უფრო მეტიც, განავრცო ე. ფრეზერმან[5]. და იგი დღემდე წარმოადგენს გაბატონებულ მიმართულებას საზღვარგარეთულ ეთნოგრაფიაში.

საბჭოთა ეთნოგრაფების თვალსაზრისი კუვადის წესის გავრცელების მიზეზების შესახებ ყველაზე თვალნათლივ გამოხატა ს. ტოკარევმა. მისი დასკვნით, „ბოლომდე კუვადის წესი სულაც არ არის მაგიური: კუვადის რიტუალი არის მხოლოდ სიმბოლური აქტი, მამის უფლების განმამტკიცებელი შვილზე და მასთან არ არის დაკავშირებული რაიმე წარმოდგენა ამ აქტის ზებუნებრივი ზემოქმედების შესახებ ბავშვზე[6].

კუვადის წესის ახსნის ამ ორი მიმართულების ერთმანეთთან დაკავშირების და მისი სიმბიოზური განმარტების ცდა წარმოადგინა ა. ხაზანოვმა, იგი თვლის რომ მაგია დამახასიათებელია კუვადისათვის, არა როგორც პირადი

---

[3] J. J. Bacholen, Das Mutterrecht. Stuttgart, 1861, r. 17, 225.

[4] E. B. Tylor, Researches into the early history of mankind. London, 1865, გვ. 287—97.

[5] J. G. Frazer, Totemism and exogamy, vol. IV. London. 1910, გვ 244—255.

[6] С. Н. Токарев, Сущность и происхождение магии. «Труды Института этнографии АН СССР», нов. серия, т. I, М., 1950, с. 16.

მოელუნა. არაბედ იგი მას დაჰყვა თავიდანვე. მისი მოსაზრებით, ამ წესში წინა პლანზე გამოდის ქმრის სურვილი ხაზი გაუსვას თავის პრიორიტეტს და თავის პერსონას ბავშვის დაბადებაში; საზოგადოებრივი აზრიც, ახლობლებისა და მეგობრების სახით, რომლებიც ელოდებიან და ელოლიავებიან მამას, მხარს უჭერენ მის ამ მისწრაფებას. მავრამ ძველი წარმოდგენები ბავშვის დაბადების შესახებ, რომლებიც გაელუნთილია მაგიით, წინანდებურად არსებობენ და წინანდებურადვე ხდება მის მიერ განსაზღვრული აკრძალვების დაცვა-შესრულება. აშკარაა, რომ კუვადის წესი ღებულობს ასეთ რთულ, დახლართულ ფორმებს, რომ იგი ასახავს სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივი შეგნების სხვადასხვა მხარეთა დანაშრევებს. დაბოლოს, ა. ჩაჩანოვის დასკვნით, ამ ორი ჰიპოთეზის შერწყმაში ბდგომარეობს კუვადის წესის ახსნის საიდუმლოება[7].

1916 წელს, გამოჩენილმა ქართველმა ეთნოგრაფმა, მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ თ. სახოკიამ პირველად გამოაქვეყნა ცნობები შვილის აყვანასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ქართულ ტომში, მეგრელებში დადასტურებული წესის შესახებ[8]; აი რას წერს იგი:

„მეგრულ ოჯახში, „შვილად აყვანის აქტი მაშინ-ღა ითვლება ნამდვილად, კანონიერად, როცა შეასრულებენ ჩვეულებას, რომელიც მაყურებელზე სტოვებს უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის შთაბეჭდილებას. შვილად იყვანენ, ჩვეულებრივ, ყველაზე ღარიბ მშობლების შვილს, ანდა აკრძალული სიყვარულის ნაყოფს. შვილად აყვანის ცერემონიის რამდენსამე დღის წინათ, მომავალს დედას თავი ისე უპრავეს, როგორც ორსულობის უკანასკნელ დღეებში მყოფ მშობიარეს; მუცელზე ბალიშს იკეთებს, რომ გამობერილი ეჩვენოს მაყურებელს; ნელა მოძრაობს, კვნესით და სულის ბრუნებით. მეზობელი ქალები მის მდგომარეობას თანაგრძნობით და სერიოზულად უყურებენ, ეკითხებიან, თუ როდის მოილოგინებო ბოლოს, თვით „მოლოგინებაც" დადგებაო „მშობიარე" ლოგინში ჩაწვება, კვნესის სწორედ ისეთ, როგორც ბავშვის დაბადების დროს მელოგინენი. ბებია თავს დასტრიალებს, რჩევას აძლევს, აშშვიდებს... და ამ დროს... ლოგინში შეუგორებენ ბავშვს. აქედან დაერქვა თვით პროცესს „სქუაშ მითორგინაფა" (შეგორება შვილისა). ბავშვის ატირების დროს ყველანი ჩქარობენ მიულოცონ დედას შვილდობით შეძენა კაცისა „მშობიარე კიდევ რამდენსამე დღეს დარჩება ლოგინში ამ შემთხვევაში საჩქაროდ აძლევენ საგანგებოდ მომზადებულ ტიბუს (თბილს), ანუ სახვრეპ მსუბუქ წვნიანს". ახალი მშობლები „ნაშვილევს" ისე ზრდიან, როგორც საკუთარს. მეზობლებიც ასეთადა სთვლიან"[9].

თ. სახოკიამ, რომელმაც პირველმა აღწერა ეს პროცესი, ასევე პირველმა მიმართა მას აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვას „მითორგინაფა" (შეგორება), რომელიც შეიძლება კუვადის ბადალ ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინად ჩავთვალოთ და გამოვიყენოთ ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თ. სახოკიამ პირველმა დაუკავშირა ეს ჩვეულება

---

[7] А. М. Хазанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

[8] Ф. Сахокия, По Мингрелии (Брачные обряды), этнографические очерки. «Петроградск. Ведомости», 1916, № 176.

[9] ტიბუ-ნაბადლება სიმინდის ფქვილის, პილპილისა და მარილის წყალში დიდი ხნით ხარშვის შედეგად (ს. ჯ.).

[10] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 74—75.

კუვადის და პარალელურ მასალად მოიხმო აპოლონიოს როდოსელთან დაკავშირებული ცნობა „მეკრულების წინაპრების ტიბარენების" (თ. სახოკია) მიერ კუვადის წესის გამოყენების შესახებ[11]. თუმცა, ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ კუვადასა და ტიბარენებთან დადასტურებულ წესსა, ერთი მხრივ, და მეკრულ „მითორკინაფას" შორის, მეორე მხრივ, არსებითი ხასიათის განსხვავებაა არსებობს. კუვადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს მამის მიერ მშობიარობის სიმულაციას და მასთან დაკავშირებული, მშობიარობის შემდეგდროინდელი მთელი რიგი წეს-ჩვეულებების შესრულება-დაცვას, ხოლო „მითორკინაფა" გულისხმობს ბავშვის მომაკვდავი დედის მიერ „მშობიარობასთან" დაკავშირებით შესასრულებელ წესებს. ამავე დროს, კუვადასა და „მითორკინაფას" განვრცობა შეიძლება იმ პირობით, თუ მათ მივიღებთ, როგორც ზოგადად, ბავშვის შვილად აყვანის აქტთან დაკავშირებული წესების აღმნიშვნელ ტერმინებს.

აპოლონიოს როდოსელთან კუვადის წესის ასეთი აღწერაა შემონახული (აქ)

«После Халибов земли, обогнув мыс Родителя — Зевса,
Пронеслись они мимо соседней земля Тибаренов.
Там всякий раз, как законным мужьям детей родят жены,
Сами мужья, распростершись на ложах, стонают, прикрывши
Головы, жены ж, о них попеченье имея, их кормят
И омовенья готовят для них те же, что для роженниц»[12].

მიუხედავად ზემოაღნიშნული არსებითი განსხვავებისა კუვადასა და მითორკინაფას შორის, კერძოდ ის, რომ პირველი აღნიშნავს კაცის მოქმედებას ცოლის მშობიარობის დროს, ან მშობიარობის შემდეგ, ხოლო მეორე — ქალის მიერ შესრულებულ წესებს შვილის აყვანის დროს, ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, ისინი, საკმაო საბაბით, ერთმნიშვნელოვან მოვლენებადაა მ. ჩნებული. ს. მაკალათიას მიხედვით, „ეს მეკრული „მითორკინაფა" წარმოადგენს კუვადის ერთგვარ ნაშთს და ახასიათებდა დედამთავრული ოჯახიდან მამამთავრულზე გადასვლის პერიოდს[13]. ალ. რობაქიძე თვლის, რომ „ეს წესი უკავშირდება მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალ საფეხურს და

---

11 М. Мелихсет-Беков. К вопросу об обычае кувады на Кавказе и связи с языковыми пережитками матриархата, сб «Академия наук СССР академику Н Я Марру». М.—Л. 1935, с. 732—733.

12 Аполлоний Родосский. Аргонавтика. Перевод, введение и примечания Г. Ф. Церетели, Тб., 1964, с. 123; ეს ტრანსლიტერაციით ქართულ თარგმანში „ამგვანებულია" ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი „ამის შემდეგ სწრაფად შემოუარეს გუნებელს ხევსიო ეიბერს და ტიბარენების შორის გასწვრივ მიცურავენ. აქ როცა ქალები თავიანთ ქმრებს შვილებს შესძენენ ხოლმე, [ქმრები] თეს შეიბუტაკებენ, საწოლზე დაემხობიან და კვნესიან, [ცოლები] კი ლამაზ კვებავენ ქმრებს საჭმელით და მშობიარობის შემდგომ საჭიროებისაც უწყობენ" (აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და სახელების დაურთო ალ. ურუშაძემ, თბ., 1970, გვ. 160—161) ის ავრეთვე, ქართულ პოეტურ თარგმანში აპოლონიოს როდოსელი, ალ. ბარამიძისა, თარგმანი და შესავალი წერილი ალ. გელოვანისა, რედაქცია ნარკვევი შენიშვნები და სახელების ალ. ურუშაძისა, თბ., 1975, გვ. 107—108, სტრ. 1010—1014).

13 ს. მაკალათია, სამეგრელოს ძველი ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 271.

კვალიფიცირებულია, როგორც თავის შვილზე მამის უფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა"[14].

კუვადა-მიტორგინაფის შინაარსი და მისი მნიშვნელობა ახალი დაკვირვებებით გაამდიდრა აკად. გ. ჩიტაიამ „ანტიკური ავტორთა შიერ კოლხურ ტომებში დამოწმებული „კუვადა", — გ. ჩიტაიას მიხედვით, -- საზოგადოების განვითარების გარდამავალი საფეხურის ექვმიუტანელი მოწმობაა"[15]. მისი დასკვნით, „თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ეთნოგრაფია ამოწმებს მთელ რიგ სხვა შეხვედრებს კულტურის დარგში ესპანეთში იბერიის ბასკებისა და კავკასიის იბერებს შორის (შბაკვი, საბუნელი იარაღი — ოგიფა, თავსაბურავი და სხვ.) გასაგებია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება თედო სახოკიას მიერ წამოყენებულ დებულებას „სქემამ მიტორგინაფის შესახებ"[16].

ტიბარენებში გავრცელებული კუვადის წესის, ხალხური ჩვეულების მიტორგიაფას, საწარმოო იარაღების გარდამავალ ფორმებთან, კერძოდ თოხთან და კოლხეთში თოხის კულტურის განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით აკად. გ. ჩიტაიამ წამოაყენა მნიშვნელოვანი მოსაზრება. აი, რას წერს აკად. გ. ჩიტაიამ წამოაყენა მნიშვნელოვანი მოსაზრება, ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მიწათმოქმედების ისტორიაში თოხის კულტურას, რომელიც წინ უსწრებდა სახნავის კულტურას, მატრიარქატის ეპოქას მიაკუთვნებდნენ, რაც სწორია თოხის მიწათმოქმედების მხოლოდ დასაწყისი საფეხურისათვის. ძველ კოლხეთში თოხის კულტურა განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი ბრინჯაოს ეპოქის მთელ განძილზე. უდავოა, რომ თოხის კულტურას ამ სტადიაზე უკვე მამაკაცი ფლობს და მათში სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს, სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც განვითარებული თოხის კულტურა ყურდნობა მამაკაცთა მიერ წარმოებულ მეტალურგიას, როგორც ამას კარგად ილუსტრირებენ სათანადო მასალები. მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ გარდამავალი ეს პერიოდი თავის ასახვას პოულობს არა მარტო საწარმოო იარაღების გარდამავალ ფორმებში, არამედ ხალხურ ჩვეულებებშიც. მხედველობაში გვაქვს ტიბარენებსა, მეგრელებსა და ბასკებში დამოწმებული კუვადა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ამ გარდამავალი საფეხურის ექვმიუტანელ მოწმობას წარმოადგენს"[17].

ამრიგად, ამ დაკვირვებით ავტორმა ერთხელ კიდევ ცხადყო კუვადის წარმოშობის დაკავშირება საზოგადოების განვითარების გარდამავალი საფეხურისათვის — მატრიარქატის ეპოქიდან პატრიარქატისაკენ და ფართო ჭრილში განხილვით იგი გამოიყვანა ვიწრო ეთნოგრაფიული ინტერესებიდან და დაუკავშირა ეთნოგენეზის საკითხებს.

მაშასადამე, თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ მივიღებთ, რომ: 1. კუვადა — მიტორგინაფა, როგორც ბავშვის დაბადებასთან, ან ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული უძველესი რიტუალების აღმნიშვნელი ტერმინები. შეიძლება გავაიგივოთ, მიუხედავად იმისა, რომ „კუვადა" აღნიშნავს

---

14 ა. ლ. რობაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი. თბ., 1981, გვ. 27.

15 გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში). „ისტორიის ინსტიტუტის შრომები". ტ. 17. 2. თბ., 1959, გვ. 160.

16 გ. ჩიტაია, თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა, თ. კრებული „თედო სახოკია". თბ., 1969, გვ. 12.

17 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ 12.

ამ წესის შესრულებისას შობს, ხოლო „მითორგინაფა" დედის მოქმედებას; 2. „კუვადა" და შესაბამისად „მითორგინაფა" ჩასახელია საზოგადოების განვითარების გარდამავალ საფეხურზე და თავისი ბუნებით შეესატყვისება მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის პერიოდს; 3. კუვადა, როგორც ამას „მითორგინაფას" წესის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურება გვირგვნებს, გავრცელებული ყოფილა ქართველ ტომებში (თ. სახოკია, გ. ჩიტაია), კერძოდ, ტაბარნებში, რომლებიც დასავლურ ქართველურ ტომების ერთ-ერთი წარმომადგენელი მიჩნეულ

С. Г. ЧАНТУРИШВИЛИ

КУВАДА В ГРУЗИНСКИХ ПЛЕМЕНАХ

Резюме

В груде изучен связанный с рождением ребенка своеобразный обычай, обозначенный утвердившимся в общей этнографии термином «Кувада», производным от французского «вылупление», что является симуляцией акта рождения ребенка отцом.

Грузинским термином, соответствующим «Кувада», нужно признать «Миторгинафа» (подкатывание), несмотря на то, что «Кувада» обозначает выполнение этого обычая действием отца, а «Миторгинафа» — матери. Обычай «Миторгинафа» равно как и «Кувада» зародился на переходной ступени развития общества и своей природой соответствует переходному периоду от матриархата к патриархату.

S. CHANTURISHVILI

KUVADA IN GEORGIAN TRIBES

Summary

The present work is dedicated to the investigation of the childbirth habit, which in ethnology is defined by the term of „kuvada" (from the French cuvade—hatch out) and represents the simulation of the childbirth process by the father.

Despite the fact that the ritual of „kuvada" is enacted by the father and ritual of „mitorginapa implies the actions of the mother We think that to this term in Georgian corresponds „mitorginapa" (rolling into).

It is considered that „kuvada" and its Georgian corresponding „mitorginapa" according to their nature must have been originated at the transition period—from matriarchy to patriarchy.

წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ

დიანა პაიჭაძე

სახასლეები ჭერემში და ბოდორნაში*

ჭერემი

ჭერემი გომბორის ქედის ცენტრში, მდინარე ჭერემის წყლის მიმდებარე მთებზეა გაშენებული. მემატიანესთან ვკითხულობთ: „ხოლო კუალად ყვარელის წყლის შესართავს ზეით ალაზანსვე ერთვის ჩელთის წყალი, გამომდინარე მისივე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე, ხოლო ამას შესართავის პირისპირ მცირედ ზემორ, დასავლეთიდან მოერთვის ჭერემის წყალი, გამომდინარე ცივი მთისა და მომდინარე ჭერემამდე ჩრდილოთ დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ სამკრეთს შუა, მერმე დასავლით — სამკრეთ შუადამ აღმოსავლეთ ჩრდილოთ შორის ... ამაე წყალზედ არს ცივისა ანუ ჭერეთის მთის სიმორისსა, ჭერემი“[1].

III—IV საუკუნეების მდიდრული სამარხების აღმოჩენამ ცხადყო, რომ ჭერემის ისტორია, როგორც მნიშვნელოვანი დასახლებისა, იწყება ამ დროიდან და ტერიტორიულად მოიცავს დღევანდელ სოფელ ჭერემს[2].

ჭერემის მნიშვნელობა, როგორც დასახლებული პუნქტისა და შემდგომ ქალაქისა, განისაზღვრება მისი მდებარეობით — იგი აკავშირებდა შიდა და გარე კახეთს ერთმანეთთან.

ქალაქ ჭერემის დაარსება, მის რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრად ქცევა მეფე ეიტანგ გორგასლის მრავალმხრივი მოღვაწეობის კვალეე ერთი მჭარე და საბეთია. ეიტანგ გორგასალი დიდი დიპლომატის პოლიტიკოსი, ქვეყნის წარმართველისათვის სწორი ორიენტირის ამომრჩევი, ქველი და შემოქმედი მეფეა. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა იბერიის სამეფოში თორმეტი საეპისკოპოსოს დაარსება, რამაც ხელი შეუწყო და განსაზღვრა ქვეყნის ერთ იდეოლოგიაზე მოქცევა — „და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს; ერთი ჯაეახეთს, წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმინდას, უკარმის კარსა რომელი გორგასალმა აღაშენა; **ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი — იგი მანვე აღა-**

---

* გაგრძელება დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 4.

1 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს ა ხ ე შ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973, გვ. 545.

2 სოფელ ჭერემის აღორძინებას ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში და სოფლის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილ სამარხებს მოჰყვა არქეოლოგიური სამეშაოების დაწყება 1979 წელს. ხელმძღვანელი ა. ფიცხელაური.

შენა; ერთი ჩელთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბჯ[ს] და ერთი აგარაკს რომელ არს ხუნანს გამართებით"[3] (ხაზგასმა ჩვენია — ჯ. ჯ.)[4].

ქალაქ ჯვრების შენებაში და საეპისკოპოსო ცენტრის დაარსებაში ბუნებრივია იგულისხმება ფართოდ გაშლილი მშენებლობა V ს-ის მეორე ნახევარში.

ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ჯვრებში გუმბათიან ეკლესიას და აქვე მიუთითებს ქალაქთმშენებლობაზე — „იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გოგასალ ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი და ქალაქი მაგარი"[5]

ქალაქის მშენებლობის დამთავრებისთანავე ვახტანგ გორგასალი თავის ძეს გადასცემს მას — „ხოლო ძესა მისსა პირმშოსსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჯვრებისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანის, რომელი არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქვეყანა მტკვარსა აღმოსავლით და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმას და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა"[6]. ამ წყაროს მიხედვით ჯვრების აშენების შემდეგ იწყება უჯარმის დიდმშენებლობები.

ქალაქ ჯვრებში მშენებლობის დაწყება და დამთავრებაც ვახტანგის მოღვაწეობის ხანაში მომხდარა, ამიტომაც სრულიად დაჯერებულად შეიძლება ითქვას, რომ ჯვარი V ს-დან ითვლის თავის არსებობას.

ჯვრების ციხის პირველი შემუსვრაც ვახტანგის ეპოქაშივე — ხუასრო მეფესთან ბრძოლის დროს ხდება — „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოვანი, და ჯვრების ციხე, და ველის ციხე"[7]. შემდგომ ქალაქი ჯვრები ან ჯვრების ციხე წყაროებში ალარ ჩნდება. რაც ქალაქის განადგურებას, ციხის დანგრევას და მის მიტოვებას გულისხმობს

ჯვრების ციხის ვახტანგისეული მშენებლობის კვალი სრულიად დაკარგული იყო 1984 წლამდე[8].

სოფლიდან ხეთი კილომეტრის მოშორებით გათხარა ტყით დაფარული ბორცვი — ე. წ. ციტადელი, სადაც აღმოჩნდა სასახლის კომპლექსი თითქმის სრული სახით. ციტადელს შემოფარგლავს ციხე-დარბაზის ყრუ კედლები. კედლები (შიგნითაც და გარეთაც) ერთხანეგარი მეტრის სიგანისაა და მოპირკეთებულია საკანგებოდ დამუშავებული ქვით, პორიზონტალური წყობის დაცვით. შერჩენილი კედლების სიმაღლე ზოგან ორ მეტრს აღემატება. თითქმის ზუსტად დგინდება სასახლის კვეთა.

ნაგებობის მონუმენტურობა, კედლის ე. წ. უჯარმული წყობა და სასახლის გეგმარება სრულ საფუძველს იძლევა აღნიშნული კომპლექსი დაჩი უჯარმელის რეზიდენციად და ვახტანგ გორგასალის მიერ აშენებულ ჯვრებ-ქალაქის ციტადელად ჩაითვალოს.

V საუკუნის ჯვრებ-ქალაქის მახლობლად დღევანდელ სოფელ ჯვრებში, ცენტრის გახაპირა შემაღლებულ ადგილზე სამონასტრო კომპლექსია გაშენე-

---

3 ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 199.

4 აქვე ავღნიშნავთ, რომ ჯვრების საეპისკოპოსო ბოძობილი გვიანშუასაუკუნეებში, 1757 წელს, მისი სამწყსო თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ გადასცეს ალავერდელს, ბოლნელ მიტროპოლიტს და სინოდალურ. ამ გადაწყვეტილების დროს ნაწილად გამოელინდა ჯვრების უპირის საზღვრები, რომელიც ერცელდებოდა ჯვრის ხევის თრიალეთის ნაპირზე, წინანდლიდან ჯეჯინის ჩათვლით.

5 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. ნაშრომი, გვ. 546.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

7 იქვე, გვ. 201.

8 ნ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი ჯვრები, ძეგლის მეგობარი, 3, თბ., 1987, გვ. 22—23.

ბულ. დღეს ჩვენამდე მოღწეულია სამეკლესიანი ბაზილიკა (X—XI სს.) და ეპისკოპოსთა სასაფლაოს ერთი კედელი (მხოლოდ ფრაგმენტი). მრავლადაა ნანგრევები, რომლებიც ხელოვნურ ბორცვებად აღმართულა კომპლექსის გალავანში.

ლ. მელიქსედ-ბეგმა კათედრალური ტაძრის სამეკლესიანი ბაზილიკის ჩრდილოეთის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ქვაზე აღმოაჩინა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი — („კათალი) კოზი მელიქსე (დეკ)[9], რომელიც XI საუკუნის მელიქსედეკ კათალიკოსად ამოიცნო; მოგვიანებით გ. ჩუბინაშვილის მიერ ქეგლზე ჩატარებულმა კვლევის შედეგმა ეკლესიის თარიღი კვლავ განვითარებული შუასაუკუნეების ეპოქაში მოათავსა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გ. ჩუბინაშვილი ხედავდა ამ ტაძარში ძველი ტაძრის მოტივსაც. ალბ'ძნელ ეპოქაში სამეკლესიან ბაზილიკას ალარ აგებდნენ (იგი განვლილი ეტაპია), და მას არ უბრუნდებიან თუ არა განახლების შემთხვევაში. ტაძრის მართკუთხა აბრისიდან ჯამოსული მძლავრი ხუთწახნაგა აფსიდი (აფსიდს ნალისებური ფორმა აქვს, კონქის თაღს კი ნახევარწრიული) და შემორჩენილი ნალისებური ფორმის თაღები საკმარისია კათედრალური ტაძრის არქიტექტორული ხანის ძეგლად მიჩნევისათვის[10].

საეპისკოპოსო სასაფლაო აღმოჩენილია მთის ფერდობზე, მდინარე ჭერემის წყლის მარცხენა სანაპიროზე და კარგად იკითხება შორიდან.


კედლის ფრაგმენტი გრძივი ფასადისა უნდა იყოს. სიმაღლე თაღდაპირველია (ორსართულიანი). ფასადის ცენტრში კონტრფორსის მსგავსად ტრაპეციის ფორმის მასიური შვერილია (მისი სიგანე ქვევით 4,15 მ-ია, ზევით 3,75 მ). შვერილი კედლის სიბრტყე დანაწევრებულია ერთ ვერტიკალზე ასხმული ორი სარკმლის ღიობით. პირველი სართულის დონეზე სარკმელს სწორკუთხა ფორმა აქვს (სიგრძე 1,45 მ, სიმაღლე 1,03 მ, სიღრმე 68 სმ), მეორე სართულზე კი ფორმა მოხრილუკელია. ტრაპეციული შვერილი მასის ორსავე მხარეს თანაბარი ზომის კედლის სიბრტყეებია შემორჩენილი (სიგრძით 3,90 მ). პირველ სართულზე ცენტრალური სარკმლის ჰორიზონტალზე ერთმანეთის სიმეტრიულად ვიწრო ღიობებია მოწყობილი. ძალზე მკრთალად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ორი პრტყელი, მუქი ფერის შრომის ქვის რიგი, რომელიც გამოყოფს პირველ სართულს მეორისაგან. მეორე სართულზე ისევ სიმეტრიულად განაწილებული სწორკუთხა ფორმის ღიობებია. მათი დონე მაქსიმალურადაა მიახლოებული იატაკის დონეს (ახლა ღიობები საკმაოდ ამოშენებული). საშენებლო რიგის ჰორიზონტალები არ არის დარღვეული, ალაგ-ალაგ ჩართული დიდი ზომის ქვები აცოცხლებს და ამთლიანებს კედლის სიბრტყეს.

ჭერემის ეპისკოპოსის სასაფლაოს გრძივი კედელი ექსტერიერში ძალიან საღია. კედლის სიბრტყე წაბუცული თეძოა და რადიკალურად განსხვავდება ინტერიერის დეკორატიულად დამუშავებული სიბრტყისგან. (სახ. I). მათ შორის ასეთი განსხვავება ჭერემის სასაფლაოს ერთ-ერთი თავისებურებაა. ინტერიერის მხრიდან ჯერ კიდევ შემორჩენილია სართულშორისი გადახურვის კოჭების ბუდეები (8 ბუდე თითო მეტრის დაშორებით). ალსანიშნავია პირველ სართულზე

---

[9] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჭყონდიდის სვეტიცხოველის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დაკავშირებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან, ჭართული საეკლესიო, I, თბ., 1942, გვ. 133—142.

[10] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, თბ., 1959, გვ. 192—193.



კედლის რიტმული დაბუდებები ბალიანებური მოხაზულობის თაღთა რიგით (სიმაღლე 1,25 მ, სიგანე 1,16 მ), რომლებიც კომპოზიციის ცენტრიდან ორსაც მხარეს ეწყობოდა და ზემოთ თანდათან მცირდებოდა. პილასტრებზე (სიგანე 70 სმ) განსხვავებული ქვის წყობა და შირიმის კაპიტელები გამოყოფს მათ როგორც კონსტრუქციულ, ასევე დეკორატიულ ელემენტებად (თაღში გაჭრილი სარკმელთა სიმაღლე 96 სმ-ია, სიგანე 67 სმ. სულ სამი წყვილია თაღისა).

პირველი და მეორე სართულის ცენტრალურ სარკმლებს აჭვს ალკოვი, ანუ კედლის მნიშვნელოვანი შელრმავებით შექმნილი დაძახებითი სათავსი — „В полу этой ниши устроен ящик, в котором видны были остатки погребения"[11]. მისი მოწყობილობის საშუალებას იძლევა ე. წ. კონტრფორსული სისქე ფასადის ცენტრალურ ნაწილში (პირველი სართულის ცენტრალური თაღედის სიგანე 1,96 მ-ია, მეორე თაღედისა სილრმეში უტოლდება 1 მეტრს და ბოლოს ღიადის სიგანე 76 სმ. რჩება). ალკოვის ორსაც მხარეს უნდა ყოფილიყო მრგვალი სვეტები[12], რომელთა კაპიტელებიდაა მხოლოდ შემორჩენილი. ეჭინის ქვები გაჭრილია მცირე მართკუთხა ხვრელებით, რომელშიც ჩასმული უნდა ყოფილიყო ხის არქიტრავი. ალკოვის გაკეთება მხოლოდ ჭერში დასტურდება, თავისი შინაარსით რა ხასიათის იყო ოგი დღეს ძნელი დასადგენია. ძირდევნო ხანის ძეგლებში კონტრფორსული ნახევარწრიული ბრტყები, გაბეჭდულად რომ გამოდიან კედლის სიბრტყიდან საყოფაცხოვრებო დანიშნულებისანი არიან, მათში მედამ ბუხრებია მოწყობილი.

ალკოვის მეორე სართულზე ცენტრალური თაღია (სიმაღლით 2,75 მ) მოწყობილი, რომელიც ამაორჩიებს გუმბათში ნახევარწრიული ფორმის ნიშას კონ-

---

[11] Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 358 შეკრების პირველ სართულის წილის ვარიანტში გ. ჩუბინაშვილი

[12] ასეთივე სვეტი გვაქვს აგრე შენგარი სამეცნიერო ბიბლიოთეკის საერთოხელოვნების კაბინეტის ჩრდილოეთის კედელში.

11. „მნათობი", ისტორიის სერია, 1991, № 2

ქისებური დაბოლოებით და მასში გაჭრილ სარკმელს. აქაც, ორსაც მხარეს იკითხება სვეტების ნაკვალევი.

ზემოაღნიშნული კედლის ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება განსაზღვროს ეპისკოპოსის სასახლესათვის აღგილის შერჩევის თავისებურება — სახახლე კომპლექსს მზღუდავი გალავნის მაგივრობას წევს მოუვალი მხრიდან, შორიდან კარგად იწერება ლანდშაფტში და ადვილიბებს მთხსტრის ძირითად სახეს

იკვეთება კრძივი, მართკუთხედს მიახლოვებული გეგმა და ორსართულიანობა.

გამოყენებულია მხოლოდ ნალისებური მოხაზულობის თაღები.

შეუძლებელია (ძვგლის ფრაგმენტულობის გამო) სამონასტრო კომპლექსში საერო და საკულტო ნაგებობათა დამოკიდებულება-თანაფარდობის აღქმა

აღსანიშნავია დეკორაციულობა სასახლის კედლის ინტერიერიდან დამუშავებისას (თალში ჩაკვრილი ნიშები და შემდეგ სარკმლები, სწორკუთხა და ნახევარწრიული პროფილის პილასტრები კაპიტელებით, და ამ უკანასკნელის შეუსაბამობა ექსტერიერთან.

საშენ მასალად გამოყენებულია ადგილობრივ მოპოვებული ნატეხი ქვა. წყობა თაისუფალია, რიგების გარეშე.


ბოჭორმა

კახეთის და ჰერეთის მთავრების კვირიკე I (893—918 წწ.) და ადარნასე პატრიკის (936—943 წწ.) ბრძოლა, რომელსაც კვირიკე I წარმართაედა ჰერეთის შეურთებისათვის, აფხაზეთის მეფე კონსტანტინეს დახმარებით ხავთ დამთავრდა. აქედან ორჭობი კვირიკე I-ს დარჩა. იგივე ცნობის მოწვდისას ვახუშტი ბავრატიონი ორჭობის მაგიერ ბოჭორმას წერს.

ბოჭორმის სასახლის შენებლობა წყაროებში არ არის აღნიშნული, სავარიეროდ ჟამთააღმწერლებმა ციხის აღება და ნგრევა მიუთითეს.

კვირიკე I ქორეპისკოპოსის მმართველობის დროს[13] აბუ-საჯიმ ჯერ უკან-მა აიღო და მერე აშენა ბოჭორმა — „ითარცა ცნეს ბოჭორმელთა ცოდვანთა წილება უკარმაის, ფიცების ცილი და გარდახუენნეს. რაჟამს მოვიდეს, პოვეს იგი უკაცური და თქუეს „ორჭილი ბაკი იყო, მუნ შინა ფიცხლად შეკუეთებნეს, და რომელი ციხე არს, იგი უკაცრად დაუგდიათ“ ამიტომ ბოჭორმა და დაბირეს ციხედვე“[14].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლის დროს ბოჭორმა დაუხიანებლად გადავიდა ძმების ხელში — „ხოლო კვირიკე ქორეპისკოპოსთან ვითარ ხი-



[13] კვირიკე ქორეპისკოპოსი კახეთს მართავდა ოცდაექვსი წელი. IX—X ს-თა მიჯნაზე (893- 918 წწ.).

[14] ქ. ც. ტ. I. ძველი ნაწერობი, გვ. 262.

ლა, რომელ არა იყო ღონე მისი, მიეხლო ფიცრთა, მოჭიდა და ნახა; და ჰკითხა ძან: „ვინ გაწყვ აქა მოსლვად". და უთხრა: „მაწყვ დედამან ჩემმან" და თქუა: „არა ვატკინო გული ერთისა შემხედვარსა". და შეუყუარდა სიკეთისა მისსათჳს და განუტევა, გარნა ბოქორძა თჳთ დაიჭირა»[16].

ფალდა II-ს (918—929 წწ.) დროს ადარნასე პატრიკი იბრუნებს წართმეულ ციხეებს — ორჭობს, არიშს და გავაზს.

მეორე ცნობა კვირიკე II ქორეპისკოპოსის მოსვლის პირველ წლებს ეძთხევა (929—976 წწ.) X საუკუნის 30-იან წლებში, მას განუდგნენ გარდაბნელი აზნაურნი, ამ ურჩობამ დაბმარებითვის მოპართეს აფხაზთა მეფე გიორგის, რომელიც შემოიკრა კახეთს, დაწვა და აოხრა ყოველი. კვირიკე ქორეპისკოპოსმა თავი დამარცხებულად სცნო, მხოლოდ ითხოვა — „...რათა მას ზამთრისა არა ალღოს ციხე ბოქორძა, და შემდგომად აღუსებისა წარვიდეს და ნება სცეს»[16] როგორც კი — „წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შეუდგა კვირიკე ბოქორძას: იკაბმოდა და ლამოდა შემდგომად აღსებისა წარსლვასა. მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მაშა უანჩაელი, დარი კოპრინთელი, დარი და ივანე სპყლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხეველნი და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთეს კვირიკეს. დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღუნეს შურის-ცხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვირიკე მამულსა თჳსსა»[17].

ამ ცნობიდან ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ კვირიკემ დაიბრუნა მამული და ისევ დამკვიდრდა ბოქორძაში.

რთული და არამდგრადი იყო კახეთის იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება. მეორე ზამთარს მეფე გიორგი კვლავ შეესია კახეთს, მაგრამ ბრძოლის დროს მიიცვალება; ბრძოლას აგრძელებს გიორგის ძე ლეონი, ბრძოლა დროებით დაზავებით იცვლება (ლეონი ქალს რძლად აძლევს კვირიკეს, რომელიც მალე გარდაიცვლება), მერე კი ისევ გრძელდება საბრძოლო დაძაბულობა.

შემდგომ ბრძოლებს წარმართავს ბაგრატ. კვლავ კვირიკე II ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ — „და ძალითა მისითა მიუწვდომელთა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია კვირიკე ბოქორძას, და დაუყენნა ციხესა გარშემო მცველნი წელიწადამდე. წარიღო ბოქორძაცა, და დაჰყრა სრულიად ჴერეთი და კახეთი. წარმოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ჩედა»[18].

ასეთი ხანგრძლივ ბრძოლებს შედეგად არ მოჰყოლია ციხის რღვევა და სრული შოშლა. დაზიანებული ფრაგმენტები ახლით იცვლებოდა, საერთო გეგმა და კომპოზიცია განახლებას ალბათ არ საჭიროებდა.

---

[15] ქ'ც., ტ. I, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

[16] იქვე, გვ. 269.

[17] იქვე

ბქორძა ციხეზე გაბატონების მიზნით სპეციალურად შექმნილ ნაგებობას „შურის ცხეს" ეწოდებოდა. იგი ბაგრატ III-ის და კახთის ბატონის კვირიკე II-ის შორის ქიშის ხეობაში წარმოებული სამხედრო მოქმედებების, ურყეველად მდგომ ლიწობანის ციხეს შეფის ბრძანებით, „აღაგეს შურის ცხე და ღაუყენეს შინაგან ლიშკარი"

[18] ქ'ც., ტ. I, დასახ. ნაშრომი, გვ. 279.

ბოჭორმის ციხის მფლობელი მეპატრონე ხშირად იცვლებოდა, მაგალითად შეფე ბაგრატის და ალსართანის[19] ბრძოლა XI საუკუნის შუა წლებში ალსართანის გამარჯვებით დამთავრდა, რადგანაც ალსართანი მიერთო სულთანს (მოეტანა დიდი ძღვენი, დაეტევა სჯული და შეპირდა ხარკი) — „და არა იკუსენა ისაკ მკუდრობა აფხაზთა მეფისა, რომელმაც აფხაზთა მეფისავან გაქცეული ფადლონ შეიპყრა, და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატისთჳს. არამედ ძსწრაფლ წარიყვანა და მიჰკუარა ალსართანს თელავს[20]. ხოლო ალსართან მსწრაფლ წარიყვანა ხორნაბუჯს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა. მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი ალსართანსვე.

ხოლო ბაგრატ შეშინდა გაშუებას ფადლონისსა, მისცა ბოჭორმა და უჯარმო კახთა და წამოიყვანა ფადლონ. გასუეს ძელსა დი მიუპყრეს ტფილისსა; და აღეს ჴრეულად ტფილისი, რამეთუ მუნ შინა მდგომი კაცი თჳთ გაამხრებას ლაშოდა და არა დაიჭირა ბაგრატ თავისაი ტფილისი, არამედ დმანისს დატეეებული სათლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი. ხოლო თავისად ალიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ წმიდაბი, ჭაჭაბიხი და ორმოცდათხი ათასი დრაჰკანი, და მძევალნი ძმისწული მისი, ძე მახუჩასი: და საძთა თავადთა განძისათა"[21].

ეს, როგორია მოვლენათა განვითარება „ქართლის ცხოვრების" მიხედვით. ჯერ მოყვანილი წყაროებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ბოჭორმის ციხე-სიმაგრის X ს-მდე მოუხსენიებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე აქ ციხე არ არსებობდა. რომელი საუკუნიდან ითვლის ბოჭორმა თავის არსებობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ბოჭორმა არქეოლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია.

პირველად ბოჭორმის ციხის ალნიშვნა, შემდგომ მისი ალება და „ციხედვე დაჭერა" მოხდა X საუკუნის პირველ წლებში (918 წლამდე).

შემდგომ X საუკუნეში, კვირიკე ჭორეპისკოპოსის მმართველობის ხანაში, ბოჭორმა კვლავ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრედაა მოხსენიებული. აფხაზთა მეფის, გიორგის კახეთში ლაშქრობას მოჰყვა რამდენიმე ციხის ალება. ბოჭორმა კვირიკეს თხოვნით მცირე ხნით დარჩა მის გახმგებლობაში (ე. ი. იგი არ დანგრეულა). მრავალგზის იცვლება პოლიტიკური ვითარება, ხელისუფლება ერთი მეფიდან მეორეზე გადადის, მაგრამ ეს არ აცლის ინტერესს აფხაზთა მეფეებისა კახეთის „საკითხვე". ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყოველ წელიწადს ახალი ციხეების წართმეული არ ეხება ბოჭორმას, იგი იმდენად მნიშვნელოვანი და სტრატეგიულად გამაგრებული პუნქტია, რომ ძნელად ხდება მისი ალება.

ბაგრატ მეფეს ერთი წელი მცველნი ეყენა ბოჭორმის გარშემო, რათა „წარელო ბოჭორმაცა". ციხის მეპატრონის ანუ მფლობელის შეცვლა ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედის; ციხე მაგარი და შეუვალია, იგი არ ინგრევა, მხოლოდ ზიანდება — აი ის ძირითადი, რაც ციხე-სიმაგრის, როგორც არქიტექტურული კომპლექსის ისტორიის თვალსაზრისით არსებითია ჩვენთვის.

---

19 ალსართან I კახეთს განაგებდა 1058—1084 წლებში.

20 ალსართანის საზაფხულო რეზიდენცია.

21 ქ-ცხ. ტ. 1, დასახ. ნაშრომი, გვ. 312.

XI ს-ში ქორეპისკოპოს ალსართანის მმართველობის დროს ცხე-სიმაგრე კვლავ შეუვალია. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ბოჭორმას იხსენიებენ როგორც დატყვევების ადგილს და არა ალსართანის საცხოვრებელს (ალსართანი თელავში „ზის“). აქედან გამომდინარე, — XI ს-ის შუა წლებში ბოჭორმას პირველობა უკვე დაკარგული აქვს. კახეთის პოლიტიკური ცენტრი ინაცვლებს თელავში.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე II „განასრულებს“ ბოჭორმის ციხეს. „ამჟამად არსებულ ნაგებობებს სწორედ ამ ეპოქის მშენებლობის კვალი ამჩნევია“[22].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხე-სიმაგრის შენება და განახლება ნაკლებ საყურადღებო ფაქტი აღმოჩნდა ისტორიკოსისათვის. მაგრამ „სიძლიერე“ ციხემ მისი ინტენსიური ცხოვრების დროს შეიძინა, რაც წყაროებში მისი ხშირი მოხსენიებით დასტურდება[23].

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ციხე ხეროთმოძღვრული ძეგლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მისი ხასიათის განმაპირობებელია ადგილის შერჩევა. განსაკუთრებით ეს ითქმის ციხე-სიმაგრეზე. ბოჭორმის ციხის მშენებლობა ვაზრებულ და ადრიდანვე მოხიშნულ ადგილას მოხდებოდა. ციხემდის ქედის მთიანი ბაილი კარგი თავდასაცავი ადგილია იქ მცხოვრებისათვის და ძნელად მისაღწევი მტრისათვის; ამიტომაც ეს ხაზი იქნა არჩეული ჯერ უკვარძის ციხის ასაშენებლად და შემდგომ ბოჭორმის ციხისთვის. გომბორიდან ჩრდილო-დასავლეთით გაჭიმული ქართლში დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ინიჭებდა ამ ადგილს.

ბოჭორმის ციხე გარე კახეთში დღევანდელი საგარეჯოს რაიონში მდებარე მთის მწვერვალზეა აგებული (ერწოს მხარეს) მდინარე იორის ხეობასთან ახლოს. შიდა ციხე (აკროპოლისი) მოიცავს სხვადასხვა ტერასაზე გაბნეულ მრავალ ნაგებობას აქედან წმ. გიორგის სახელობის ეკლესია შეორგანიზებულია. იგი ზუსტად ცენტრში არაა დაშენილი, მაგრამ აკროპოლისის ანსამბლის ხეროთმოძღვრული მახვილია. შიდა ციხე შემოსაზღვრულია გალავნ-ს მონუმენტური კედლებით და გამაგრებული ოთხკუთხა კოშკებით და ნახევარწრიული კონტრფორსებით.

ბოჭორმის ეკლესია აგებულია X საუკუნეში (მოხატულობა — XI - XII სს.)[24] და მიეკუთვნება შრავალაფსიდიანი ეკლესიის ტიპს, კერძოდ, ექვსაფსიდიანია. ღრმა სამკუთხა ნიშებით ექვსივე მასა მკვეთრად გამოყოფა უკსტერიერში და იმეორებს შიგა სივრცის დანაწევრებას (განსხვავებით კაკბის ტაძრისაგან — X—XI საუკუნეთა მიჯნა[25] და ნოყორწმინდისაგან — 1010—1014 წწ.)[26]. აფსიდების ღუნტურ მასებს არღვევს სამხრეთ-დასავლეთით გეგმაში კვადრატული ფორმის კარიბჭე გვიან დადგმული სამრეკლოთი და საერთო აბრისიდან გამოწეული საკურთხეველთ. სამწახნაგა შვერილი გრძივი (აღმოსავ-

---

22 ვ. ბაქრაძე, კახეთის საეკლესიო ნაგებობანი, თბ., 1962, გვ. 40.

23 ბოჭორმის ციხის წარმოშობის საკითხი გაურკვეველადაა მიჩნეული ვ. ბაქრაძის აღნიშნულ შრომაში, X ს-ის დასაწყისში პირველად ბოჭორმის სიმაგრეს მოხსენიება მას დათარიღებას არ ეხებიან.

24 Г. Н. Чубинашвили. დასახ. ნაშრომი, გვ. 416—423.

25 ვ. ბერიძე. კაკბის ტაძარი, ქართული ხელოვნება, ტ. 3, თბ., 1950.

26 Г. Н. Чубинашвили. Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития барокального стиля в грузинском искусстве. Вопросы истории искусства. Исследование и заметки, т. I, Тб., 1970, стр. 253.

ლეთ-დასავლეთი) ღერძის უარყოფა და კარის ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან გაკეთება, ბაზს უსვავს და აძლიერებს დინამიკას, კომპოზიციის წრეზე გაშლას და გუმბათჩვეშა სივრცის დომინანტურობას[22].

ტაძარიცა და სამრეკლოც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველის ცილინდრული მასა ქოლგისებურად მთავრდება, მეორესი სწორხაზოვანი კარნიზით; მეორე მასა გუმბათი და სამრეკლოს ფანჩატურია. ასეთი „დეკორაციული" კომპოზიცია კახეთის ხუროთმოძღვრებაში მძაფრი დისონანსი და ერთეული გამონაკლისია კვეტერის ამავე დროის (X ს.) ტაძართან ერთად.

დღეს ეკლესიას აღარ აქვს ძველებური იერსახე (თუმცა პირველი საშენებლო ფენა ადვილად იკვეთება), ცვლილებები და ახალი ქრონოლოგიური ფენები უხვად ატყვია ტაძარს.

თავისი ხოვრით და მნიშვნელობით შიდა ციხის მეორე ძეგლი, სასახლეა (უფრო ხუსტად მისი ნანგრევები). სასახლე შიდაციხის კიდურა ნაგებობაა, გადაპურებს მცირეოდ ივრის ხეობას და მოხერხებულადაა ჩასაფული მთის კალთაზე. (ნახ. 11). სასახლის მხოლოდ პირველი სართულია შემორჩენილი. იგი ორი დარბაზისგან შედგება, აქედან დასავლეთის, შედარებით მცირეა. სასახლის საერთო სიგრძე 30 მეტრამდეა. დიდი დარბაზის ფართობი 136 კვ. მეტრია (17×8 მმ), მცირე დარბაზისა 104 კვ მეტრი (13×8 მმ). კედლის სისქე ერთ მეტრამდეა. სიმაღლეში კი ოთხ მეტრს აღწევს. შესაძლებელია სასახლის ორსართულიანობის ვარაუდი.

დღეს ბოჭორძის სასახლის საშხრეთი კუდლით და განიე კედლების ფრაგმენტებით შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა — როგორი იყო მისი კომპოზიციური მონახაზი, რა კონსტრუქციული ელემენტები გამოიყენეს სასახლის მშენებლობისათვის.

დიდი დარბაზის ფასადის ცენტრში ბუხარია მოწყობილი. მისი ნახევარწრიული მასა მძლავრად გამოდის საერთო სიბრტყიდან და ზემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება, მის ორსავე მხარეს ნახევარწრიული ფორმის სარკმელთა ჭრილებია, ცოტა დაშორებით — კი კარია. აღმოსავლეთის კარი გახიერია და თანდაყოლილ კალიმურვით მთავრდება, დასავლეთისა — შედარებით მომცროა და პორიზონტალური გადახურვა აქვს. სასახლის ჩრდილოეთის კედელი ხელოვნურად ჩაჭრილ პორცეს მოუყვება პირველ სართულზე.

სასახლის დასავლეთის მონაკვეთის, მცირე დარბაზი, რომელიც შედარებით უკეთესადაა ნაგები ვიდრე დიდი დარბაზი, სამხრეთით იმეორებს დიდი დარბაზის ფასადს, იმ განსხვავებით რომ (მისი სიმცირის გამო) ცენტრში ამოყვანილი ბუხრის (სიგანით 120 სმ, სიღრმე 130 სმ მხოლოდ დასავლეთით იჭრება ერთი სარკმელი, აღმოსავლეთით კი — კარი. დასავლეთის განიე კედელშიც მოწყობილი ყოფილა შესასვლელი. დარბაზები ინტერიერში ერთდებოდა კიდევ კარით (გამყოფი კედელი ნაწილობრივ მორღვეულია და კარიც ჩამონგრეული).

სასახლის საშენ მასალად გამოყენებულია ყორე ქვა[23], თაღები თლილი ქვითაა ნაწყობი, ზოგჯერ თაღი ორმაგია. უხეში საშენი მასალის მიუხედავად კედლებს სუფთად აწყობს მშენებელი, იცავს პორიზონტალურ რიგებს და ალ-

---

[22] ვ. ბერიძე ეკლესიებს ძველი ტიპის ტეტრაკონქის ვარიანტად მიიჩნევს. ვ. ბ ე რ ი ძ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 42.

[23] ბოჭორძის ეკლესია შირიმის კვლევებითაა მოპირკეთებული.

წყვს ტექტონიკურ სიმწყობრეს. გვხვდება რიყის ქვაც, მისით აშოყვანილია ერთ-ერთი თაღი.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით აღწერილი სასახლე გამორჩევა მთელი რიგი თავისებურებებით, კერძოდ, ნეკრესისა და ჭერემის სასახლეთა მსგავსად ბოქორძის სასახლეც მთის განაპირა ბორცვზე საგანგებოდ შერჩეულ ადგილასაა აგებული. აქედან გამომდინარე სასახლისთვის საგანგებო ადგილის შერჩევა განხილულ სასახლეებში იმდენად ერთნაირია, რომ შეიძლება ფიქრი უკვე გარკვეულ ტრადიციაზეც

სასახლის კომპოზიციის გრძივი ღერძი ორ არათანაბარ ნაწილად დაიყო (მცირე და დიდ დარბაზებად). გრძივი ღერძის შესაბამისად მთავარი ფასადი სამხრეთით მოეწყო და სარკმელთა და კართა ჭრილებით „გართულდა“ (ერთმანეთის ბრინაკლეობით გვხვდება თალოვანი და პორიზონტალური გადახურვა კარის ღიობებში) აღნიშნულ ფასადში მკვეთრ ვერტიკალურ მასებად წარმოჩენილი ორი ბეიბარი განსილული ჯგუფის სასახლეებში პირველად გვხვდება. მომდევნო ხანის სასახლეებისათვის კი ორგანულია, მხოლოდ ბოქორძისგან განსხვავებით ვანთასა და ვაჩნაძიანში დიდი დარბაზის ჩრდილოეთს და პატარა დარბაზის დასავლეთ კედელში თავსდება.

განსხვავებული ზომის დარბაზები ფასადზე ერთიანდება, მაგრამ თუითეულისთვის მოძებნილი სიმეტრია კარ-სარკმელთა და მასათა განაწილებაში ველთ ერთიანდება, ამიტომ მთლიანობაში ფასადი ასიმეტრიულად განაწილებულ სიმრტყედ რჩება.

აქვე აღვნიშნავთ შიდა სივრცისა და გარე მასების თანხვედრას შემორჩენილი ფრაგმენტების საფუძველზე. ტექტონიკის ფუნქციური პირველადობის წარმოჩენას. დეკორაციულობის სრულ უარყოფას (განსხვავებით აქვე ძველთა ნეკრესისგან) და საშენებლო მასალად ყორე ქვის გამოყენებას, სუფთა წყობით და პორიზონტალური რიგების ხაზგასმით (თლილი ქვა მხოლოდ თაღების ამოყვანასა იხმარება).

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას სასახლე შეგაფეოდალური ხანის ძეგლთა რიგში ჩავაყენოთ და IX—X საუკუნეთა მიჯნით დავათარიღოთ.

სასახლეთა აღწერის დროს აღვნიშნეთ მათი დაკნულობა. უყველაზე უკეთ ნეკრესის ეპისკოპოსთა სასახლეა შემორჩენილი[22], რაც განსაზღვრა ძეგლზე დროულად ჩატარებულმა რესტავრაციამ. კარგად იკვეთება სასახლის მიმართება საკულტო ნაგებობებთან, რომელსაც ეს კომპლექსი მოიცავს; თავისი ხუროთმოძღვრული მნიშვნელობით საერო ნაგებობები არ ჩამოუვარდება საკულტოს. უველა კონსტრუქციული ელემენტი, რომელსაც გარკვეული დრო აუენებს მშენებელთა წინაშე ერთდროულად გამოიყენება ორივეში.

ჭერემის სასახლე ნაკლებად მეტყველია, რადგან ერთი კედელი და ისიც მისი ცენტრალური ნაწილის ფრაგმენტი, ცოტას იძლევა სასახლის საერთო კომპოზიციური თავისებურების წარმოსაჩენად. ძნელია სასახლის საკულტო ნაგებობებთან დამოკიდებულება — თანადგომობის ალბათ.

მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ბოქორძეშიც. სასახლე, ფაქტობრივად სამხრეთის პირველი სართულის კედლით არის წარმოდგენილი, ხოლო ჩრდილოეთის კედელი ერთ მეტრამდეა შემორჩენილი. იგი მიშენებულია კლდის

---

[22] დ. ჯანაშვილი, ნეკრესის ეპისკოპოსის სასახლე, „მწიგნობარი“, ისტორიის სერია № 4, თბ., 1969.

ქანზე და ნეკრესის სასახლის მსგავსად სასახლის სართულები ორ ტერასად ნაწილდება. არის განივი კედლების ფრაგმენტებიც.

საერთო შეხედულებაში, სასახლე ხეროთმოძღვრულ კომპლექსში განაპირა ნაგებობას წარმოადგენს. ადგილის შერჩევა ტრადიციულად ერთნაირად ხდება - სასახლე კომპლექსის მზღუდავია, საიდანაც კარგად იწერება ლანდშაფტში და აყალიბებს ხეროთმოძღვრული კომპლექსის ძირითად საბეს. გაშლილი სივრცე და მდინარეთა ხეობები თვალთახედვისათვის კარგი არეალია

სასახლეთა კომპოზიციაში განმსაზღვრელია მათი გრძივი, მართკუთხედად მიახლოებული გეგმა. ნეკრესში შეტია განივი კედლებით და ტიხრებით დანაწევრებული სივრცე, ბოჭორმაში კი სასახლე ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა, ისე როგორც შემდგომ ხანის სასახლეში (ვანთა, ეკლესიანი)

ნეკრესის ეპისკოპოსთა სასახლის მაგალითი ერთადერთი შემთხვევაა პირველ და ძეირე სართულების ტოლფასოვანი და ერთნაირი ზომის სარკმლების წარმოდგენით (სხვა სასახლეებში სარკმელთა ზომების ცვალებადობა მკვეთრად გამოყოფს სართულებს და უპირატესობას ანიჭებს მეორე სართულს) ჰერეში შემორჩენილი საძხრეთი კედლის ცენტრი დიდი ღიობითაა გახსნილი, შემდეგ იმავე პორიზონტალზე ერთმანეთის სიმეტრიულად ორსავ მხარეს მიეკართება ვიწრო სარკმლები. მეორე სართულზე კედელ სიმეტრიულად ნაწილდება სწორკუთხა ფორმის ღიობები, რომელთა დონე მაჩსიმალურადაა ძირითლებული იატაკის დონეს (ახლა ღიობები საკმაოდ დაქვეითებულია ამოშენებულ) და თავისი ზომებით გამოარჩევს მეორე სართულის განსაკუთრებულობას. ბოჭორმის სასახლის პირველი სართულის შემორჩენილი სიმაღლე და მასში გაჭრილი კარ-სარკმელთა ღიობების ზომები გვირჩენებს, რომ ხეკრესისგან განსხვავებით და ჰერეშის მსგავსად აქცენტი მეორე სართულზე კეთდებოდა. პირველი სართულის სადა სიბრტყე სარკმელთა მცირე ზომის ჭრილით შემცველში ხანის სასახლეებში განსხვავებული ხასიათის მეორე სართულს იძლევა, კედლად, მაქსიმალურად გახსნილს, საზეიმოს, გამორჩეულს. ეს შომენტ ნებას გვაძლევს ბოჭორმის სასახლეშიც სართულების განსხვავებული მნიშვნელობა ვეძარაუდოთ. ჩაკეტილი პირველი და გახსნილი მეორე სართული გამოიცხადეს საცხოვრებლის როგორც ერთნაირ ფუნქციას, ისე მის ერთნაირ ხასიათს. ტოლფასი სართული ორსართულიან შენობაში ძნელად „გაძლება", იგი უფრო სამოთხე სართულიან შენობაში შეიძლება განხორციელდეს. შესაძლებელია ამით აიხსნას შემდგომში, სასახლეების სართულიანობის ტრადიციულად, მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა.

ე. ი. როგორც აღვნიშნეთ სასახლეთა სართულიანობა ორს არ სცილდება. თუ ნეკრესში ორივეს თანაბრად გამოყოფს ხეროთმოძღვარი, ჰერეშში საფიქრებელია, რომ ცენტრიდან იწყებდეს ორივე სართულის სარკმელთა სიმეტრიულ განაწილებას. ცენტრში გაჭრილი სარკმლები ზომებში უთანაბრდება ერთმანეთს, ღიანარჩენი კი - განსხვავდება, ე. ი. გაჩნდა პორიზონტალზე სართულების წარმოჩენისას განსხვავება და იმავ დროს ვერტიკალზე დამშვენდა დიდი ზომის სარკმლებით სართულები დაუკავშირდა ერთმანეთს და დაუპირისპირდა პორიზონტალს. ბოჭორმის მაგალითი უნდა აგრძელებდეს განვითარების ხაზს. რომელსაც ნეკრესის მსგავსად სარკმელთა პორიზონტალური გაშლა მოსდევს, ჰერეშისაგან განსხვავებით ვერტიკალის უარყოფა და მოშდეგნო

ხანის სასახლეთა გადაწყვეტის ვათვალისწინებით, სართულებზე სარკმელთა მკვეთრად განსხვავებული ზომებით წარმოდგენა.

ნეკრესის სასახლის მდებარეობამ განსაზღვრა მთავარი კარის დასავლეთის ეზოსკენ გაჭრა. ჩრდილოეთის მხრიდან სასახლისთვის მეორე სართულის დონეზე არსებული კარი დაშხვარეა. ჭერემის სასახლეში რაკი კარი სამხრეთით არაა, უნდა ვივარაუდოთ მისი არსებობა როგორც დასავლეთით, ისე ჩრდილოეთით. აქ მხრივ ბოჭორმის სასახლე სრულიად განსაკუთრებულია - გვაქვს სამი კარი, აქედან აღმოსავლეთის დარბაზში ორი კარია პორტიკოსტალური და თაღოვანი დაბოლოებით და კვლავ თაღოვანი კარი (მესამე) დასავლეთის დარბაზში. იგი ემსგავსება ვანთის და ყაჩაღიანის სასახლეთა სამხრეთი ფასადის გადაწყვეტას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ სასახლეებში კარის ჭრილების დატანება უფრო გამართლებულია, რადგან მისასვლელი ტერასა ფართოა და მოსახერხებელი.

ნეკრესში სასახლის პირველი სართულის ინტერიერის აღქმა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე თანდათან ერთი მიმართულებით ხდება, ძირითადად გარე ბანის გრძივ ფორმას ზუსტად მიუყვება შიდა სივრცე. ესაა აფსიდული სისტემის თავისებური ვარიანტი, ჭერემის სასახლეში ძნელდება ინტერიერის თავისებურებებზე მსჯელობა, მაგრამ ალვნიშნავთ, რომ კედლის პირველი სართულის რიტმულად, ნალისებური მოხაზულობის თაღთა რიგით დამუშავება მიმანიშნებელია გრძივი ღერძის განსაკუთრებული მნიშვნელობაზე, ისე როგორც ნეკრესში. ბოჭორმის სასახლის ხუროთმოძღვარი განსხვავებულად უდგება შიდა სივრცის და გარე მასის ორგანიზაციას. გრძივ კედელში სამი კარის დატანება, შესაბამისად ჰორიზონტალურ ღერძს, გადაჭიმული ღერძები აბრკოლებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებას. სივრცე დარბაზში ვერტიკალზე „შენდება", იძენს ცენტრულ ხასიათს. ამასთან სასახლის ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფაც შიდა სივრცეს კიდევ უფრო ანაწევრებს და შეუთანხმებელს ხდის გარე მასასთან, წინა ორი სასახლისგან განსხვავებით, რომლებშიც აღნიშნული იდენტურობა მახასიათებელი და ინდივიდუალური თავისებურებაა.

ნეკრესის სასახლის რვაკუთხა სვეტი ის მაგალითია, რომლის საფუძველზეც დაჯერებულად უნდა წარმოვიდგინოთ შემდგომი ხანის ყველა სასახლის პირველი სართულის შიდა სივრცის ორგანიზაცია, რომელსაც შემდგომში იყალთოს აკადემიაში შემორჩენილი სვეტის ბაზაც ემატება. პირველ სართულზე სვეტების არსებობა სართულშორისი გადახურვის ნალის შემცირებას და მისი სიმტკიცისათვის აუცილებელია. აღნიშნული მაგალითის მიხედვით, სვეტების არსებობის ვარაუდი სწორია მით უფრო, რომ შემდგომი ხანის სასახლეებში გადახურვის ნალის სიგანე განსაკუთრებულად იზრდება.

ნეკრესის სასახლის ფასადებიდან, დასავლეთმა „დაისაკუთრა" პორტალობა, დიდი ყურადღება ეთმობა სამხრეთის ფასადის გაფორმებასაც. შემდგომი ხანის სასახლეებში აღნიშნული პირველობა გადანაცვლებს აღმოსავლეთით და მასთან დარჩება სამხრეთ ფასადის მნიშვნელობაც. როგორი იყო ვიწრო ფასადები ჭერემში და ბოჭორმაში არ ვიცით. სამხრეთი ფასადის დამუშავება კი სხვანაირია ზემოაღნიშნულ ძეგლებში. თუ ნეკრესის მაგალითს კიდევ ერთხელ გავიხსენებთ დავინახავთ, რომ სამხრეთი ფასადის დანაწევრება ორ რეგისტრად მოწყობილი სარკმელთა ღიობებით ხდება, მისი რიტმი არსად არ ირღვევა. ჭერემის კედელი კი, პირველ რიგში ტრაპეციის ფორმის მასიური შეუბილით

იყოფა ვერტიკალზე, შემდეგ სარკმელთა რიგით ჰორიზონტალურ ღერძზე. ბოჭორმის ოსტატი, სრულიად არ ერიდება ნახევარწრიული შვერილი მასის ჩვენებას, მას ორი ბუხარი ამოუყავს სამხრეთის ფასადზე. აღვნიშნავთ, რომ ეს ნახევარწრეები შესაბამისი დარბაზების ცენტრშია გაკეთებული, ამ მასებით ხდება კომპოზიციური განაწილება სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარისა, თითოეული დარბაზისათვის ფასადზე სიმეტრიულად განაწილება (ბუხრის ორსავე მხარეს) კარ-სარკმელთა ჭრილისა საერთოში გარკვეულ ასიმეტრიას იწვევს.

ნეკრესის სასახლეში ბუხრის უკონლობა სხვა სასახლეებთან შედარებით გაშონაკლისია. ბოჭორმაში კი მათი სამხრეთით მოთავსებაა ეჭვეული, შემდგომ სასახლეების ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლებში როგორ გადანაცვლებს. ჭერეშში ტრაპეციის ფორმის შვერილი მასა ბუხრის ასოციაციას იწვევს ფასადის შორიდან აღქმისას.

უდავოა ნეკრესის და ბოჭორმის ჩრდილოეთი ფასადის მსგავსება იმ ნიშნით, რომ პირველ სართულზე, ორივე ჩაჭრილია ფერდობში, ამიტომ მასი მხოლოდ მეორე სართულის სიმაღლე იძენს დამოუკიდებლობას.

ნეკრესის სასახლის კედლების გარე და შიდა თანხვედრას უპირისპირდება ჭერეშის სასახლის კედელზე მათი შეუსაბამობა. ამ უკანასკნელში მეტია დეკორაციულობა (ნალისებური მოხაზულობის თაღედი, შეცვლილი ქვის წყობით ხათლად წარმოჩენილი პილასტრები მარტივი კაპიტელებით. თაღში ჩაჭრილი ნიშები და შემდეგ სარკმლები. ცენტრალურ სარკმლებში ერთ ვერტიკალზე აღმოჩნდა, ანუ კედლის მნიშვნელოვანი შელრმაებით შექმნილი დამატებითი სათავსის შეწყობა, რომელიც ორსავე მხარეს შრგვალი კოლონებით იყო შემკული და კაპიტელებით დამთავრებული)[30], რაც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ნეკრესის მონასტრის სატრაპეზოს ინტერიერის გაფორმებასთან. სატრაპეზოში ინტერიერი გაფორმებულია დეკორაციული თაღედით და ნიშებით, რომელიც სამოძღვრებლო ფუნქციის გარდა (ნეკრესის სასახლისგან განსხვავებით) მხატვრულ-დეკორაციულ ხასიათს ანიჭებს მას. თაღში ჩაჭრილი ნიშები სატრაპეზოში მოგვაგონებს, თაღში ჩაჭრილ სარკმელს — ჭერეშში. თაღში ჩაჭრილი კარ- კი, ალკოვში ჩაჭრილ სარკმელს. სატრაპეზოს ექსტერიერზე გამოდის გლუვი და სადა სიბრტყე, ჭერეშის სასახლის კედლის შიდა დეკორაციული გადაწყვეტაც რადიკალურად ეწინააღმდეგება ექსტერიერის, სისადავე, კედლის სიბრტყე წამყვანია სასახლის მხატვრული სახის წარმოდგენისას.

მოგვიანებით (XVIII საუკუნეში) საბა ტფილისელის სასახლეში ბეთლემიშნული მომენტი ინტერიერის გაფორმების განმსაზღვრელ დეკორაციულ მოტივად წარმოგვიდგება და სასახლეთა გაფორმების წამყვან თემად გადაიქცევა.

ბოჭორმის სასახლის შემორჩენილი ნაწილი არაა მორთული თუ არ ჩავთვლით თაღის ორსაფეხურიანი დამუშავების თავისებურებას, რაც განასხვავებს მას ხერთვისის ციხის ანსამბლში არსებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მხატვრული გადაწყვეტისაგან.

ნეკრესში გვაქვს დიდი ღიადი სარკმლისა. ჭერეშის სასახლეში სარკმელთა ზომები კლებულობს, მეტი მნიშვნელობა ენიჭება დეკორაციულ თაღებს,

---

30 მსგავსი სვეტი გვაქვს ჭერეშის სამეფოსასახლის ბაზილიკის საკურთხეველის კანკელის ჩრდილოეთის კუთხეში, სასახლეში კი კოლონის კაპიტელებიდან შემორჩენილი.

რომელიც ჭარბობს სარკმლის ზომებს. თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ ჭერემის ოსტატისთვისაც ახლობელია დიდი ღიობებით ფასადის დანაწევრება და შესაბამისად ამისა ინტერიერის გაცხოველება.

ნეკრესში ნალისებური პოხაბულობის თაღები წაჰყვანი თემაა ეპისკოპოსის სასახლის კონსტრუქციაში. თაღის ნალისებურ ფორმას შორომის ე. წ. კარტელი ქმნის და უფრო თვალსაჩინოებს მას. ჭერემშიც მხოლოდ ნალისებური პოხაბულობის თაღებია. ბოჭორმაში კი თაღებს ნახევარწრიული ფორმა აქვთ (გვხვდება ორსაფეხურიანი თაღიც) და სხვა თავისებურებებთან ერთად გამოარჩევს ამ ძეგლს კონსტრუქციის ახლებური ფორმით.

შედარებით რთულია, და ამდენად, განსხვავებული ნეკრესის სასახლის ერთ-ერთი დარბაზის გადახურვა — იგი კამაროვანია. ასეთი კონსტრუქცია გადახურვისა მხოლოდ ნეკრესში გვხვდება და სვეტის მსგავსად მას ტრადიციულ გამოყენებას და არსებობას განსაზღვრავს მომავალში. ედარად ერთდროულად არსებობდა პოლიხრომატული კოჭოვანი გადახურვა კამაროვანთან. გარედან სასახლეები ორფერდაქანობიანი სახურავით იქნებოდა დასრულებული (ნეკრესში და სხვა სასახლეებშიც ვიწრო ფასადებს შერჩენილი აქვთ ფრონტონის ფორმა).

ნეკრესში და ჭერემში საშენ მასალად გამოყენებულია ადგილობრივ მოპოვებული ნატეხი ქვა. ის ფაქტი, რომ ძეგლებში არ არის დაცული თარახული წყობა და შენების დროს ნახმარი ხსნარი გვხვდება ქვების ზედაპირზეც (განსაკუთრებით ნეკრესში), აჩენს ვარაუდს, რომ ძეგლის ფასადები შელესილი იყო. ტრადიცია საფასადო შელესილობისა კახეთში გვაქვს საფასადო შელესილობაში ვგულისხმობთ უფრო ქვების შემოლესვას, რაც ძნახველს დარღვეული ჰორიზონტალური რიგების წყვეთის შესაძლებლობას უსპობს. ასეთი შელესილობა ფასადს მეტ-ნაკლებად ამთლიანებს, რაც უკრავს ხელაპარის სიბრტყეს და ამაკრებს მას. ამასთან არ მალავს საშენ მასალას, რაც თავისთავად კედლის ცხოველსატყლობის წარმოჩენის ერთ-ერთი პირობაა. ბოჭორმაში საშენი მასალა რიყის ქვაა, მისი უხეში ფორმის მიუხედავად კედლები სუფთადაა აწყობილი, დაცულია ჰორიზონტალური რიგები, თაღები თლილი ქვითაა ნაწყობი (გვხვდება რიყის ქვით ამოყვანილი თაღიც) და შესაბამისად ამისა მაღწეულია ტექტონიკური სიწყობრე.

ნეკრესის, ჭერემის და ბოჭორმის სასახლეები ერთ ჯგუფად პირველმა აღნერთო ნიშანმა გააერთიანა. მათი ცუდი დაცულობა ხელს გვიშლის როგორც კონკრეტული ამოცანების, ისე ეპოქის შიერ წაყენებული ზოგადი კანონების უფრო სრულ დანახვაში. სამივე ძეგლი ერთმანეთისგან განსხვავდება, და რაც უველაზე მნიშვნელოვანია, არსებული მონაცემების საფუძველზე მეღავნდება შეუსაბამობის სხვადასხვა ღრმა, ამასთან, გარკვეული თანმიმდევრობა იგრძნობა ასლებური მოთხოვნილების გამო დასმული ამოცანების განსხვავებულ გადაწყვეტაში.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ გარემოებებს, პირველი ჯგუფის სასახლეთა[1] თარიღი VIII—IX საუკუნეებს არ უნდა გასცილდეს.

---

[1] მეორე ჯგუფში ვაერთიანებთ ვანთის, ეძნაძანის და ველისციხის დეკორატიული სასახლეებს (X ს.), შესაძლოა ეს — კვეტერის და თარხუნის ცხოველების მეფის სასახლეები და იყალთოს აკადემიის (XI—XII სის. 20-იან წლებამდე).

Д. З. ВАЧНАДЗЕ

ДВОРЦЫ В ЧЕРЕМИ И БОЧОРМЕ

Резюме

В статье рассмотрены епископский дворец в Череми и царский дворец в Бочорме эпохи средневековья. Их плохая сохранность и скудность материала для датировки осложняет выявление общей композиционной особенности дворцов. По художественно-архитектурному анализу вышеотмеченные памятники мы датировали VIII - IX веками, отсюда строительство Некреси предполагаем после выделения Кахетии в независимое княжество, от хорепископа Григория (787—827 гг.) до хорепископа Фадла I Аревманели (конец IX века); Черемский епископский дворец датируем 50-ми годами IX века; а Бочормский царский дворец — рубежом IX—X веков. Бочормская или Орчобская крепость, впервые упомянутая в летописи при битве Квирика I и Адарнаса, является одним из важнейших пунктов Кахетинско-Эретинской битвы при Фадла II и Квирике II, последний обитает тут же.

В заключении сформирована особенность каждого дворца (выбор места в архитектурном ансамбле, продолговатый, приближенный к прямоугольнику план, двухэтажность, анфиладный принцип распределения залов, своды подковообразного очертания), их сходство все три дворца объединяет в единую группу.

D. VACHNADZE

THE PALACES OF CHEREMI AND BOCHORMA

Summary

In the article the author discusses the Episcopal Palace in Cheremi and the Royal Palace in Bochorma of the medieval epoch. Their poor safekeeping and lack of materials for dating them cause certain difficulties in revealing general compositional peculiarities of these palaces. The artistical and architectural analysis testify to the fact that the mentioned monuments date back to the 8th—9th centuries. We assume that Nekressi was built after Kakheti had been formed into an independant principality—from the period of Archbishop Grigoli (787—827) to the period of Archbishop Fadla I Arevmaneli (end of the 9th century): Cheremi Episcopal Palace is dated to the fifties of the 9th century, as for Bochorma Royal Palace it is dated to the end of the 9th—and the beginning of the 10th century. Bochorma or Orchobi Fortress first mentioned in the annals of the battle of Kvirikė I and Adarnasė represents one of the most significant points of the Kakheti - Hereti battle under Fadla II and Kvirikė II; the last one dwells in the same place.

The peculiarities of each palace (the choice of place in the architectural complex, an oblong plan approximate to the rectangular, two-storeyed buildings, suite of halls, archs of horseshoe-shaped outline) are formulated in the conclusion. Their likeness unites these three palaces in the single group.

წარმოდგენილია თბილისის ა. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრის

აკად. ნ. ბერძენიშვილის ნიკოლოზ ბერძენიშვილის გამოუქვეყნებელი ნარკვევი „მოლაშქრეობა"

აკად. ნ. ბერძენიშვილის პირად საარქივო ფონდში, რომელიც ქ. ქუთაისის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, გარდა მეცნიერის მიერ თავისივე სიცოცხლეში გამოქვეყნებულ, ან მის გარდაცვალების შემდეგ მისივე შრომების სერიაში — „საქართველოს ისტორიის საკითხები" (ჯერჯერობით გამოიცა 11 წიგნი) გამოქვეყნებული ნაშრომების და მასალების დედნებისა კიდევ დაცულია თვით ნ. ბერძენიშვილის მიერვე ცალკე საქაღალდეებში სისტემატიზებული ან შეჭრილიკურად თავმოყრილი დიდძალი საარქივო მასალა.

ეს მასალა ასახავს ავტორის ნაშრომებს მისი მეცნიერულ ასპარეზზე გამოსვლის დროიდან (20-იანი წლები) სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. აქ თავმოყრილია საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას შეგროვებული წყაროები, ამონაწერები ამ წყაროებიდან, შენიშვნები, დაკვირვებები და ხშირ შემთხვევაში თეორიული ხასიათის განმაზოგადებელი ნარკვევები. ამ უკანასკნელებს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების გადასაჭრელად, მით უმეტეს, რომ ბევრი პრობლემა დღესაც საკამათოა და ბოლომდე შესწავლას მოითხოვს.

ერთ-ერთ ასეთ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ პრობლემად ჩვენ გვესახება საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები.

მართალია, ამ პრობლემას თუ მის ცალკეულ ასპექტებს მკვლევარნი არაერთგზის შეხებიან ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გაშლქებისას. გამოქვეყნდა საგანგებო მონოგრაფიული შრომებიც[1]

• ნარკვევი გამოსაქვეყნებლად წარმოადგინა პროფ. ე. ხოშტარია-ბრისკინ; ტექსტი სასტამბოდ მოამზადა ქ. კვეზერიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, აკად. ნ. ბერძენიშვილის კაბინეტის გამგემ დ. ლიპარტელიანმა (ნ. ბერძენიშვილის არქივი, საქაღალდე № 240, ე.ნ. შიფრი ბ-1-18).

[1] იხ. კ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა" და მისი სოციალური არსი), თბ., 1979. И. И. Джорджадзе. История военного искусства Грузии. Тб., 1989. Г. З. Анчабадзе. Источниковедческие проблемы военной истории. Грузии, Тб., 1990

საკითხის ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი განხილულია წერილებში: ე. ხოშტარია, ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის შესახებ), „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1979; ე. ხოშტარია-ბრისკინი, თანამედროვე ქართული მეცნიერების ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები, „მაცნე", ისტორიის სერია, № 3, 1988.

მაგრამ, ვფიქრობთ, პრობლემის ძირეული საკითხი, კერძოდ, ქართული ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის ბუნება და ხასიათი ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხსნელია.

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ აკად. ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცულ მცირე ნარკვევს „მოლაშქრეობის" შესახებ, რომელიც წარმოადგენს მეცნიერის დაკვირვებას საქართველოში მოლაშქრეთა ფენის აღმოცენების, მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან კავშირში ამ ფენის ევოლუციის შესახებ.

ჩანს, ამ ნარკვევს ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაზეც მიუთითებს ბოლოში მიწერილი სიტყვები: „დავწერე ერთ სალამოს და ზეპირად. დამუშავება უნდა. კარგი ჩანს". თვით ტექსტში კი ერთ-ერთი დებულების ბოლოს ჟრჩხილებში წერია „ევრიკა". იგივე აწერია საჭადალდეს, სადაც ეს მასალა იყო დაცული. ტექსტს აქვს ავტორისეული პაგინაცია წითელი ფანქრით (12 ფურც.), ხოლო პირველ ფურცელზე ამავე ფანქრით მისივე ხელით დიდად აწერია — „XV ს-ში".

გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი ნარკვევი შესაძლებლობას გვაძლევს ჩავიხედოთ ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ „სამზარეულოში", იგი ბევრ საინტერესო საკითხს სვამს და წყვეტს კიდეც დასმული პრობლემიდან.

ჟურნალ „მაცნეს", ისტორიის სერიის რედაქცია სთხოვს სპეციალისტებს გამოეხმაურონ აკად. ნ. ბერძენიშვილის ნარკვევს წერილებით, რომლებიც მიძღვნილი იქნება ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ორგანიზაციის საკითხებისადმი. წარმოდგენილი წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ თაბახს. განხილვის შედეგები შეჯამებული იქნება რედკოლეგიის მიერ.

[ნ. ბერძენიშვილი, „მოლაშქრეობის" შესახებ]

ვასალურთიერთობა, პოლიტიკური მესაჭეობა ხელმწიფეს ავალებს ერმრავლობაზე იზრუნოს, მოლაშქრის სრულ ფუძიანობაზე იზრუნოს და ხელი შეუშალოს ფუძეთა დაქუცმაცებას, ეკონომიური უთანასწორობის გაღრმავებას. როგორ უნდა გვიყოთ „ცხრაას ვლეხსა სრულსა მიწის მქონებელსა" და სხვა, რაც არ უნდა იყოს, ერთი აშკარაა, რომ მოლაშქრეობა ფუძის ქონებასთან არის დაკავშირებული — სრული მიწის ქონებასთან. ამიტომ ამ სრული მიწიანობის ირღვევა და ძის ნიადაგზე უმიწობის, ნახევარმიწიანობის თუ მრავალმიწიანობის შექმნა ხელს შეუშლის, ვნებს მოლაშქრეობას. შეიძლება მონღოლების მიერ შემოტანილი ახალი ეკ ის იყო, რომ მათ ცხრაზე ერთი გაიყვანეს, თუმცა კოპერაცია „თანაშთასადებელი" ბეჭის სამართალმაც იც ს და ქართულ ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი ჩანს. ამის მაგალითის მსგავსი ჩვენ ევროპაშიც გვხვდება, როცა სპარსეთში ნოქრად მიდიან ღვთისაგან და არაბოლო (თუშეთიდან სახლიდან).

შეიძლება ეს კოოპერაცია ქართულია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჭედზე ქაცი უნდა გაეიდეს?

იმ ფორმულიდან თითქო ისე გამოდის, რომ მოლაშქრეობის მოვალეა სრულმიწიანი გლეხი, ე. ი. საშუალო და საგვადასახადო ერთეულის მოვალე და არა ისე უნდა გავიგოთ, თითქო მონღოლებმა ყველა გლეხი გაასრულმიწიანეს, გაათანასწორეს, ან კიდევ თეორიული მიწები დაადგინეს (-რიცხვი) და ამ მიწებიდან მოითხოვეს მოლაშქრე — ცხრიდან ერთი, ხოლო თუ როგორ დანაწილდებოდა ეს ტერიტორიულად სხვადასხვა რაოდენობის მიწის მქონებელ მოსახლეობაზე. ეს მათთვის სულ ერთი იყო. ეს რომ ასე ყოფილიყო, იტყოდა კიდეყაც ამის შესახებ ქართველი ისტორიკოსი. აქ, უნდა ვიფიქროთ, საქმე უფრო მარტივად იყო. მოლაშქრეობის ქართული წესის თანახმად ლაშქრობდა ის (გლეხი-მოლაშქრე), ვისაც სრული მიწა ჰქონდა ანუ, გვიანი ტერმინოლოგიით, ვინც სრული კომლი იყო. ეს იყო ძველიდანვე მოქმედი წესი („ეკლესია"), ე. ი. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოლაშქრე იყო ერისგანი, ერთვანი (ამ ეროვნულ — ქვეყნის თანდათან გამოეყო მკვდარი — ცხენ-თორსიანი-ჯაჭვ-ჩაბალახოსანი-აბნაური. შემდეგ კი ეს ერი საერთოდ ცხენზე შეჯდა. ეს იყო ახალი, უნდა ვიფიქროთ, არაბებმა რომ შემოიტანეს და „ლაშქრობაც" ამას აღნიშნავდა...) და ეს წესი შერჩა გვიანაც, მონღოლებმაც. უნდა ვიფიქროთ, ეს წესი გამოიყენეს. ახალი წესის მოგონება მათ არც შეეძლოთ და რომ შეძლებოდათ კიდეყაც, მას საქართველოში ვერ გაატარებდნენ. ეს იქნებოდა საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ძირფესვიანად ხელყოფა. ახალი აქ ის იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა კი არ გაიწვიეს, არამედ მეათედი იმათგან, ვისაც ლაშქრობა ეკალებოდა და საომარი ხარჯი ლაშქრობის ყველა მოვალეს დააკისრეს (მონღოლებმა — „იწყეს აღწერად კაცთაშდე და პირუტყუთამდე, ყანით ვენაკთამდე, წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა ცლეხსა სრულსა მიწის მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოქდა საქეფოსაგან დაეთმისა ცხრა ღუმანი კაცი მკვდართა თათართა თანა წარმავალი (var.: ცხრა ღუმანი მკვდარი თათართა თანა წარმავალი), რომელ არს ცხრა ბევრი" (ქ'ცხ 665). ხომ არ შეიძლება დავეშვათ, რომ მონღოლთა ადმინისტრაციის ღამს საქართველოში ყოველ გლეხს სრული მიწა ჰქონდა? ასე რომ ყოფილიყო მაშინ სრულ მიწაზე ლაპარაკიც არ იქნებოდა და მეორეც. ჩვენ კვაქვს ამა და ამის უწინარესი დროის ცნობა იმის შესახებ, რომ სრულმიწიანობა დიდი ხანია დარღვეული იყო („ფუძეც ერთი კომლად არი..."), თამარის დროს ერთ სოფელში რომ სწერია გლეხი ფუძედ ერთი კომლად არი, რატომ სწერია? იმად სწერია, უნდა ვიფიქროთ, რომ ქვეყანა იმ თავით ფუძეებად იყო დაყოფილი (აი, როგორც ქეშქელი საინგილოში). ეს ეკუთვნის ძველ ქართულ წესი იყო. სათემო მფლობელობას რომ იყო შეხამებული ფეოდალური ექსპლუატაცია. თემი, სოფელი (-საუფლო. საუფელი) კარკვეული რაოდენობის საგადასახადო ერთეულებისაგან შედგებოდა. დამოუკიდებლად იმისგან თუ როგორ ცხოვრობდნენ ეს მდაბიონი, თემობრივად თუ კერძოობით. ასე რომ სოფელი (საუფელი) შედგებოდა გარკვეული რაოდენობის საგადასახადო ერთეულისაგან (ქეშქელი — ფუძე). თუ ქეშქელი ეცხო ტერმინია და ფუძე-ფუზე ბგრეთვე fundus-იდან ნაწარმოებია, მაშინ ამათი ქართული შესატყვისი, ან თუ შესატყვისი არა ამათი ნათესავი ტერმინი, შეიძლება იყოს დადასტურებული მიწა. ეს საგადასახადო ერთეული ფუძე უძველეს დროს სათემოში შეიიოდა, „სოფლის" (საუფელის) განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. თითო საუფელში (სოფელში, „თემში") რამოდენიმე (მეტი თუ ნაკლები) ფუძე იყო. დროთა განმავლობაში თემი

იშლებოდა (მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა...), მაგრამ მიწათა ნაკლები უცვლელი რჩებოდა. სახელმწიფო ამ „მიწათა" რაოდენობის მიხედვით მოითხოვდა გადასახადს (კოდის პურს, შესაწევნელს). მოლაშქრეს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ეს სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა, რადგან მიწები ჭლეშდებოდა (გაბრაყვება-გაყრა) ან კიდევ ზოგი უმიწო ხდებოდა — თავის წილს ჰყიდდა, ზოგი კი ორსა და მეტს მიწას იძენდა (შდრ. ინგილოები, მელალები საინგილოში). მებატონე აქ არაფერს კარგავდა. ის ან მიწის დაჭუცმაცებისას (გაყიდვისას) გაინალდებდა თავისას (გამყიდველი იკისრებდა გაყიდული მამულის მოვალეობის შესრულებას) ან გაყიდულს გაეკრდებოდა.. („დასთვეძისგან მამული ვიყიდე მისითა ბეგარითა"). სხვა იყო ხელმწიფის საქმე. დაჭუცმაცებული მიწიდან სახელმწიფო-საჭეუყნო მოვალეობის შესრულება ძნელად ხერხდებოდა. ლაშქრად, წესი იყო, სრული მიწის მქონებელი გამოდიოდა. ახე რომ თუ სახელმწიფო საგადასახადო თვალსაზრისით არაფერს „დაიკლებდა" (ყახტანგის კანონები — ამიტომაც არ „გამოეკრებოდა" ბექას კანონები — გაყიდვისას „ნახევარს გადაუშეებდნენ") სამხედრო თვალსაზრისით უთუოდ ზარალდებოდა, რამდენადაც მიწის უქონებელს, ცარიელს ლაშქრობა არ შეეძლო ან გარკვეული წესით ლაშქრობა არ შეეძლო (ვთხოვოთ: აბხაზურად სჭირს) [კი მაგრამ „თანაშთამადებელი" შეიძლება სრულ-ფუძიანი მოლაშქრისას არ გულისხმობდა?"]*.

ამიტომ ხელმწიფე დაინტერესებული იყო ფუძე მიწა არ დაჭუცმაცებულიყო („თანაშთამადებელი", საფიქრებელია, ერთგვარი ხერხი იყო სახელმწიფოს მხრით ამ უხერხულობის საკომპენსაციოდ). მაგრამ ეს ორის ბრძოლის შემდეგ, ბრძოლის შედეგად და დამარცხების ნიადაგზე (საშეურნეო პროგრესის გამარჯვების ნიადაგზე) შემუშავებული პალიატივი. გვიან ხანაში ეს პალიატივიც მოიშალა და ხელმწიფე „მორიგის" ეკონომიურ უზრუნველყოფას მისი ხელშოკლობის შემოხვეულში მებატონეს აკალებდა. ეს იყო უკვე სრული დათმობა ბატონყმობისათვის, ძველი მოლაშქრეობის პრინციპის სრული უარყოფა, პრინციპული ხასიათისა. ყაცმა რომ სთქვას, ეს ამბავი დიდი ხანია მოხდარი ფაქტი იყო მას შემდეგ, რაც ლაშქარი თავადებზე შეწერით ვანწესდა (იხ. ვახუშტი...), ეს იყო ბატონყმობის სრული გამარჯვება როგორც პოლიტიკურის ისე ეკონომიურის მხრით (ნახე, განიხილე), მას შემდეგ, რაც საერისთაოები მოისპო (ერისთავი ერს ემყარება) ერი სრულიწიანი მოლაშქრეებია, როცა ეს სრულიწიანობა დაირღვა საბოლოოდ, როცა ერისაგან-ეროვან-მოლაშქრეები გაბატონებული ერისთავის და სხვა ასეთივე ბატონების ხელთ საბოლოოდ მოექცნენ, როცა მიწები დაჭუცმაცდა, მოლაშქრენი დასუსტდნენ, დაიბეგრენ, გაგლეხკაცდნენ, — სახელმწიფოს აღარაფერი დარჩენოდა თუ არა შეგუება ამ ახალ პირობებისადმი და მანაც ქვეყანა ამ ერისთავებს, მონაცულეებს — ბატონებს (თავადებს) მიანება და ლაშქარიც მას შეაწერა. ამიერიდან ხელმწიფე აღარ ზრუნავს უშუალოდ მოლაშქრის ეკონომიურ და სოციალურ ბედზე, ის თავადმა იგდო ხელთ. საინტერესოა ერეკლეს ზომა აზნატ-მოლაშქრეთა ფენის შექმნისა. ახალი გზა ვერ ნახა (საამისო პირობები არა ჰქონდა), ფეოდალური მორიგე მოიგონა (ისიც წააგო) და ძველი მოლაშქრე აღადგინა (ს. კაკაბაძის აბსოლუტიზმი). ერეკლე ამ საქმეშიც პიონერია. ის ცდილობს რაღაც შექმნას. ძველი თავადური ლაშქარი მას სრულიად არ აკმაყოფილებს..., ან კი რა უნდა ყოფილიყო ის ლაშ-

* ჩასაბეჭდელი წითელი ფანქრით.

ქარი, რომელიც, ეი თუნდაც ჰეწრავე საღროშოს ალწერით, მოლებოდა. მოლაშქრეთა დიდი ეშრავლესობა ბოგანოებია. და ამავე დროს დიდებულ თავადის სასარდლო ხშირად მეფის წინააღმდეგ მებრძოლი... აბე რომ ძველი მოლაშქრე სრული მნიშვნელობით გადაგვარდა „ბოგანო მოლაშქრედ". ფეოდალურმა საშეფოშ წაგო, თავადმა — ბატონმა გაიმარჯვა...

ეს დიდი ბრძოლა იყო და ემყარებოდა საწარმოო ძალთა განვითარებას, საწარმოო ურთიერთობის შესაბამის განვითარებას საქართველოს დასუსტების პირებში, როგორც სამხედრო ძალისა, აქ არის საძიებელი სხვაგვარი ლაშქარი უნდა წარმოქმნილიყო, გაძლიერებული მეფე თავადებსაც უნდა ხელმწიფედ მოელინებოდა. .რეკრუტი უნდა წარმოშობილიყო, ე. ი. ქართული სათავადოები უნდა გაძქრალიყო. ხოლო ვიდრე ეს იყო, ვიდრე ლაშქარი შეწირით რჩებოდა და მოლაშქრედ ბოგანოები გაბოდიშდნენ, საქართველოს საქმე წასული იყო, ის გამოუვალ ჩიხში იმყოფებოდა, სადაცაა მას საკუთარი სამეალებებით გაძოსვლა ალარ შეეძლო: ამისათვის ხელსაყრელ დროს, დროს მშვიდობიანი განვითარებისათვის მას არც ეიხელბაში, არც ოსმალო და არც „ლეკი" მიაცემდნენ...

